



TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

Maka Labartkava

**General Geographical Names in
Georgian**

Tbilisi

2016

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მაკა ლაბარტყავა

გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელები ქართულში

თბილისი

2016

ნაშრომში გაანალიზებულია გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები, კერძოდ, მთა-ბარისა და წყლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები შესაბამისი თემატური ჯგუფების სტრუქტურული მოდელების გავალისწინებით. ყურადღება ექცევა მათს წარმომავლობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის, დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი – პროფ. **თამარ ვაშაკიძე**

რეცენზენტები: აკად. წევრ-კორ. **ვაჟა შენგელია**
აკად. დოქტ. **ლალი ბინიაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**
ოპერატორი – **რუსუდან რატიანი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

წინასიტყვა

ენის ლექსიკური შედგენილობის კვლევა-ძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენათმეცნიერული თუ ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის სრულყოფილად შესწავლისათვის.

გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელები ყოველი ენისა და დიალექტის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია და, ამდენად, მისი კვლევა – ლექსიკოლოგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელები დღემდე არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი. წინამდებარე ნაშრომში პირველადაა წარმოდგენილი **მთა-ბარისა** და **წყლის** აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები პრაქტიკულად ყველა თემატური ჯგუფის სტრუქტურული მოდელის მიხედვით, აგრეთვე განხილულია მათს წარმომავლობასთან დაკავშირებული საკითხები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართული გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელთა ანალიზი სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ამ ჯგუფში შემავალ ლექსიკურ ერთეულთა ამოსავალი სემანტიკის გარკვევა, საერთოქართველური თუ საკუთრივ ქართული სახელების, მათი სტრუქტურისა და წარმომავლობის დადგენა.

საქართველო **ბარის**, **მთისა** და **წყლის** ერთგვარ შეერთებას, ერთიანობას წარმოადგენს. თავის მხრივ, **ბარიც**, **მთაცა** და **წყალიც** ნაირგვარია. ბარია **მიწაც**, **ვაკეც**, **ველიცა** და **მინდორიც**. მთა არის **კლდეცა** და **გორაკიც** (თავისი ნაირსახეობებით). წყალია **ზღვაც**, **მდინარეცა** და **ტბაც**, **წყარო** თუ **ღელე**.

გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელებთან დაკავშირებულია ის მდიდარი ლექსიკა, რომელიც ქართველ ხალხს, საქართველოს ყველა კუთხეს შეუქმნია საუკუნეების განმავლობაში. ამ ტიპის ლექსიკურ ერთეულთა შესწავლას განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ ენათა ისტორიისა თუ ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების თვალსაზრისით.

თითოეულ თემატურ ჯგუფში შემავალი ლექსიკური ერთეულები თავის მხრივ დაიყო დამოუკიდებელ ქვეჯგუფებად. მაგალითად, **მთის** აღმნიშვნელ სახელებში გამოიყო: ა) უშუალოდ „მთა-კლდის“ გამომხატველი სახელები, როგორც არის თავად **მთა** და **კლდე**, ბ) **მთა-კლდის** სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (მაგ., **გორი**, **გორა**, **ციცაბო** „ძალზე დაქანებული მთა“, **კბოდე** „ციცაბო კლდე ზღვის ან მდინარის პირას“ და სხვა), გ) **მთა-კლდის** ნაწილების გამომხატველი სახელები (**წვერო**, **კუნწუხი** „მთის მწვერვალი“, **ცერი** „მთის ნაპირი“ და სხვა) და დ) **მთა-კლდესთან** მდებარე ადგილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (**ღრანჩო** „პატარა ხევი“, **ყრჩუ** „ვიწრო და ცხელი ხევი“, **მაქანარი** „ხევის პირი“ და სხვა).

ბარის აღმნიშვნელ ლექსიკაში წარმოდგენილია შემდეგი თემატური ჯგუფები: ა) **მიწა-ბარის** აღმნიშვნელი სახელები, ბ) **მიწა-ბარის** სახეობათა გამომხატველი ლექსიკური ერთეულები (**ველი**, **ყანა**, **ტყე**, **ტყვრი**), გ) მიწის ნაწილების აღმნიშვნელი სახელები (**ნიადაგი**, **ჯეკმა** „მიწის ფენა“, **ნეშომპალა** „ტყის მიწა, ნიადაგის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია მცენარეებისა და ცხოველების ლპობისაგან“), დ) **მიწა-ვაკესთან** დაკავშირებული ლექსიკა, რომელიც მის ფორმაზე მიგვანიშნებს (**აღმართი**, **დაღმართი**, **ფერდობი**, **ამრეცი** და სხვა), ე) **მიწა-ბარის** მდებარეობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები (**კუნძული**, **ნახევარკუნძული**, **შეკბეჩილი** და სხვა) და ვ) დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელი გეოგრაფიული ობიექტების სახელები (**ქალაქი**, **სოფელი**, **რაიონი** და სხვა).

დამოუკიდებელი თემატური ჯგუფები გამოიყო „წყლის“ აღმნიშვნელ ლექსიკასთან დაკავშირებითაც. აქ დადასტურდა იმ ტიპის ზმნები თუ ზმნისართები, რომლებიც უშუალოდ **წყლის**

გამოყენებასთან (ან მის თვისებასთან) არის დაკავშირებული (**ამოხაპავს** „ხაპით ამოდვრის“, **გაალაღლაღებს** „წყალში გააგლებს“, **დაატბორებს** „დააგუბებს“, **წვეთობით** „წვეთების ერთმანეთზე მიყოლებით“, **ლაპა-ლუპით** „ხშირ და მსხვილ-მსხვილ წვეთებად ღვრით“ და სხვა), გამოიყო აგრეთვე **წყლის** აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები, როგორებიც არის: **მდინარე, ტბა, ზღვა** და სხვა.

ცალკე წარმოვადგინეთ მოტივაციით მიღებული გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელი საზოგადო სახელები, როგორებიც არის: **უნაგირა, დრიანკელი, ცერი** და სხვა.

აღნიშნული ტიპის სახელები გამოვყავით აგრეთვე იდიომებში (მაგ., „**მიწამ** პირი უყო“, „**წყალმა** წაილო“ და სხვა); დაიძებნა ნასესხები სიტყვებიც; წარმოვადგინეთ ასევე გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელები პოეტურ მეტყველებაში. აღნიშნული ტიპის სახელები მოძიებულია ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვითაც, შედარებულია (შემღებისდაგვარად) მეგრულ-ჭანურისა თუ სვანურის მონაცემებთან; გამოყოფილია შესაბამისი ფორმები ქართული ენის დიალექტებიდანაც. მნიშვნელოვანია ის, რომ დიდი ნაწილი გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელებისა საერთოქართველური წარმომავლობისაა. ბუნებრივია, ლექსიკური ერთეულები გაანალიზებულია წარმოების თვალსაზრისითაც (ამ ნაწილს ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება).

ნაწილი I

თავი I

„მთის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში

მთასთან დაკავშირებული ლექსიკა რამდენიმე თემატურ ჯგუფს წარმოგვიდგენს ქართულში: ა) უშუალოდ „მთისა“ თუ „კლდის“ აღმნიშვნელი სახელები; ბ) „მთა-კლდის“ სხვადასხვა სახეობათა გამომხატველი ლექსიკური ერთეულები; გ) „მთა-კლდის“ ნაწილების აღმნიშვნელი სახელები; დ) „მთა-კლდესთან“ მდებარე ობიექტების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები. ცალკე გამოყოფთ „მთის“ აღმნიშვნელ ლექსიკას ქართული ენის დიალექტებში. აღნიშნული ტიპის სახელებს წარმოვადგენთ იდიომებიდანაც.

§1. უშუალოდ „მთა-კლდის“ აღმნიშვნელი სახელები

მთა – „დედამიწის ამაღლებული ადგილი, რომელიც თავისი სიმაღლით აღემატება მიდამოს“ (ფოჩხუა 1987: 87). ძვ. ქართულში **მთა** – „მთეური“, „მთეულეთი“, „მთიანი“: აღმეყვანა... **მთასა** მაღალსა ფრიად (აბულაძე 1973: 239); **მთეურსა** შინა საფირისასა (აბულაძე: იქვე). მეგრულში დასტურდება **გვალა** || **გოლა** (ჭარაია 1997: 52; ქაჯაია 2002: 375); ლაზურში: **გოლა** „მთა“ (ნ. მარი); სვანურში – **გოლამ** (თოფურია, ქალდანი 2000: 174); აქვე აღვნიშნავთ, რომ სვანურში „მთის“ მნიშვნელობით (ყველა დიალექტის მიხედვით) გვაქვს **ლახუ** ფორმა.

ქვემოთ წარმოვადგენთ მაგალითებს:

კრულ იყოს მისი სახელი, ვინც **მთა** გასცვალოს ბარზედა! (წერეთელი 1980: 126); გქონდათ აგარაკი, **მთაშიც** და ბარშიც და

ერთიც ხელოვნურ ტბასთან (ნიშნიანიძე 1984: 9); ქვეყნის დაქვე-
ვას ქარი უჩქარის, აგორებულან **მთები** ტალღებად (აბაშიძე 1990:
108); როდესაც მზეი თბილი სხივით მინდვრებს შემოსავს და
ცვარნაკპური შეირხევა **მთაზე** მოცხარი (კალანდაძე 1985: 26); გა-
ისმა შორი სროლის ხმა **მთაში** და მონადირემ დაკოდა შველი
(გალაკტიონი 1965: 204); ამ ადგილებში შევხაროდი **მთებსა** და
მდელოს (გალაკტიონი 1965: 106); და **მთები... მთები...** ჯუთის
მთები სიდარბაისლით დიად შემოქმედს უმღერიან ქებათა ქებას
(გომიაშვილი 1960: 17); მოდის **მთებიდან** ახალგაზრდა ვაჟა-ფშა-
ველა და შვიდას წლის შოთა რუსთაველს ესაუბრება (გომიაშვი-
ლი 1960: 50); აჰა, დაიძრა **მთებში** ლანქერი და გაზაფხული გრუ-
ხუნით მოდის (ამაშუკელი 1980: 99); **მთისაკენ** წვიმდა და ჭენ-
ჭერი იყო გამდგარი (დადიანი 1990: 213); მწვერვალებზე მზის
შუქი ენთება, **მთები მთების** გვერდით დგანან (თარბა 1984: 21);
ახლა იქ მივალ, წინაც ბევრჯერ გადავირბინე **მთა** და მინდორი
და ცვრიანი ყანები სავსე (გომიაშვილი 1961: 23).

მთის მსაზღვრელად ხშირად დასტურდება ფერის აღმნიშ-
ვნელი ზედსართავები: და მესიზმრება საქართველოს **ცისფერი**
მთები (ამაშუკელი 1980: 90); შორს სვანეთის **ლურჯ მთებს** თოვ-
ლიანი შუბლი ცის თაღზე მიებჯინათ (ყორჟოლიანი 1974: 45);
მაგრამ შორს **ლურჯი** გამოჩნდა **მთები**, ახლა იქ მყუდრო ნავ-
სადგურია (გალაკტიონი 1965: 262).

მსაზღვრელად გვაქვს წარმოქმნილი სახელებიც: მისებრ **ლი-
ლიან მთებს** ვინ უმღერის?! (ფორჩხიძე 1986: 6); მშვენიერი ზღვე-
ბის, **მშვენიერი მთების** ტრფობა გაგვყოლია (კალანდაძე 1985: 98);
მზე ოკვანით ამოვა მძიმედ, გაბრწყინდებიან შორეული **ზღაპრუ-
ლი მთები** (კალანდაძე 1985: 83).

ბუნებრივია, „მთის“ მსაზღვრელად ხშირად გამოიყენება „სი-
მალლის“ გამომხატველი ზედსართავები: წვრილი ბილიკებით
დასერილი **მალალი მთა** წვერზე დაფარული იყო გრძელტოტები-

ანი დიდრონი ხეებით (ლორთქიფანიძე 1969: 320); **მაღალ მთებს** შუა გადებულ ხიდზე ვით ხელისგულზე, სიმშვიდე მიძევს (თარბა 1984: 7).

მსაზღვრელად გვხვდება, განსაკუთრებით პოეზიაში, ლექსემა „სამშობლო“: გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? – ეს ჩემი **სამშობლოს მთებია!** (გალაკტიონი 1965: 139).

ზოგჯერ „მთა“ თავად დასტურდება მსაზღვრელის როლში: შემოიღამებს **მთის** ნაპრალები, და თუ როგორმე ისევ გათენდა... (გალაკტიონი 1965: 13); სოფელი არის **მთის** ძირად თვალის სიწმინდის მძლეველი (ვახტანგ VI 1975: 79); **მთის** კალთაზე დაშვებული ცხენები ყელმოღერებული ჭირვეულობდნენ (შენგელაია 1966: 27).

ხშირად პოეზიაში **მთა** გაპიროვნებულია: ატირდნენ **მთები** და ლამის მეც ავტირდე, ნამძვები დაღონდნენ და მეც, მეც ვლონდები (კალანდაძე 1985: 38); **მთებიც** იცვამენ ჯაჭვის პერანგებს, აბჯარს ისხამენ გუთნისდედები (გომიაშვილი 1960: 10).

ზოგჯერ ენაში „მთა“ გამოყენებულია სულიერი თუ ფიზიკური სიმძიმის გამოსახატავად. მაგალითად: „**მთასავით** მაწევს გულზე“; უცქერს და უსმენს ჭიკჭიკა მერცხალს, მზად არი მხრებით, თუნდ **მთები** ზიდოს (აბაშიძე 1990: 82).

თანინი მრავლობითით წარმოდგენილი „მთა“ განსაკუთრებულ პოეტურ ელფერს სძენს სათქმელს: თოვლი იდო ჯავახეთის **მთათა** ზედა და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ (კალანდაძე 1985: 45).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა „მთა“ კომპოზიტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია: მზე ნარნარი სხივებს აფრქვევს და სითბოში **მთა-ბარს** ახვევს (გალაკტიონი 1965: 51); სამოთხეს ჰგავდა ქართლის **მთა-ბარი**, უღრუბლო იყო და სხივოსანი (აბაშიძე 1990: 169); თუ სადმე გვხვდება ტურფა **მთა-ბარი**, ჩემი სამშობლოს **მთა-ბარს** ვადარებ (აბაშიძე 1990: 25); ირგვლივ მესხეთის

ტურფა **მთა-ბარი** ჰყვოდა მართლა გასაოცრადა (აბაშიძე 1990: 110); სადაც ლამაზი **მთა-ბარი** გვხვდება, ჩემს საქართველოს რატომ მაგონებს (აბაშიძე 1990: 25); თუმც ნაოჭები აჩნია **მთა-ბარს**, ვით საფლავის ქვას ეპიტაფია (გალაკტიონი 1965: 464). გვაქვს აგრეთვე **მთა-გორი**, **მთა-კლდე**, **მთაგრეხილი** (მათ შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ).

ზოგჯერ „მთა“ მეტაფორად წარმოგვიდგება („**მთა კაცი**“).

როგორც ითქვა, მეგრულში „მთის“ მნიშვნელობით დასტურდება **გვალა**, ხოლო სვანურში – **გოლაჲ**.

მაგალითები: ზღვა დო **გვალა** მითინც ვა გუსწორებუნია „ზღვა და **მთა** არავის გაუსწორებიაო“ (ხალხური სიბრძნე 1994: 50); ვარა **გვალას** ოკო ონჭგდე, ვარა ზღვას, – ვარა **გვალაშე** გამკოლ მუთუნი, ვარა ზღვა გეკაცოთანს „ან **მთას** უნდა სწედებოდე, ან ზღვას, ან **მთიდან** ჩამოვარდება რამე, ან ზღვა გამორიყავს“ (ხალხური სიბრძნე 1994: 45); გაჭირებულ კოჩის ქუაქ **გვალაში** ეკულას მაჭიშუა „გაჭირებულ კაცს ქვა **მთაზე** ასვლისას მოეწიაო“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 23); გინილ ამშვი **გოლა!** „გადაიარა ექვსი **მთა**“ (ქაჯაია II: 375); ქუდნწყის თაში დო იდეს **გოლაშა** „დაეწყვენ ასე და წავიდნენ **მთაზე**“ (ხუბუა 1937: 9); თის რაშიმ კუდელს ქეკაკირანან დო გუტენა **გოლაშა** „მას ცხენის კულზე მიაბამენ და გაუშვებენ **მთაზე**“ (ხუბუა 1937: 14); ვითოჟირი სქუა პუნსია, ზღვა დო **გვალა** შქას თინეფიში რე ირფელია – „თორმეტი შვილი მყავს, ზღვისა და **მთის** შუა ყველაფერი მათი არის“ (ხუბუა 1937: 165); ათენენს ქაკათე დო **გვალას** რენი...“ – „ამათ შვერია და **მთაში** არის...“ (ხუბუა 1937: 174); ჩქიმი ზღვა დო ჩქიმი ბარი, ჩქიმი **გოლა** – არარატი – „ჩემი ზღვა და ჩემი ბარი, ჩემი **მთა** – არარატი“ (ხუბუა 1937: 313); ვა მომისპა ზღვა დო **გოლა**, ვაწმყაონა სამაგელო! – „არ მომისპო ზღვა და **მთა**, არ დამტოვო სამაგლად“ (ხუბუა 1937: 326); ეშველი **გოლაშა** „ავედი **მთაზე**“; **გოლაშ** წვანჯსე ძიუთ ჩქუ კოჩე „**მთის** წვერზე ძლივს ჩანს კაცი“ (ჩვენნი

მასალებიდან). სვანური: იბნის **გოლ** ლახუარ „იწყება ალპური **მთები**“ (თოფურია, ქალდანი 2000: 174).

ქართულში დასტურდება ლექსემა **კლდე** – „მთის, გორაკის დაქანებული ქვა-გვერდობი, უსწორ-მასწორო ნაპირებიანი და ძნელად სავალი“ (ფოჩხუა 1987: 89). **კლდე** გვაქვს ძვ. ქართულშიც: „რომელმან გარდააქცინა ლოდოანნი ტბად წყალთა, რომელმან გარდააქცინა **კლდე** ტბად წყალთა (აბულაძე 1973: 210).

ქართულ **კლდე**- (<*კლდე-) ძირს კანონზომიერად შეესატყვიება მეგრული **კირდა/კვრდა** < **კირდა**. ***კლდე** > ***კრდა** > **კირდა**, **კირდე/კვრდე** მიღებულია **კირდა/კვრდა** ფორმებისაგან უმლაუტის შედეგად (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 287). სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ძირის ლაზური შესატყვისი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, არ არის გამოვლენილი ამ ძირის უდავო სვანური ეკვივალენტიც (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 287). პ. ჭარაიასთან „კლდე“ განმარტებულია, როგორც **ჩქორჩქი** (ჭარაია 1997: 158), ხოლო ო. ქაჯაიასთან გვაქვს **კვრდა** (ქაჯაია II: 176). ვ. თოფურია და მ. ქალდანი „კლდის“ განმარტებად წარმოგვიდგენენ **ქაუქან** || **კოჯ** ფორმებს (თოფურია, ქალდანი 2000: 778).

მაგალითები: ვდგევარ **კლდეზე** – აქ ოდესმე ბაღი იყო სანეტარო (გალაკტიონი 1965: 36); შეხვსებია **კლდეები კლდეებს**, იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია (გალაკტიონი 1965: 191); **კლდეებს** ეხლება თოვლ-ქარი, დაბლა ზანტად დის ღრუბელი (კალანდაძე 1985: 293); **კლდეებში** ჯიხვი დაფრთხება, გორში იტირებს ატამი (კალანდაძე 1985: 12); თუმც თვალს არ ვხუჭავ, **კლდეს** რომ ვაწყდები და მომჟივიან უკან სიტყვები (აბაშიძე 1990: 12); მაგრამ არასდროს დამპყრობთა ჯარი ამ **კლდეებს** შიგნით არ შემოსულა (აბაშიძე 1990: 42); იდგა ქალაქი ურიცხვი მღვიმით, ქალაქი **კლდეში** გამოქვაბული (აბაშიძე 1990: 109); **კლდეზე** თავვივით ამოდის ცოცვით ღინღლივით უღონო და ფერწასული ხავსი (აბაშიძე 1990: 120); ბადედ სცვალე ენა შენი, **კლდეზედ** დადგე

ფეხ უძრავად... (ვახტანგ VI 1975: 19); მოდის **კლდეებში** ნაღმის გუგუნით გამარჯვებული პრომეთეოსი (გომიაშვილი 1961: 14); **კლდიდან** ჩანჩქერად გადმოვარდნილი, სიყვარულით რომ ვპოვე ადგილი და ქვეყანაზე ავმალლდი შენით (თარბა 1984: 56); სტიქიონურის ძალმოსილებით **კლდეებს** ეხლება და ქვებზე ჰხტება (წერეთელი 1960: 226); ნორჩი ნუში, – **კლდეზე** მდგარი, – ჩანდა როგორც იალქანი (მაჭავარიანი 1985: 33); ვაი მას მტერსა, ვის ანუ **კლდენი** ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ (ორბელიანი 1975: 158); ფოთლებში ჩიტივით ფათქუნობს ნათურა, **კლდეებზე** სახლები ბაგირით ჰკიდია (ფორჩხიძე 1986: 67).

„კლდესთან“ ყველაზე ხშირად მსაზღვრელად დასტურდება „სიდიდე-სიმაღლის“ გამომხატველი ზედსართავეები: კასპის ერთ **დიდ კლდეს** ვერავისი კლდე ვერ სჯობია (გალაკტიონი 1965: 272); და დიდხანს, დიდხანს გადასცქერის ჯიხვი ქარაფებს, **მაღალ კლდის** ქიმზე ქანდაკივით გარინდებული (გომიაშვილი 1960: 15); **უზარმაზარი კლდე** პირდაპირ ზღვაში შედიოდა (დუმბაძე 1989: 179); **უშველებელ კლდეს** ჩემი სოფელი ეხურა, როგორც პატარა ქუდი (აბაშიძე 1990: 45); როგორც ქაჯეთის ციხის გოდლები დგანან **კლდეები უზარმაზარი** (აბაშიძე 1990: 40).

„კლდის“ მსაზღვრელად გვხვდება აგრეთვე მისი ხნოვანება-ასაკისა თუ გარეგნული თვისების აღმნიშვნელი სახელები: **ბებერ კლდეზე** არწივი რომ იჯდა, ფრთას გაშლისო საქმე შენთა ნიჭთა (კალანდაძე 1985: 66); **სველ კლდეებს** ტანზე აშლიათ ხავსი, ვით გარეული ტახის ჯაგარი (ფორჩხიძე 1986: 27); [კაკაბმა] გადირბინა **გოდორა კლდის** თავზე (ვაჟა 1990: 40).

ზოგჯერ „კლდე“ თავად არის მსაზღვრელი: **კლდის** მკერდზე გამოზნექილი წვეტიანი ქვები შიშველ ხანჯალს ჰგვანან (კლდიაშვილი 1955: 374); წყალთა ეშვებით გამოფატრულან **კლდეთა** ფაშვები, შლამით ნალამი (ნიშნიანიძე 1991: 368).

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა „კლდე“ ადამიანის

შინაგან თვისებაზე, გულის სიმაგრეზე მიგვანიშნებს: ოცნებაო ყრმობის, როგორც ხედავ, ესე, ვისიც **გული კლდეა** ვდგევარ ხომლის **კლდეზე** (გალაკტიონი 1965: 403).

ზოგჯერ „კლდე“ გაპიროვნებულა: თქვენ ჩაგიხედავთ **კლდეების** გულში? აქ წმინდათწმინდა სანთელი კრთება... (კალანდაძე 1985: 167).

„კლდის“ გარემომცველი სამყარო პოეტების მიერ დანახულია სხვადასხვა ფერით, ზოგჯერ კი – მზითა და ჩრდილით: შემოსილიყვნენ **კლდეები ჩრდილით, ლურჯით** და **მწვანით** (გალაკტიონი 1965: 300); რა კარგია, ჯვარის **კლდეც**, ხედავ შენი **მზიანი** (გალაკტიონი 1965: 410).

ძველქართულისეული „ზედა“ თანდებულნიანი ფორმით წარმოდგენილი „კლდე“ განსაკუთრებით წარმოაჩენს „კლდის სიმაღლეს“, მთის მიუწვდომლობას: **კლდესა ზედა** მდგომარესა გმართებდა განსჯა, აწ ზღვას შეჰსულხარ, ზვირთთა მისთა სადღა ერიდო? (ჭავჭავაძე 1975: 137).

ზოგჯერ კი „კლდეზე დგომით“ გამოხატულია პოეტის მწუხარება: ვდგევარ **კლდეზე... მწუხარების** ძლიერია ფიქრთა დენა (გალაკტიონი 1965: 36).

კლდე დასტურდება კომპოზიტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად: ნურავინ მეტყვის, ეს შავი **კლდე-ღრე** მისი ვეება ტანი ტიტველი, მშვენებით სავსე არ იყოს ეგრე (აბაშიძე 1990: 41).

გვაქვს აგრეთვე **კლდეკარი** – მნიშვნელობით „ვიწრო გასასვლელი კლდეებში“.

დაიძებნა მქონებლობის **-ოვან** და **-იერ** სუფიქსებით მიღებული „კლდიანი“ და „კლდოვანი“ ფორმები, რაც ნიშნავს „კლდეებისაგან შემდგარს“, „კლდეების შემცველს“ (დერივაციით მიღებულ ფორმებზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

„კლდისდუმა“ კი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელსაც აქვს სქელი მომრგვალო ფოთოლი და მოთეთრო ყვა-

ვილი, იზრდება კლდეზე (ამ ტიპის წარმოებაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი).

როგორც ითქვა, მეგრულში დასტურდება **კვრდე** || **კირდე** ფორმები. მაგალითები: ფარა **კირდეს** დოფაჩენსია „ფული **კლდეს** დაარღვევსო“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 139); **კირდეს** ჩხოუ მიკორდგ დო თუდო გირინი ღვარანდუა „**კლდეზე** ძროხა იდგა და ქვევით ვირი ყვიროდაო“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 26); **კვრდეშა** ეშულა ძნეგე „**კლდეზე** ასვლა ძნელია“; **კვრდეშე** გინვიჯინი დო გურქე გომეხორცქუ „**კლდიდან** გადავიხედე და გული გამისკდა“ (ჩვენი მასალებიდან); გოსხაპუ ეაკე, უცებ **კვრდეთ** მანგი შარა გეგნოთინგ „ისკუპა ზევით, უცებ **კლდიდან** პირდაპირ გზა გაისწორა“ (ქაჯაია IV: 176); ქამოლულა ერსქემეფი თე **კვრდეშე** გინიჯინე „რქამოლუნული ქურციკები ამ **კლდიდან** იყურება“ (ქაჯაია IV: 176); სვანურში: ერქას აშვ **კოჯთელისგა** აჩად „მაშინ ერთ კლდეში შევიდა“ (სვან. ენის ქრესტ. 1978: 213); **კოჯეი** ყვავლარ ხაგხ „**კლდეზე** ყვავილებია“ (ჩვენი მასალებიდან).

§2. „მთა-კლდის“ სხვადასხვა სახეობის გამოშხატველი ლექსიკური ერთეულები

გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელთა ერთი ნაწილი „მთა-კლდის“ სხვადასხვა სახეობაზე მიგვანიშნებს. ამ მხრივ საინტერესო ჩანს ქვემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები:

სპონდიო „წყალქვეშა კლდე“ (ქეგლი VI 1960: 1141); **ფერცხალა** „ფერცხალის, ნეკნის მსგავსი, ჭიუხებიანი (კლდე)“ (ფოჩხუა 1987: 90); ძვ. ქართ. **ფერცხალი** „გუერდი“, „გვერდის წიბო“: სამნი **ფერცხალნი** პირსა მისსა შორის კბილთა მისთა (აბულაძე 1973: 444); **ჭურობი** „კლდიანი ადგილი, სადაც მინდორიც არის“ (ფოჩხუა 1987: 90); **კოთორა** „კლდოვანი მაღლობი ფერდობ ადგი-

ლებში“ (ფოჩხუა 1987: 90); **კრიამბო** „კლდის პირი უფსკრულთან“ (იქვე: 90); **ფეხმოუკიდებელი** „რაზედაც ფეხს ვერ მოიკიდებენ; ფრიალო, ციცაბო“. მაგ., გაზაფხულზე მოვარდნილს წყალს ძირი გამოეთხარა ფერდობისათვის და რაც ხეები და მცენარეები მდგარიყო, სულ ჩამოხვავებულიყო, წყალს წაეღო და ახლა ტიტველი, **ფეხმოუკიდებელი** ბეგი იდგა (ქეგლი VII 1962: 93).

გორი, გორა „არის გვარის სამოსახლო, სამეურნეო საკულტო ადგილი, სიმაგრე, ხშირად სამაროვანიც. ამისდა მიხედვით გვაქვს გორასაცხოვრისი, გორანამოსახლარი, გორასახელოსნო, გორაციხე, გორასამლოცველო და გორასამარხი. გარეგნულად გორებში სამი ჯგუფი გამოირჩევა: განმხოლოებული, განკიდული და ამოზიდული“. გორებად დასახლება ნეოლითის ხანაში დაიწყო, როდესაც მიწათმოქმედების და მეცხოველეობის განვითარების შედეგად გვარი ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა. სამოსახლოდ ირჩევდნენ ბუნებრივ შემადლებებს, უპირატესად ვაკეზე ან ვაკის ზეგნისკენ გარდამავალ ზონაში, რომელიც მდიდარი იყო სამიწათმოქმედო სავარგულებითა და საძოვრებით (ქსე 1978: 221). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **გორი, გორა** „იგივეა, რაც **გორა**, მთა, დიდი ბორცვი, მრგვალი ამაღლებული ადგილი“ (ქეგლი III 1953: 1475).

სერი „მოგრძოდ წამოზიდული გორა“. მაგ., გავიხედე **სერ-ზედაო**, ბატონი ზის ცხენზედაო; აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა, **სერზე** შევდექე, ჭმუნვის ალი მენელა (აკაკი 1980: 36).

მეგრულში: **გვალა**, გოლა, გოაა "гора"; გოლასკური голаскур, село въ сенакскомъ уезде ср. გორე (ყიფშიძე 1994: 213); **გა** „ბორცვი, გორა, სერი“ (ჭარაია 1997: 46). სვანურში: **სუიკუ** (-იშ; -წრ) ზს., ლნტ. – **სიკუ** ზზ., **სუკ(არ)** ლშზ. ბორცვი, გორა (თოფურია, ქალდან 2000: 712). **გორ-ი** (გორ-ა; მეგრ. **გოჯ, გოჯ-ი** (ციხე-**გოჯი**). გვხვდება ძველ ქართულშიც: „იყო ბრძოლაჲ მახლობელად წყაროებისა, გუერდით კერძო **გორსა**; ალაგო მას ზედა **გორი** დიდი

ქვისადა“. ქართული **გორ** ძირის შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული **გოჯ**-, რომელიც შემონახულია **ციხე-გოჯ** ტოპონიმში (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 149).

გორაკი „პატარა გორა, ბორცვი“ (ფოჩხუა 1987: 88).

მაღლობი „მაღალი ადგილი, გორა“ (ქეგლი V 1958: 100).

ბუცობი „ამობურცვით მიღებული რელიეფური ბურცული გამოსახულება“ (ქეგლი I 1950: 1186).

მაგალითები: მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები **გორას!** (ლე-ბანიძე 1987: 13); მაღალ **გორაზე** დაუთოვია, გულს მოსვენება ვერ უპოვია (გალაკტიონი 1965: 441). ზოგჯერ სვანურში „**გორაზე**“ ფორმის ბაძლად იხმარება **გორაგვი: გორაგვი** მუს ხაზ „გორაზე თოვლი დევს“ (თოფურია, ქალდანი 2000: 712).

შემალეობა „მაღლობი გორაკი, ამოზიდული, მომაღლო ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 891).

ქართულში დასტურდება აგრეთვე შემდეგი ლექსემები: **ბორცვი** „მცირედ შემალეობული ადგილი, გორაკი“ (ქეგლი I 1950: 63); **ბორცუ** „გორაკი“; **ბორცუნი** დამდაბლდენ“; „შეკრიბეს ლოდები და აღადგინეს **ბორცვ**“ (აბულაძე 1973: 34); **ფრიალო** „შვეული რამ“ (ფოჩხუა 1987: 88); **ფრიალო** „მეტად ციცაბო“ (საბა 1993: 200); **ციცაბო** „ძალზე დაქანებული“ (კლდე, მთა) (ფოჩხუა 1987: 88); გვაქვს ზმნისართიც „ციცაბოდ“ „ძალზე დაქანებულად“. მეგრულში **ციცაბო** – **ფაფალა** (ჭარაია 1997: 134), ასევე **კინდღ**, **კინდღღ** (ქაჯაია II: 143); სვანურში **მთაც** და **ციცაბოც** აღინიშნება სიტყვით **გოლან** (თოფურია, ქალდანი 2000: 174); სვან. **ციბ** ზს. ქს. „მაღალი ღობე; გალავანი“. ქართ. **ციცაბ-ი** „ფრიალო გვერდი, ამართული“ (საბა); **ციცაბო** ზან.; ქართულში ფუძე გაორკვეცებულია **ციბ-ცაბ** → **ცი-ცაბ**. საერთო ქართვ. ***ციბ-** „მაღალი გვერდი, კედელი“ → ქართ. '**ციბ**' –, ცი-**ცაბ-ი** || ცი-**ცაბ-ო** (←***ციბ-ცაბ-**); სვან. **ციბ** (ჩუბუა 2000-2003: 337). მეგრულში დადასტურდა „ციცა-

ბოს“ აღსანიშნავად **„ახრა“**: ვარა რკუნდას რაში ცხენი, ახრა კვრდეთ მაფურინე „ან გყავდეს რაში ცხენი, **ახრა-კლდეებში** მფრინავი“ (ქაჯაია III: 208); შხვა განიშე უჯინინო, ვორწყეჟ **ახრა** ჩეგემეფც „სხვა მხარეზე რომ გავიხედო, ვხედავ **ციცაბოს**, უფსკრულს“ (იქვე: 208).

კიუხი სწორხაზოვნად გადაჭიმული მადლობია, რომელსაც მომრგვალებული, გუმბათისებრი ზედაპირი აქვს. ჩვეულებრივ, წარმოადგენს ძლიერ დანგრეული და შემდეგ რამდენადმე აზვე-ბული ქედების ნარჩენებს (ქსე 1987: 401); **კიუხი** „შიშველი, წვე-ტიანი კლდე“ (ქეგლი 1986: 571).

ბეგი „ამაღლებული ადგილი, ბორცვი, გორაკი“ (ქეგლი I 1950: 1033); **ბექური** „ბექიანი ადგილი“ (ფოჩხუა 1987: 88).

ზოგი ლექსიკური ერთეული „მთას“ ახასიათებს გარკვეული ნიშნის მიხედვით. მაგალითად, **თაფა** „პატარა მთა“ (ფოჩხუა 1987: 88); **უნაგირა** „ორად ამოწვერილი მთა“ (უნაგირის, კეხის მსგავსად) (ფოჩხუა 1987: 88); **წვერწვეტა** „წაწვრილებული წვე-რის მქონე (მთა)“ (იქვე: 87); **სათოვლე** „თოვლიანი მთა“ (ქეგლი VI 1960: 282); **მთაგრეხილი** „ერთმანეთს მიყოლებული, ერთმანეთზე გადაბმული მთები“ (ფოჩხუა 1987: 87); **კბოდე** „ციცაბო კლდე ზღვის (მდინარის) პირას“ (იქვე: 89).

ძვ. ქართულში **კბოდე**, **კმოდე** „კლდით კერძო“: მიიმართა... **კბოდესა** მას ზღუად (კლდით კერძო ზღუასა) (აბულაძე 1973: 194).

ქედი „წაგრძელებული მთა, სერი, მთაგრეხილი“ (ქეგლი VII 1962: 280); ძვ. ქართულში ქედი ნიშნავს „ყელს“, „კისერს“ (აბულაძე 1973: 452); **ქედი** ხაზობრივად წაგრძელებული მთის ნაგებობაა, რომელსაც აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით დახრილი კალთები. ქედის სიგრძე, სიმაღლე და ფორმა დამოკიდებულია მის წარმოშობაზე, განვითარების ისტორიასა და ამგებელი ქანების ლითოლოგიურ შედგენილობაზე (ქსე 1985: 497). **ქედს** თანამედროვე ქართულშიც აქვს ძველქართულისეული

მნიშვნელობა „ადამიანის კისერი“. გადატანითი მნიშვნელობით კი „ქედზე უღელს დაადგამს“ ნიშნავს „დაიმონებს“; **ქედის მოდრეკა** ქედის მოხრა, დამორჩილება (ქეგლი VII 1962: 280); ქედის ჩაზნექილი ადგილია უღელტეხილი, სადაც გადადის გზა; **უღელტეხილი** „გადასავალი, ქედის ან მთის მასივის გადასასვლელად მოხერხებული ყველაზე დაბალი ადგილი“ (ქსე X: 193). გადატანითი მნიშვნელობით **უღელტეხილი** ნიშნავს „მნიშვნელოვანი გარდაქმნის მიჯნას“ (ეს არის დიდი უღელტეხილი ჩვენი წარსულისა) (ქეგლი VI 1960: 1651).

§3. „მთა-კლდის“ ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში

ცალკე გამოიყო „მთის“ შემადგენელ ნაწილთა აღმნიშვნელი სახელები. ესენია:

ფხაკო „გვერდობი კლდისა“, ხრიოკი ფერდობი (ფოჩხუა 1987: 89; ქეგლი VII 1962: 226).

ნაპრალი „გახეთქილი ჩანგრეული ადგილი, დიდი და ღრმა ნაბზარი; კლდის ნაპრალი“ (ქეგლი V 1958: 1353); ილ. აბულაძის ლექსიკონში **ნაპრალი** შემდეგნაირად განიმარტება: „**პარეხი**“, ნაპრალი კლდეთა შორის; კიბის საფეხური. შთამოაბა თავი თჳსი **პარეხსა** მას კლდისასა (აბულაძე 1973: 337). **ნაპრალი** „განახეთქი“ (საბა 1991: 576). სვანურში **ნაპრალის** აღსანიშნავად დასტურდება **ბღე; ბღე (ბღე – მიმ, -წრ || -წრ) ბღეჰ (-იმ, -წრ) ბზ. ბღე (-ი/ემ, -წრ) ბქ., ლნტ. ბღემ (ბღეიმ, ბღეწრ) ლშხ. ნაპრალი (მეინ-ვარისა)...** (თოფურია, ქალდანი 2000: 159).

ფიქალი „შრობრივი აგებულების მთის ქანი“ (ქეგლი VII 1962: 121). ძვ. ქართ. **ფიქალი**: შევკრიბე **ფიქლები** და ქვები და დავბურე იგი (აბულაძე 1973: 445).

ცხვირი „წინ წამოშვერილი ნაწილი (მთისა ან რაიმე საგნისა)

(ქეგლი VIII 1964: 687): **მთის ცხვირი** გვერდზე გადაზნექილიყო; **გოლაშ ჩხვინდიშე** ეკლესია ირწყებედუ „**მთის ცხვირიდან**“ ეკლესია მოჩანდა“ (ჩვენი მასალებიდან).

კონცხი „ცხვირი კლდეთა მაგარი და ძნელოვანი“ (ქეგლი IV 1955: 1333); ზღვაში, ტბაში ან მდინარეში შეჭრილი ხმელეთის სანაპიროს ნაწილი – აგებულია მკვიდრი ქანებით ან ნატანით (ქსე 1980: 654); სვან. **კპრჩხ** || **კპრჩხ**- || **კპრჩხ**- || **კორჩხ**-, **ხ-ე კპრჩხ**-ი ბზ., **ხ-ე კპრჩხ**-ი ბქ., **ხ-ე-კპრჩხ**-ი ლშხ., **ხ-ე კორჩხ**-ი ლნტ. „ცოცდება (ხეზე, კლდეზე...)“ ზან. **კენჩხ**-ი || **კინჩხ**-ი „ქედი“; სვანურში ლენტეხური დიალექტის ჩვენება უძველესია, ამოსავალი **ო**-ს უ ლაზიალური ელემენტის (ვა) გაუჩინარების კვალი ჩანს **ა**-ს სიგრძეში – **კორჩხ**- → ***კუარჩხ**- → **კპრჩხ**- სვანურ წყაროს ვარაუდობს ლეჩხუმური **კანჩხ-ხა** „ძლიერ მაღალი“. ქართულ **ნ**-ს ამ შეპირისპირებაში **რ** შეესაბამება სვანურში. ს.-ქართვე. ***კონცხ** „მწვერვალზე ასვლა, მწვერვალი“ → ქართ. **კონცხ**-ი : ზან. **კინჩხ**-ი || **კენჩხ**-ი ← **კონჩხ**-ი, სვან. **კპრჩხ**- || **კპრჩხ** || **კორჩხ**- (←***კონჩხ**-) (ჩუხუა 2002-2003: 122). **კონცხი** დასტურდება ძვ. ქართულშიც (მოიწია იგი **კონცხსა** ერთსა მის მთისასა...). მეგრულ ძირს უნდა უკავშირდებოდეს **კონჩხ**- ტოპონიმი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 290).

ზეგანი „ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე (ქეგლი IV 1955: 111); დედამიწის ვრცელი, მოსწორებული და ამაღლებული მონაკვეთი, რომელიც ხანგრძლივი ბაქნური რეჟიმის პერიოდში დენუდაციას განიცდიდა, ხოლო ტექტონ. აზეგებისა და გამლიერებული პროცესების შედეგად ღრმად დანაწევრდა (ქსე 1979: 493); სულხან-საბას ლექსიკონში: **ზეგანი** „არც მეტად მთა იყოს და არც ბარი, საშუალი“ (საბა 1991: 278). ქართ. **ზე-ზე-და**; **ზე-ნა**, **ზე-გან**... მეგრ. **ჟი ჟი** „ზევით“; **ჟი-ნ-დო** „ზემოთა“; **ჟი-ნო** სქუა „აზნაურიშვილი“; ლაზ. **ჟა/ჟო/ჟი მო-ჟა-დვ-ე(რ)-ი** „მოდებული“, „დადებული“; **გე-ჟა-გიტას** „იდოს“; **მე-ჟა-ჭკვიდ-ერ-ი** „გადაწყვეტილი“, **მო-ჟა-კიდ-ერ-ი** „ჩამოკიდებული“, **მო-ჟო-ო-ზ-უ-ტ-ი**

„მობმული იყავი“; **მე-ყო-ჩ-უ** „გადასცა (= დაწყევლა)“; **ჟი-ნ** „ზე-ვით“; **ჟი-ნ-დო** „ზემოთა“; სვან. **ჟი/ჟ თხუმი-ჟი** „თავზე“; **გუ-ჟი** „გულზე“; **ჟ-ან-ღ-ი** „ამოდის“; **ჟ-ა-ჩანდ** „ავიდა“... **ზე** და მისგან ნაწარმოები ფორმები დასტურდება ძვ. ქართულში: მოილო ტყავები იგი თვისი და აღტყორცა **ზე** აერთა... წყალი იგი ზესკნელი ღრუბელ იქმნის ზესა მას ადგილსა აღსლვითა მით ორ-თქლისითა მდინარეთასა; რაჟამს აღვიძრით ჩუენ **ზე**ადმართ; უკუეთუმცა არა ხიყო შენდა მოცემულ **ზე**გარდმო; მოაქციოს ნათესავმან მან უკეთურებისაგან მათისა, რომელსა ხვტყოდე ყოფად მათ **ზე**და; მოვიდეს საფლავსა მას **ზე**და... ქართ. **ზე**-ს კანონზომიერი ლაზური შესატყვისი შემონახულია **მე-ჟა**, **მო-ჟა** რთულ ზმნისწინებში (ამ ზმნისწინთა **მე-ჟო**, **მო-ჟო** ვარიანტები მიღებულია **ჟა**-სგან მომდევნო ლაბიალური ხმოვნის, ან თან-ხმოვნის ზეგავლენით). მეგრულისა და ლაზურის **ჟი**, **ჟინ** (<***ჟი-ნო**) და **ჟინ-დო** ზმნიზედური ფუძეები გამოავლენენ **ჟი** ფორმას, რომელიც მომდინარეობს **ჟა**-სგან (ხმოვანთა შესატყვისობების დარღვევა შეპირობებულია **ნ**-ს მეზობლობით), რასაც აშკარად წარმოაჩენს ლაზური **ჟა** ვარიანტის არსებობა. აღსანიშნავია, რომ მეგრულში შემონახულია **ჟი-ნო**-სქუა („აზნაურიშვილი“) კომპოზიტი, რომელსაც დაუცავს **ჟი-ნო** ვარიანტი, ქართული **ზე-ნას** კანონზომიერი შესატყვისი შეფარდება ქართ. **ა** : მეგრ. **ო** ამ შემთხვევაში იმით აიხსნება, რომ **ჟი-ნო** ატრიბუტული მსაზღვრელია. მეგრული **ჟინ-დო** და ლაზური **ჟინ-დო** ქართული **ზე**და ფორმის კანონზომიერი ფონემური შესატყვისებია (**დ**-ს წინ **ნ** ასიმილაციურად არის გაჩენილი. შესატყვისობა ქართ. **ე** : მეგრ. **ო** : ლაზ. **ო** პოზიციურია; ასევე პოზიციით არის შეპირობებული ქართ. **ა** : მეგრ. **ო** : ლაზ. **ო** სიტყვის აუსლაუტში). კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **ზე-ნა** ფორმას სვანური **ჟი** (<***ჟე-ნა ე** > **ო** პროცესისა და შემდეგ **ნა** ელემენტის მოკვეციტ). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე ენის დონისათვის აღადგინა

***ზე** არქეტიპი, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***ზედა-**, ***ზენ-** არქეტიპი. შესაძლებელია, საერთოქართველური ფუძე-ენის დონისათვის აღვადგინოთ ***ზე** არქეტიპი, რომლისგანაც საერთოქართველურშივე იწარმოებოდა ***ზედა**, ***ზენა** ფუძეები (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 220). მეგრულში ზეგანის მნიშვნელობით გვაქვს **გაზარი**. სვანურში ზეგანს **ნაკს** ეძახიან (ჩვენის მასალებიდან).

„მთის“ ნაწილების აღმნიშვნელია შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც: **კინწრუხა** „კლდის წვეტი“ (ქეგლი IV 1955: 1228); **კინკრიხო** გადატ. „მთის წვერი, მთის თხემი“ (იქვე: 1213); **ქიმი** „გამომწვერილი, წაწვეტებული ნაწილი რისამე“, „კლდის ქიმი“ (ქეგლი VII 1962: 456). ძვ. ქართულში **ქიმი** „წილი: შევარდა სიტყუა იგი წინაწარმეტყველისად **ქიმთა** ქუეყანისათა (აბულაძე 1973: 454); **შტო** „ქედის განაყოფი“ (ფოჩხუა 1987: 87); **თოვლის ხაზი** „მთის ის ადგილი, ის ნაწილი, რომლის ზევითაც თოვლი მუდმივად დევს“ (იქვე: 87); **გოხი** „კლდის ნატეხი, ლოდი“ (იქვე: 1987: 89); **კალთა** „დაქანებული, დაფერდებული მხარე (მთისა...)“: კავკასიონის ქედის **კალთიდან** პაწია წყარომ ცელქად გამოხეთქა; ქარი კრეფდა ფიფქ თოვლს, უბერავდა და შლიდა მთების **კალთებზე**; როცა გორაკს გადავდიოდი, უკანასკნელად დავინახე მთის **კალთაზე** გაშლილი ნახირი; მათი მამები აგერ იმ მთის **კალთებზე** წვანან (ქეგლი IV 1955: 1631).

„მთის“ წვერის აღმნიშვნელია **წვერო** „რისამე წაწვრილებული ზედა ნაწილი“ (ქეგლი VIII 1964: 1076). მეგრულში დასტურდება „**წვანჯი** – იგივეა, რაც **წვანდი** – წვერი, წვეტი, რისამე წვეტიანი ბოლო“. სვანურში **კანცხ** „წვერო“ (ბქ.) (-იმ, კაცხარ) ზს., ლნტ. კეცხ (-არ) ლშხ. კენწეროს ზედა ბოლო (თოფურია, ქალდანი 2000: 305); **კუნწულა** „წვერო, თხემი, მწვერვალი“, შდრ. **კუნწუხ-ო**: [ქარმა] ზვინის აჩეჩილი გვერდები ჩამოვარცხნა, კუნწულიდან ხმელი თოვლი ჩამოფერთხა (ქეგლი IV 1955: 1431). მეგ-

რულში: **კორკონტი** || **კორკონტია** „წვერი, კენწერო, ფოჩი“ (ქაჯაია II: 158). ქართ. **კუნწუხ-ი**, ქიზიყ. **კონწუხი** „მწვერვალი ხისა, მთისა, წვერი, თხემი“, მთიულ. „შორი, გადაკარგული ადგილი“. ზან. (მეგრ.) კვინჭკუბ-ე „თემო, ბარძაყი“. სვან. –. ქეგლში **კუნწუხი** „ხის კენწეროს“ ნიშნავს. მ. ჩუხუას, ფორმალური თვალსაზრისით, უფრო ძველ ფორმად ქიზიყური **კონწუხ-ი** მიაჩნია – **კონწუხი** → || **კუნწუხ-ი** (ასიმილაციით); არქაულ **კუნწუხ** ფუძეს კანონზომიერი შესატყვისი ეძებნება მეგრული **კვინჯგუბ-ე** || **კვინჭკიბ-ე** „თემო, ბარძაყი“ სიტყვის სახით. აქ პირველ ნაწილში **ო** → **ვი** პროცესი ვლინდება შდრ. სხვა შესატყვისობები ქართ. **კ** : ზან. **კ**, ქართ. **ნ** : ზან. **ნ**, **წ** : **ჭ**, **უ** : **გ** → || **ი** ← ***უ** (გ. როგავა) **ხ** : **ხ**, **კონწუხ-** (**კუნწუხ-** : **კვინჯგუბ-ე** ← ***კონჭუხ-ე** შეპირისპირებას უნდა დაემატოს რაჭ. **კუნწ-**ი, მოხ. **კუნწ-ულ-**ი, ქიზიყ. **კუნწ-ულ-**ა „ხეხილის მსხმოიარე ტოტი, ქიზიყ. **კოწ-ოლ-**ა „კენწერო“, ჭან. **კუჭ-ან-ი** „თავი, კენწერო“, რომლებიც **კონწ** სეგმენტს გამოგვაყოფინებენ საერთო ძირად, შდრ. **კენწ-ერ-ო** ← ***კონწ-ერ-ო**; ამოსავალი მნიშვნელობა „ამობურცული, ამოწეული ადგილისა“ უნდა ყოფილიყო. ს-ქართვ. ***კონწ-** „მწვერვალი, კენწერო, თხემი, თემო“ → ქართ. **კონწ-უ-ხ-ი** || **კუნწ-უ-ხ-ი**, **კუნწ-ი**, **კუნწ-ულ-ი**, **კენწ-ერ-ო** ← ***კონწ-ერ-ო** : ზან. **კვინჭ-გ-ხ-ე** ← ***კონჭ-უხ-ე**, **კუჭ-ან-ი** ← ***კონჭ-ან-ი**. ს. ქართვ. ***კონწ-**ს გენეტურად უკავშირდება ს. ნახ. **კუჭ** „მთის წვერი“ (ჩუხუა 2002-2003: 131).

ზოგი სიტყვა „მთის“ ან „კლდის“ ნაპირის გამომხატველია. მაგ., **ცერი** „კლდის, ნაფხვერის (მოზვავებული ფერდობის) ან მაღალი მთის ნაპირი“: ამოველ ზეთავის წვერზე იმ საქარბუქო **ცერშია** (ხალხ.). ქართ. **ცერ** – **ცერ-ი**; მეგრ. **ჩანჯ** – (**ჩან** – **ჩანჯ-ი კით-ი** (**ჩან-ი** – **კით-ი** / **ჩან** – **კით-ი** „ცერი“; სვან. **ჩერ** – **ჩერ** – შდ-ოლ (ბზ.) **ჩერ** – შტ-ოლ / ლშხ.) „მსხლის ჯიში“. დასტურდება ძვ. ქართულში: მონაგები და სიმდიდრე დაუდგრომელ არს და ეგრეთვე სიგლაზაკე, არამედ ორნივე **ცერსა** ზედა დგანან გარდა-

ქცევად; დაჰლენწა **ცერნი** მარიანოსს ებისკოპოსსა. ქართულ **ცერ-** (< ***ცერ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჩანჯ-** : **ნ-ჯ**-ს წინ განვითარებულია და სვანურში **ჩერ-** (შემონახულია **ჩერ-შდ-ოლ** (ზზ.); **ჩერ-შტ-ოლ** (ლშხ.) კომპოზიტში. გ. კლიმოვმა ***ცერ** არქეტიპი აღადგინა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ფენრიხი, სარჯველაძე 2002: 595).

§4. „მთა-კლდესთან“ მდებარე ადგილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები

ცალკე გამოიყო სახელთა ერთი ნაწილი, რომელიც „მთა-კლდესთან“ მდებარე ობიექტებს გამოხატავს.

მთებს შუა წყალგამყოფ ადგილს „ხეობა“ ჰქვია. „ხეობასთან“ დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებია: **ხეობა** „ადგილი წყალგამყოფ მთებს შუა, მდინარის გასწვრივ“. მაგალითები: **ხეობაში** მომწყვდეული მდინარე იბრძოდა და ჩუხჩუხებდა ; მთელი **ხეობა**, ქალი და კაცი, გაოცებაში მოჰყვანდა გმირისეულის, მართლა და გმირულ აგებულებას (ქეგლი VIII 1964: 1425); **კევი, კევი** „ნალურევი“, „ცხვრი“, ხეობა, კანტონი, „დელე“: აღქაფნებოდა წყალი იგი, ვითარცა სიმძაფრე ხევისაჲ (აბულაძე 1973: 566). მეგრულში გვაქვს **ლეხერი, ლეხერა** ფორმები: **ინგი/გრიში ლეხერა** „ენგურის ხეობა“ (ქაჯაია II: 348). სვანურში: **ტუიბ** (-იმ, – ვრ ტუბზრ ზს., ლნტ., -არ ლშხ.), – ხეობა, ხევი: **კუმზ ტუიბთე** ესდრიხ (ზზ.) „საქონელი **ხევიში** მიდის (მიდიან)“ (თოფურია, ქალდანი 2000: 720).

ხევი – მშრალი ან დროებითი ნაკადიანი ღრმა ხეობაა. გამოძეშავებულია ნიაღვრების ეროზიული მოქმედების შედეგად. სიღრმე და სიგანე რამდენიმე ათეული ან ასეული მეტრია, სიგრძე – რამდენიმე ათეული კილომეტრი. ხევს უწოდებენ წყლის დროებით მცირე ნაკადსაც, რომელიც მოდის ეპიზოდურად, მცირე დროის განმავ-

ლობაში, დიდი წვიმების დროს (ქსე 1987: 451). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ხევი** ასეა განმარტებული: „მდინარის ღრმა კალაპოტი (მთებში). მაგ.: [გაგის ამხანაგებმა] როდესაც კლდეებზე გადაიხედეს, **ხევი** დაინახეს დაფლეთილ-დამახინჯებული კაცი და ცხენი; ტყეში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ ღრმა **ხევიდან** წყაროს ჩურჩულიც კი მოისმა (ქეგლი VIII 1964: 1425).

ვახუშტი ბაგრატიონი ხევს, წყალსა და მდინარეს სინონიმური მნიშვნელობით იყენებს. მთავარი ფაქტორი წყლიანობაა (ვახუშტი 1973: 669). **ხემა** ან **ხევამ** შეიძლება წყალიც აღნიშნოს, მთელი ხეობაც და სოფლის სახელადაც იქცეს. თავდაპირველი შინაარსით ხევიც წყალთან (მდინარესთან) არის დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ სემასიოლოგიურად (ფუძისეული და ძირისეული მასალით) ეს სიტყვა **წყალ** სიტყვასთან სიახლოვეს ამჟღავნებს ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში. ხევის დამოუკიდებლად გამოყენების მხოლოდ ორი შემთხვევა ფიქსირდება: **ხევა** (მდ. და მთა შუახევი), **სქურია** (მდ. ხობი). ორივე შემთხვევაში დამოუკიდებელი სახელი გაფორმებულია, თუმცა ნ. ოთინაშვილი სხვაგვარ ვარაუდს გამოთქვამს: ერთმანეთის პარალელურად, ერთნაირი მნიშვნელობით ორივე იხმარება ლიახვის ხეობის ჰიდრონიმიაში – **ხევი** და **ხევა**, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არის – **ხევი** ცალკე მსაზღვრელის გარეშეც შეიძლება შეგვხვდეს, **ხევა** კი უთუოდ მსაზღვრელს დაირთავს და შედარებით იშვიათად იხმარება. ატრიბუტული მსაზღვრელით ნაწარმოები მდინარის სახელები დიდი პროდუქტიულობით არ გამოირჩევა (დიდხევი, ჩითილისხევი, ბჟოლისხევი, წუნარისხევი, განძისხევი... მარნეული), ბელურახევი (დუშეთი) (მაღრაძე 2004: 97-98).

მეგრულში დასტურდება **ინორობა** „ჩაღრმავებული ადგილი, ხევი, ხრამი“: ცვილირ თურქეფით ეიოფშეს, სოდეთ **ინორობა** რდუნ „მოკლული თურქებით აავსეს, სადაც ხევ-ხევი (ჩაღრმავებული ადგილი) იყო“ (ქაჯაია II: 88).

ლექსიკის ერთი ნაწილი „ხეობას“ ახასიათებს სიდიდის, სი-

მაღლე-სიღრმის, სიმშრალის, ზედაპირის ხარისხისა თუ სივიწროვის მიხედვით: **ხრამი** „კლდიანი ღრმა ხევი“, „ღრანტე“. მეგრულში **ხაზო** – „ხრამი“, „ხევი“: წი მუთ ქიიმუბშეთინი, გევორღვით **ხაზოს** „წელს რაც კი ვიმუშავეთ, ჩავყარეთ **ხრამში**“; ცხენქ **ხაზოშა** გეგნოულუა „ცხენი **ხრამში (ხევიში)** გადაუვარდაო“ (ქაჯაია III: 356); სვანურში **ფაქრაჟან** (-იშ, -ჟანწლ) ბზ. **ფაქრაჟან, ფაქრეჟან, ფრექ** (-ალ ლშხ. წლ ლნტ.) „უფსკრული, ხრამი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 752).

„ხეობის“ ნაირსახეობას გამოხატავს შემდეგი ლექსიკური ერთეულებიც: **ნაღვარევი** „ძვ. ხმელი ხევი, სადაც ნაღვარმა, ღვარმა გადაიარა“: მამასახლისი, მომრიგებელი, მოსამართლე... სამი თუ ოთხი საათი უვლიდნენ ნაღვარევს; **ღრანჩო** „პატარა ხევი“ (ქეგლი VII 1962: 470); **გასწვრივი ხეობა** „ხეობა, რომელიც ქედს გასდევს“ (ფოჩხუა 1987: 91); **ვაკე-ხეობა** „გავაკებული, უმთაგორაკო ხეობა“ (იქვე: 91); **ღირღალი** „უსწორმასწორო დახრამული ადგილი“ (იქვე: 91); **ღრე** „დიდი და ღრმად ჩაღრმავებული ადგილი“ (**მთა-ღრე, კლდე-ღრე, ტყე-ღრე**); **ღრადო** „კლდიანი ღრმა ხევი“ (იქვე: 91); **ღრანტალი** „ღრმა ხევი (იქვე: 91); **ღრანტობი** „ღრანტე ადგილი“ (იქვე: 91); **ნაღრანტი** „წყლისაგან ჩახრამული ხევი“ (იქვე: 91); **წკვარამი** „ხევის ერთ-ერთი სახეობა, ღრმა ხევი (უფსკრული)“. შდრ. მეგრ. **სქვარამი** „ღრმა ხევი“; „უფსკრული“ (ქაჯაია II: 623); **ყრჩუ** „ვიწრო და ცხელი ადგილი ხევიში“ (ფოჩხუა 1987: 91).

დაიძებნა **ხევის** ნაწილების აღმნიშვნელი სახელებიც: **ნოღა** „ხეობის ნაწილი, რომელსაც ფარავს წყალი წყალდიდობის დროს“; **ხევიწრო** „ვიწრო გასავალი კლდეებში, ხევიში“ (ფოჩხუა 1987: 91); **ტალვეგი** „ხეობის ფსკერის უმდაბლეს წერტილთა შემაერთებელი ხაზი“; **წარბი** „ხეობის ფერდობებისა და მდინარის ზედაპირის შემხვედრ წერტილებში გამავალი ხაზი“; **ნაური** „მთებშუა ან სერზე სიგრძივ ჩაღრმავებული ადგილი“; **მაქანარი** „ხევის პირი, ორ-ხევი, ორი ხევის შეერთების ადგილი“ (ფოჩხუა 1987: 91).

§5. „მთის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართული ენის დიალექტებში

ქართული ენის დიალექტებში **მთის** სხვადასხვა ნაწილის აღსანიშნავად დასტურდება: **ფხაწალი** (მთიულ.) „კლდიანი, მიუდგომელი ადგილი მთაში“ (ქეგლი VII 1962: 228); **დალდე** (ფშ.) „კლდეში შეზნექილი ადგილი, სადაც ნადირი დაწვება ან თოვლი შერჩება“ (ქეგლი III 1953: 488); **ზორო** (რაჭ.) „დიდი მთა, მიყრუებული ადგილი მთაში“ (ღლონტი 1974: 81); **ნაური** (ქიზ.) „მთებს შუა ან სერზე სიგრძივ ჩაღრმავებული ადგილი (ხეობაზე უფრო პატარა)“ (ქეგლი V 1958: 1382); **კეტამი** (ფშ.) „კლდის ქიმი“ (ღლონტი, 1974, 282); სვანურში კლდის თავზე იტყვიან **კოჯიმ თხტიმ**. **კოჯიმ თხტიმი** მუს ხაზ „კლდის თავზე თოვლი დევს“ (ჩვენი მასალიდან); **კინწუხი** (ფშ.) „წვერი, წვეტი, კენწერო“ (ქეგლი IV 1955: 1222); **კინწრიხო** (მოხ.) „თხემი, წვერი მთისა, კლდისა“ (ღლონტი 1974: 292); **ლაწვი** (ხევს.) „კლდიანი ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 406); **კოდმე** (გურ.) „მთის კონცხი, გორის ფერდობი, გვერდობი“ (ქეგლი IV 1955: 1258); **კუჭულა** (ხევს.) „მთის წვერი“: არ ეშვებიან ღრუბელნი მალლის ჭიუხის წვერსაო, ჭიუხის **კუჭულაზედა** სინდიურისძე წევსაო (იქვე: 1432).

ქართული ენის დიალექტებში დასტურდება აგრეთვე „მთის“ სახეობათა აღმნიშვნელი სახელები: **ქანჩახი** (ფშ., თუშ., ქიზ.) „ბუჩქნარი, ბუჩქით ან ტყით დაფარული კლდიანი ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 254); **კრანჩხი** (ქიზ.) „ღრანტე, კლდე“ (ქეგლი IV 1955: 1366; ფოჩხუა 1987: 89); **კაწაპანია** (რაჭ.) „მაღალი აღმართი“ (ქეგლი IV 1955: 1109); **ზრეკი** (იმერ.) „პატარა გორაკი – ბეკი“ (ქეგლი I 1950: 1131); **წრიაპი** (ზემო იმერ.) „ციცაბო; ციცაბო კლდე“ (ქეგლი VIII 1964: 1172); **კარწახი** (გურ.) „დიდი აღმართი“ (ქეგლი IV 1962: 1089); **კარჩხალი** „კარჩხალი მთა“ (გურ.) – კლდოვანი, ტიტველა მთა (ქეგლი IV 1962: 1088); **ღრიანკელი**

(იმერ., გურ.) „კლდოვანი ვიწრო და ღრმა ხეობა, ხრამი“, მაგ., აბდუშაჰილმა გზის სიმოკლის გულისათვის ისეთ **ღრიანკელში** შეიყვანა ჯარი, რომ გაშლა არ შეიძლებოდა და საძრაობა აღარ ჰქონდათო; კაცო, **ღრიანკელში** გვყრიან, კისერს გვტეხენ (ქეგლი VII 1962: 475); **დაყაშებული** (ფშ.) „დამსკდარი (კლდე, მთა)“, მაგ., რაც ერთი იყო, იგივე მეორე: იგივე სალი მკერდი **დაყაშებული** და შიგადაშიგ დახავსებული (ქეგლი III 1953: 203).

§6. „მთა-კლდის“ აღმნიშვნელი სახელები იდიომებში

ცნობილია, რომ ტერმინი „იდიომი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან **idioma**, რაც თავისებურებას ნიშნავს. ამჟამად ამ ტერმინით აღინიშნება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ტიპი.

იდიომი შეიცავს ორ კომპონენტს მაინც, რომლებიც ცოცხალი სიტყვებია. იდიომის გვერდით არსებობს მისი ომონიმური თავისუფალი შესატყვისებიც. მაგ., „კოვზის ნაცარში ჩავარდნა“ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თავისუფალი შესიტყვება (როდესაც გვინდა აღვნიშნოთ კოვზის ნაცარში ჩავარდნის რეალური ფაქტი) ან როგორც იდიომი – მნიშვნელობით: მარცხის განცდა, წამოწყებული საქმის ჩაშლა, იმედის გაცრეება (ონიანი 1966: 6). იდიომები მზა ფორმით არსებობენ ენაში და ძირითადად ერთნაირად მეორდებიან მეტყველებაში. თავისუფალ შესიტყვებასთან მას აერთიანებს აგებულება, მაგრამ განასხვავებს მნიშვნელობა (იქვე: 7).

აღსანიშნავია, რომ „მთა-კლდის“ აღმნიშვნელი ლექსიკა და იძებნა იდიომებშიც. ყველაზე ხშირად გვხვდება „მთა-ბარის გასწორება“ – ყველას და ყველაფრის გათანაბრება: ლაპარაკობდნენ, კანონები დაიბეჭდაო, რომ ვეღარც სცემსო, ვეღარც ნამუსს შეურცხვენსო; ერთი სიტყვითა **მთა** და **ბარი** გასწორდაო; ქვეყანას ვინ

შესცვლისო, **მთა** და **ბარი** ვის გაუსწორებია მარტოცა, ჩემმა შვილმა რომ გაასწოროსო (ქეგლი IV 1955: 258).

ასევე ხშირად დასტურდება „ცხრა **მთას** იქით“ – ძალიან შორს: ცხრა **მთას** იქით ხომ არ მისტუმრებ, რომ მაგოდენა ბარგ-ბარხანას თან მატან; ცხრა **მთას** იქითაც, თუკი ფეხი დადგა ნადირმა, იგი გუმანით მიუხვდება, ვით გულთმისანი (ქეგლი IV 1955: 258).

მთა გვხვდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც: **მთა და ბარი, მთა და ველი** „მთელი ქვეყანა“; **ამ მთის, იმ მთის; იმ მთისა და ამ ბარისა** „ესეც და ისიც; აქაური და იქაური; სხვადასხვა; ყველაფერი“ (ქეგლი V 1958: 246).

ამრიგად, „მთა-კლდის“ აღმნიშვნელი ლექსიკა დაიყო რამდენიმე თემატურ ჯგუფად: ა) უშუალოდ „მთისა“ თუ „კლდის“ აღმნიშვნელი სახელები; ბ) „მთა-კლდის“ სხვადასხვა სახეობათა გამომხატველი ლექსიკური ერთეულები; გ) „მთა-კლდის“ ნაწილების აღმნიშვნელი სახელები; დ) „მთა-კლდესთან“ მდებარე ობიექტების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები. აღნიშნული ტიპის სახელები ასევე გამოიყო ქართული ენის დიალექტებში. „მთა“ დადასტურდა იდიომებშიც.

აღსანიშნავია, რომ გაანალიზებული მასალის ერთი დიდი ნაწილი საერთოქართველური წარმომავლობისაა.

თავი II

„ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში

„ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში ასევე რამდენიმე თემატურ ჯგუფად დაიყო: ა) უშუალოდ „მიწა-ბარის“ გამომხატველი სახელები; ბ) „მიწა-ბარის“ სახეობათა (თუ თვისების) აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები; გ) „მიწის“ ნაწილების გამომხატველი სახელები; დ) „მიწა-ვაკესთან“ დაკავშირებული ლექსიკა, რომელიც მის ფორმაზე მიგვანიშნებს; ე) „მიწა-ბარის“ მდებარეობის აღმნიშვნელი სახელები; ვ) დასახლებული პუნქტის გამომხატველი გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელები.

გამოიყო „ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ქართული ენის დიალექტებშიც. წარმოდგენილია, აგრეთვე – „მიწა-ბარის“ აღმნიშვნელი სახელები იდიომებში.

§1. უშუალოდ „მიწა-ბარის“ გამომხატველი სახელები

ამ თემატურ ჯგუფში შეტანილია ის სახელები, რომლებიც უშუალოდ „ბარსა“ თუ „მიწას“ გამოხატავენ. ასეთებია:

ბარი „დაბლობი, ვაკიანი ადგილი, ჩვეულებრივ, დასახლებული და სახნავმიწებიანი (ქეგლი I 1950: 973); **ბარი** „ცხელი ქვეყანა, ცხელი ადგილი“ (საბა 1991: 96). „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ **ბარი** ასეა განმარტებული: „მთათაშუა დადაბლებული ადგილი, მოიცავს ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე მთისწინეთს. მაგ., კოლხეთის **ბარი** მოიცავს „კოლხეთის დაბლობს კავკასიონისა და მესხეთის ქედის მთისწინებითურთ“ (ქსე 1977: 209).

სვანურში გვაქვს **ბარ** ფორმა: **ბარს** ლიხნი ანბინან „**ბარში** ხვნა დაიწყო“ (ჩვენი მასალებიდან). ძვ. ქართულში **ბარი** „ველოან-ი“, „დელე“, ვაკე: ქუეყანად მთად და ბარი, ქუეყანად მთოანი და ველოანი (აბულაძე 1997: 29).

მაგალითები: მიყვარს მთებიდან ნათქრიალები **ხარში** ნიაღვრის ღვართა გალობა (ლეონიძე 1980: 79); ნიავე შესწყვეტს აბუტბუტებას, ძილს მიეცემა **ხარი** და ველი (გალაკტიონი 1965: 57); და ენგურს ზათქით მიაქვს **ხარისკენ** მათი პირველი უბიწოება (აბაშიძე 1990: 108).

მიწა „დედამიწის მყარი ზედაპირი, მიწა – ქვეყნის ნაწილი“ (საბა 1991: 487). „**მიწა**“ – ნიადაგი, მტვერი: და არა იყო მიწად ფრიად (აბულაძე 1973: 253). „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ კვითხულობთ: **მიწა** „როგორც წარმოების საშუალება, შრომის პროცესის აუცილებელი მატერიალური წინამძღვარი, მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნივთობრივი ფაქტორი. **მიწა** მთავარი წარმოების საშუალებაა სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში, უწინარეს ყოვლისა კი სოფლისა და სამეურნეო დარგში. **მიწის**, როგორც წარმოების საშუალების, ძირითადი თვისებაა მისი ნაყოფიერება, რომელიც ეკონომიური თვალსაზრისით ნიშნავს ადამიანისათვის აუცილებელი მცენარეული პროდუქტების კვლავ-წარმოების უნარისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას. მიწის ნაყოფიერება დამოკიდებულია მასში არსებულ საკვებ ნივთიერებათა რაოდენობაზე, ნიადაგის სტრუქტურასა და სხვა ბიოლოგიურ და კლიმატურ ფაქტორებზე. **მიწის** სპეციფიკა ის არის, რომ იგი ერთდროულად შრომის საგანიცაა და შრომის საშუალებაც. როცა წარმოების პროცესი მიმართულია ნიადაგის დამუშავებისაკენ ან გადიდებას გულისხმობს, მაშინ **მიწა** შრომის საგანია. მეორე მხრით, **მიწა** სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური საფუძველი და პირობაა – ამ შემთხვევაში იგი შრომის საშუალებაა“ (ქსე 1984: 34).

მაგალითები: კვიცი ერთი შეხტა, აიმრიზა, ქალს სადავე წართვა და მერცხალივით გაეკრა **მიწას!** (ქეგლი V 1958: 503); ბანაკს მიღმა კი **მიწას** ხნავს გლეხი, **მიწას** ხნავს ერთი, ორი, მესამე! (კალანდაძე 1985: 192).

ხშირად „მიწა“ და „მიწა-წყალი“ გვხვდება მშობლიური ქვეყნის აღსანიშნავად: შენს **მიწა-წყალს**, მზეს და მთვარეს, ვუმღერ, მარად სანუკვართა (აბაშიძე 1990: 38); მწუხრი ეფინა გულს და გონებას, ჩემი **მიწა-წყლის** ჰაერი მაკლდა! (კალანდაძე 1985: 32); მტერს უტევდა კავკასიის მაღალ მთებთან, განა მტარვალს **მიწის** გოჯი მისცა (იქვე: 71); გიორგის აგონდებოდა თავისი ქვეყანა, თავისი **მიწა**; მშობლიურო ჩემო **მიწავ**, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ... (გალაკტიონი 2011: 189).

ქართველები **მიწას** თან ატარებდნენ მშობლიური ქვეყნის სიმბოლოდ: **მიწას** გულში ჩაიკრავდა ქართლელი თუ კახელი... (ასათიანი 1997: 34).

მიწა სამარის მნიშვნელობითაც დასტურდება: და როცა **მიწას** მივებარები, ნაჯაფარი და ტანდაკორძილი (ნიშნიანიძე 1984: 5); მე კი მიმიღე მოსასვენებლად, **შავო მიწავ!** (ქეგელი V 1958: 503).

მიწის მსაზღვრელებად გვხვდება: **სევდიანი, შიშნაკამი, მხურვალე** და სხვა. მაგ.: და განფენილა **მხურვალე მიწა** და განფენილან **მხურვალე** ცანი (კალანდაძე 1985: 197); შენ **ძველ მიწაზე** პირველი გაჩნდი და მიიზიდე მაღლა, მაღლა დაფნა და ნაძვი... (იქვე: 32); ეს **შიშნაკამი მიწა** ლულულულებს და მოდის შიში (ნიშნიანიძე 1991: 357); წინ მიიწევ და ხმაურობ, გღვიძავს, საქართველოს **სევდიანო მიწავ** (გალაკტიონი 1989: 46).

ხშირად „მიწა“ „ცასთან“ ერთად დასტურდება წინადადებებში: ყაყაჩო ჩანს **ცის** და **მიწის** სიცილში... გავიმარჯვეთ, ჭიაჭია მაია (კალანდაძე 1985: 52); იხსნება პირი **ცისა** და **მიწის** და თავის შველაც არ მოგინდება (აბაშიძე 1990: 22).

მეგრულში გვაქვს **დიხა** || **დეხა** ვარიანტები (ქაჯაია I: 477). ი. ყიფშიძე **მიწას** ასე განმარტავს: **დიხა, დეხა** земля, место. **დიხაშხო** – სოფელი ქუთაისში (ყიფშიძე 1994: 227). პ. ჭარაიასთან: **მიწა** „დიხა-მიწა“, „თიხა ადგილი“ (ჭარაია 1998: 59); სვანურში დასტურდება: **გიმ** (-იშ, -არ ზს., ლნტ. **გემარ** ზს., -არ ლშხ.) – **მიწა**

(თოფურია, ქალდანი 2000: 172). მ. ჩუხუა აღნიშნავს: სვან. **-დიკ**, ნ^ნ-**დიკ** ზს. – , ნა-**დიკ** ლშხ. || „საზღაური“. ქართ. **თიკა** ← ***დიკა** „თიხა“; ზან. **დისა** || **დესა** „მიწა“; ნ^ნ || ნა- სადერივაციო პრეფიქსია სვანურში (ნ^ნ-ბოზ „საღამო“, ბაზი „ამალამ“, ნა-ზემ „ზომა, ოდენობა“, ზომ- „გაზომვა“...). ძირად გამოყოფილი **დიკ** იგივეა, რაც ქართული **თიკა**, ზან. **დისა**. ე. ი. ნა-**დიკ** – საზღაური ← ეტ. „სამიწე, მიწისა, ნამიწი“. სქართვე. ***დიკ-ა** „მიწა, თიხა“ ← ქართ. **თიკა** : ზან. **დისა** : სვან. **დიკ** ← ***დიკა** (ჩუხუა 2002-2003: 93).

მეგრულში: ბერგი **დისას** ვადიჩირთენია (ველოჩირთენია) „თოხი მიწას არ დასცილდებაო“ (ხალხური სიბრძნე 1994: 19); გეთხორუ **დისა** „ამოთხარა მიწა“ (ქაჯაია I: 477); ნთხორალ **დისას** ქინახუნეს „გათხრილ მიწაში კი ჩააჯინეს“ (იქვე: 477); **დისაში** ენარჩქინა ვორეთ, **დისათ** ბარსებენტ „მიწის გაჩენილები ვართ, მიწით ვარსებობთ“ (იქვე: 477); **დისას** დომთხორია იშოვა, უწუ „მიწაში დამმარხეო იქეთო, უთხრა“ (ხუბუა 1937: 239); მუჭო თექ ქემორთუნი, არმაქ ართო **დისას** ქაშაცუ „როგორც კი მოვიდა, ყველა ერთად მიწაზე დაეცა“ (იქვე: 162); ეშე ცა დო გიმე **დისა**, სო-ლეთინი ვამანტინე „ზევით ცა და ქვევით მიწა, ვერსად ვერ გავიქცევი“ (იქვე: 320); სო **დისაშა** ოკო იბდე, ვა მაგორე ბინაქენი! „რა მიწაში უნდა წავიდე, ვერ ვიპოვე ბინა!“ (იქვე: 361); ეშელე ართ ენწერ **დისაშა** „ავიდა ერთ ეწერ მიწაზე“ (იქვე: 109); მიღით ბარეფი დო დოთხორით **დისავა** „მოიტანეთ ბარები და ამოთხარეთ მიწაო“ (იქვე: 117); ვარა **დისას** დითხორით, დო ვარა ამსერი თაქ გორჩქინდით „ან მიწაში დაიმარხეთ, ანდა ამ საღამოს აქ გაჩნდით“ (იქვე: 15); ეშე ცა დო გიმე **დისა**, მუ მიღუ დო მუსუ ილა „ზევით ცა და ქვევით მიწა, რა მაქვს და რას წაიღებ“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 43); **დისა** შიილებე ორდასინი „მიწა შეიძლება იყოს“ (ქაჯაია I: 477).

მეგრულში **დისა** „ადგილის“ მნიშვნელობითაც დასტურდება: თექი ქამხვადუა ართ **დისასია** „ეს შემომხვდა ერთ ადგილასო“ (ქაჯაია II: 477).

სვანურში: **გიმეი** ჭიმბ დემე ხოგა „**მიწაზე** ფეხი არ დაუდგამს“; ეჯ ჟონ ჩუაღდუთანე, ერე **გიმს** ი მეგამს იმ ოხწურე „ისე დაიტირა, რომ **მიწასა** და ხეს ცრემლი 'დ'აადინა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 172).

§2. „მიწა-ბარის“ სახეობათა (თუ თვისების) აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები

„ბარი“ თუ „მიწა“ სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს (ვაკე, ველი, ტყე, მინდორი, ყანა და სხვა).

ვაკე „სწორი, გაშლილი, უმთავორაკო ადგილი“ (ქეგლი IV 1955: 11); **ვაკე** „ხმელეთის ზედაპირის, ზღვისა და ოკეანის ფსკერის რელიეფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მორფოგრაფიული ერთეული, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიმაღლეების მცირე ცვალებადობა და სუსტი დახრილობა. პირობითად ხმელეთზე 200 მ-ზე დაბლა მდებარე ვაკეს დაბლობს უწოდებენ (მაგ. კოლხეთის დაბლობი)“ (ქსე IV: 274). ძვ. ქართულში **ვაკე** „ველი, ბარი“: „იყო საცხოვარი მრავალი... **ვაკესა**“ (აბულაძე 1997: 153).

მაგალითები: გავიარეთ ხევი, უკან დავტოვეთ გორაკები და **ვაკეზე** გავედით (კლდიაშვილი 1955: 266); ჩვენ წინ **ვაკე** გადაშლილიყო, რომლის ბოლოში აჭარის მთების გრებილი იწყებოდა (ფორჩხიძე 1986: 23).

გვაქვს „გავაკებული“ ფორმაც (ვნებითი გვარის მიმღეობა), რაც ნიშნავს „ვაკედ ქცეული“: რამოდენიმე მინდორზე **გავაკებული** იყო (ქეგლი II 1951: 494).

ქან. **ზენ-ი ვაკე** равнина, მეგრ. **რ-ზენ-ი**; ქართ. –. ბრინჯი დუ-ზღულეფეს ხაჩქუმან (ჩქუ ზენი-თი ბუწუმელთ; ზენის ხაჩქუმან ბრინჯი) || ბრინჯს ვაკე ადგილებში თესავენ (ჩვენ „ზენ“-საც ვიტყვით; „ზენ“-ზე თესვენ ბრინჯს)... **ზენ-ი** ერთი იმ სახელთაგანია,

რომელსაც გამოდევნის საფრთხე მოელის ნასესხები სიტყვისაგან. ნ. მარს ათინურზე მითითებით მოჰყავს **ზენი**, მაგრამ ეს სახელი არქაბულშიდაც არაა გადამენებული. სოფლის სახელი **ჯგირთამ ზენი** მოწმობს, რომ ეს სიტყვა ჭანურში ისევე იყო მკვიდრი, როგორც მეგრულში. ამ უკანასკნელში განვითარებულია თავკიდური -**რ**. ქართულში ეს ფუძე არ ჩანს (ჩიქობავა 1938: 186).

მეგრული: ჩქიმი სოფელსი **რზეონა** არდგილეფვე „ჩემს სოფელში ვაკე ადგილებია“; **რზეონაშა** გოვფაჩით კარავი „ვაკეზე გავშალეთ კარავი“ (ჩვენის მასალებიდან). ლაზური: ნოდედითი **დუზი** ფენ „ნოდედიც ვაკე არის“ (ასათიანი 1974: 41-41); არ **დუზი** ეფი ტუ დო, აქ ქოდოვინჯიაფ, ფთქვი „ერთი ვაკე ადგილი იყო და აქ დავიძინებო, ვთქვი“ (იქვე: 32-33).

სვანურში **ნაკს** (-შმ, -წრ ზს., -იშ, -არ ლშხ, -წრ ლნტ.) „ვაკე“ (თოფურია, ქალდანი 2000: 611).

მაგალითები: ჟერბ ამიშ ლაზობ ხოჩა **ნაკ** ადგის ხაბხელნა (ბქ.) „ორბი ამის შესაჭმელად თურმე კარგ ვაკე ადგილს ეძებდა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 611); ლაჩახუ **ნაკისგა** ლი „სამოვრები ვაკეშია“.

ველი „დიდ ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ, ბალახიანი – დიდი მინდორი“ (ქეგლი IV 1955: 43). „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ **ველი** ასეა განმარტებული: ტრამალი, მცენარეულობის ტიპი, რომელიც შედგება მრავალი ყინვაგამძლე მრავალწლოვანი ბალახოვანი ფიტოცენოზებისაგან. ფართოდ არის გავრცელებული ზომიერად მშრალი ჰავის პირობებში შავმიწა და წაბლა ნიადაგებზე. მცენარეულ საფარში ჭარბობს მკვრივკორდოვანი მარცვლოვანი მცენარეები, ხანმოკლე განვითარების ერთწლოვანები (ეფემერები) და ბოლქვიანი თუ ფესურიანი მრავალწლოვანები (ეფემეროიდები), რომელთაც ვეგეტაცია ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ეწყებათ. აქა-იქ გვხვდება ბუჩქები, ხავსები, მღიერები, ხმელეთის წყალმცენარე-

ები, სოკოები... ისინი გადაჭიმულია ქვეყნის ევროპულ და აზიურ ნაწილში, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მდინარე ობამდე. განარჩევენ მდელს, ტიპობრივსა და გაუდაზნოებულ ველებს, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. რუსეთში **ველებს** სტეპებს უწოდებენ. უნგრეთში – პუშტებს, ჩრდ. ამერიკაში – პრერიებს. **ველებს** დიდი ფართობი უკავია აგრეთვე კავკასიაში, წინა და შუა აზიაში. საქართველოში ის მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეებზე, მთისწინა კალთებსა და სამხრეთ მთიანეთშია გავრცელებული. ამის მიხედვით არის ბარისა და მთიანეთის **ველები**; მათ მრავალ ფორმაციას შორის მთავარია უროიანი, წივანიანი, ვაციწვერიანი, ნაირბალახოვან-მარცვლოვანი და სხვ. ჩვენში ველები ბევრგან მეორეული წარმოშობისაა. ასეთია, მაგალითად, ჯავახეთის **ველები**, რომლებიც ტყის მოსპობის შედეგად არის წარმოქმნილი, შირაქისა და გარეჯის **ველები**, რომლებიც ხშირად ნათელი ტყის განადგურების შედეგია. ამჟამად მთისა და ბარის **ველების** დიდ ნაწილს ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. იყენებენ სამოვრად და სათიბად“ (ქსე 1979: 348).

ძვ. ქართულში **ველი** განიმარტება, როგორც – „მინდორი“, „ჭალა“: მოისრა ველობი; მოისრა ნაგები და ველი (აბულაძე 1973: 156).

მაგალითები: წავიდეთ ერთად, **ველებში** გიციდი! ვერ მოვიგონე ქვეყნად არტისტი, ქარის სადარი (გალაკტიონი 1965: 23); როცა ნამიან **ველზე** გავივილი, ნამი ბალღივით მართობს, მახარებს (კალანდაძე 1985: 24); ხმით საამურით მჰყრობი გულთა ვუმღერი **ველებს** (კალანდაძე 1986: 17); სველდება **ველი**, გადაცელილი, ვხედავ სიმინდის დაულვაშებას (მაჭავარიანი 1985: 212); დავესწრათ როს გაზაფხულსა, **ველსა** ვსხდეთ მწვანით შემკულსა (ჭავჭავაძე 1975: 32); სად **ველნი** ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწვანდებიან (ორბელიანი 1975: 24).

პოეზიაში „ველის“ მსაზღვრელებად დასტურდება: **მდუმარე**,

უხმო, შორეული და სხვა, მაგალითად: ალერსთა უხვი და **უხმო ველი** დამფარავს ნისლთა წამოსასხამით (გალაკტიონი 1965: 94); ცისკრებ ანთებს **მდუმარე ველთა** ნათელი შენი, დასული გრძნებით (კალანდაძე 1985: 94); დუმს მკვდარ დუმილით **ველი ვრცეული**... არ ვლენან გზადა მგზავრნი სოფლისა (იქვე: 29); ქუხვით გადმომაქანნი მრისხანეთ მდინარეთა, ჰრწყვენ და განაპოხებენ **შორეულთა ველებთა** (ჭავჭავაძე 1975: 104); და **გაზაფხულის ველი** მოლია, ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისევ (გალაკტიონი 1965: 202).

„ველი“ კომპოზიტის ერთ-ერთ კომპონენტადაც დასტურდება, როგორც არის **ტყე-ველი, მინდორ-ველი** და სხვა. სვეტიცხოვლიდან შეხედავ **ტყე-ველს**, მვირფასი ქვებით მოოჭვილ ჭაღში (გალაკტიონი 1965: 448); მალე ფერგადაშლილი ამწვანდება **ტყე-ველი** (იქვე: 44); ლურჯი ბურუსით ინთქმებოდა ხშირი **ტყე-ველი** (იქვე: 55); სიზმრად ვნახე **მინდორ-ველი**, სულ ლაჟვარდის ფერისანი (ნიშნინიძე 1991: 18).

გვაქვს „ველიანი“ ფორმაც, რომელიც აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ველია; ველებიანი, ველიანი (ქეგელი IV 1955: 431).

გ. კლიმოვი აღნიშნავს: wel – "поле": груз. wel – "поле", мегр. we(1)- может восходить к периоду грузинского языкового единства. Основа часто встречается в наиболее древних памятниках грузинского языка (განვედ წელად, выйди в поле). Одна из характерных грузинско-занского изоглось терминологии земледелия (Климов 1964: 83); **ველი** ***ტალ/ტლ**- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 193). მეგრულში გვაქვს **ვეი; ვეი – ველი**, მინდორი (ჭარაია 1997: 66); სვანურში – **ტჷლყ**. მეგრ.: **ვეიშა** მემიუნს ჩხუ „ველზე მიმყავს ძროხა“; სვან.: **ტჷლყის-გა** მეგმარ ლგგზ „ველზე ხეები დგას“ (ჩვენი მასალებიდან).

მინდორი „სწორი და ბალახიანი ადგილი“ (ქეგელი V 1958: 414); სულხან-საბას „მინდორი“ ასე აქვს განმარტებული: **ასპარე-ზი**, სომხურად სტადიონს ჰქვია, ხოლო ქართულად მინდორსა, რომელ არს მეიდანნი (საბა 1991: 70). **მინდორი** – ველი: ივლტოდა

იგი **მინდორსა** მას შამზოანსა (აბულაძე 1973: 248).

მაგალითები: დანამება **მინდვრად** შროშანი ციურ ცრემლი-
თა, თოვლივით თეთრი (კალანდაძე 1985: 20); ასე თუ ჩურჩუ-
ლებს ელისეს **მინდორი**, ასე თუ შრიალებს, თუ ასე ნაზია (იქვე:
47); ჰხედავს, რომ დაბლა **მინდორზე** მზე მოდის, მოექანება (ვაჟა
1990: 473).

პოეზიაში „მინდორი“ სხვადასხვაგვარად არის დანახული.
იგი შეიძლება იყოს: **ჭრელი, ლურჯი, მწვანე, მტრისგან გათქერი-
ლი** და სხვა. მაგალითები: ამა ყვავილთა **ჭრელთა მინდორზე**
უზარმაზარი შრიალებს ცაცხვი (კალანდაძე 1985: 294); თეთრი
ყვავილი **ლურჯ მინდორზე** დაჯდება როკვით (იქვე: 69); ამ მინ-
დვრებს, **მტრებისგან** ათასჯერ **გათქერილს**, ზვრებისთვის რა მზე
და რა საზრდო ჰქონიათ (აბაშიძე 1991: 59).

„მინდორი“ გვხვდება თხზულ სახელებშიც: ამ მშვენიერ **მინ-
დორ-ველზე** რა ნაირი ფერებია?! ყაყაოსა სიწითლითა ყანა და-
უმშვენებია (კალანდაძე 1985: 62); დაზამთრებული ზეცა, **ტყე-მინ-
დორი** და ჭალა (იქვე: 273); ვარ იმ ქვეყნიდან, სადაც მთანი დგა-
ნან შიშველნი, სად **ველ-მინდორი** არის მწირი და გვალვიანი
(მაჭავარიანი 1985: 412).

დასტურდება „გამინდვრებული“ ფორმაც (ვნებითი გვარის
მიმღობა), რაც ნიშნავს „მინდვრად ქცეულს“: დავეწიე კაკლებ-
ქვემ **გამინდვრებულზე** და მივაძახე (ქეგლი II 1951: 496).

მეგრულშიც დასტურდება **მინდორი** ფორმა: გეურცგნი, ქი-
მერთე დიდ **მინდორიშა** „მიდის, მივიდა დიდ **მინდორზე**“ (ხუ-
ბუა 1937: 286); ბოლოს გიშელე ართი დიდი **მინდორიშა** „ბოლოს
გავიდა ერთ დიდ **მინდორზე**“ (იქვე: 148); ჟირ ჩიჩიქ გეგუთიშ
(ზანძაშ) **მინდორც** ვეგინტირუა „ორი გლახაკი გეგუთის (ზანძის)
მინდორზე ვერ დაეტიათ“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 117); შარას ქი-
შეხვადეს ხოლო ართ კოჩქ – ქიგერე **მინდორს** დო ქუჯინე ირია-
თო ჰაერს „გზაზე შეხვდათ ერთი კაცი – დგას **მინდორში** და

იყურება ჰაერში“ (ხუბუა 1937: 567). **მინდორი** ლაზურშიც დასტურდება: ედო **მინდორის** იმგარტეენ „ჰოდა **მინდორში** ტიროდა თურმე“ (ასათიანი 1974: 150-152). სვანურში გვაქვს **მინდუერ** ფორმა, **მინდორ**, **მინდერ** ბქ., (-იმ; -ალ) ლშხ. **მინდორი** (თოფურია, ქალდანი 2000: 571).

ყანა 1. „თავთავიანი კულტურის (ხორბლის, ქერის და მისთ.) ნათესი“. 2. კუთხ. (იმერ. გურ.) სიმინდის ნათესი (ქეგლი VII 1962: 505). ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ყანა „ველია“. **ყანა** „ველი“, „აგარაკი“: ესე არს ადგილი საყანური, გინა სავენაჲე, გინა დაბა (საბა 1991: 38).

ჭან. **ყონ-ა** || **ცონ-ა** || **იონ-ა** – **ყანა**, пашня; მეგრ. **ცვან-ა**. **ყონაში** იგზალუ, **ყონა** კაი ტუ „**ყანაში** წავიდა“. **ყანა** (ე. ი. ნათესი) კარგი იყო“... ლაზური: **ყონას** პწალდუფთ „**ყანას** ვწალავ“; სორტი? **ყონაში** ბორტი... „სად იყავი? **ყანაში** ვიყავი“; **ყონას** დოხაჩქუ „**ყანა** დაამუშავა“... გოილუ ხოლო **ყონა** „დაიარა კიდეე ყანა“; **ყონათი** ბიტურთ, ლივარდითი ბიტურთ „ყანასაც ვიტყვით, ლივარდისაც ვიტყვით“; არ **იონა** ქებუჯოფი სალიხას „ერთი ყანა გამოვართვი სალიხას“... **ყან-** ფუძის კანონზომიერი შესატყვისია **ყონ-**. ამ უკანასკნელის ვარიანტია **ყონ-** || **იონ-** **ყონ-**ისაგან მიღებული მეგრული **ცვან-ო ვა-**დ დაშლით. **-ა** დეტერმინანტი სუფიქსის გამარტივებული სახე უნდა იყოს. ჭანურში ეს სიტყვა ნათესსაც აღნიშნავს და ადგილსაც, სადაც ეს ნათესი მოიპოვება. ძვ. ქართ. **ყანა** „მიწას“ ნიშნავდა („ქუეყანა – ზე-ცა“). ახალ ქართულში პურეულის ნათესს აღნიშნავს – მარტოოდენ პურის ნათესს აღმოსავლეთ საქართველოში (ჩიქობავა 1938: 139).

ზ. სარჯველაძე და ჰ. ფენრიხი ადნიშნავენ, რომ **ყან-ა** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ყონ-ა** (<***ყონ-ა**; **ცვან-ა/ყუნ-ა** < **ყონ-ა**) და ლაზური **ყონა** (**ყონა/იონ-ა** < **ყონ-ა**). შესატყვისობა ქართ. ა : მეგრ. ა : ლაზ. ა აუსლაუტში კანონზომიერია (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 530).

მაგალითები: დათვები შემოგვიჩნდა, **ყანები** გათქერილა... წამოხტა მაჭახელით მიუხტა კატერინა (ნიშნინამე 1991: 30); სალორიდან სცემდა ქარი მესხეთის **ყანებს** (იქვე: 138); გაწოლილა მხარე ლევის და შრიალი ისმის **ყანის** (გალაკტიონი 1965: 297); **ყანებში** სადღაც ატირდა ღალღა... ძირს, ძირს ეშვება მოხუცი მუხა (იქვე: 49); ჯეჯილში ჩაიშრიალა თვალგახელილმა **ყანამა**, მთით მობერილმა ნიაგმა, ნარგიზის იავნანამა (კალანდამე 1985: 19).

მეგრულში: თუნთის დაპენჯებული თუნთი მეუსარგელუდუ შხვამ **ცვანაში** „დათვი დაპატიჟებულ დათვს სხვის **ყანაში** მიათრევდაო“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 55); **ცვანაში** მინჯექ მუთ უწუნი თინა ხოლო ქეჩუ „**ყანის** პატრონმა რაც უთხრა, იგივე მოუყვა“ (ხუბუა 1937: 25); მუმა მუკურე **ცვანას** ხაჩქუნს „მამა დგას **ყანაში** თოხნის (იქვე: 138); მაჟია დღას მიდართეს ომუშებუშა **ცვანაში** „მეორე დღეს წავიდნენ სამუშაოდ **ყანაში**“ (იქვე: 284); პაპა დო ბოშიქ მაჟია დღას მიდართეს ომუშებუშა **ცვანაში** „ბაბუა და ბიჭი მეორე დღეს წავიდნენ სამუშაოდ **ყანაში** (იქვე: 283); ლაზურში: დო ბაბუმუში ხოჯი ოქთაფტუ **ყონას** „და მამამისი **ყანაში** აბრუნებდა ხარებს“ (ასათიანი 1937: 92-93).

„ყანა“ გვხვდება კომპოზიტებშიც: მინდვრები, მთები და **ზღვა-ყანები** მზეზე ელვარებს, ნამებით სველი (გალაკტიონი 1965: 100).

ლილო „აჭრელეებული მინდორი, ადგილი“: სად მქონდა მოცალებანი, **ლილოში** ვხტოდი, ვგალობდი; მან ცხენი ტყის პირად **ლილო** მინდორზე კარებთან მიაგდო (ქეგლი IV 1955: 1564).

ტრამალი „ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე ადგილი, ველი, მინდორი“ (ქეგლი VI 1960: 1031). სულხან-საბა ორბელიანი **ტრამალს** ასე განმარტავს: ტრამალი ესე არს გრძელი და ვრცელი ნაყოფიერი მინდორი ვაკე, ხოლო მინდორი არს ფორო ადგილი, რომელსა თურქნი მეიდანს უკმობენ; ხოლო ველი არს უტყეო ვაკე თუ გვერდობა დიდი და ვრცელი, მინდორი (საბა 1993: 143).

ბაქანი „მოსწორებულ-მოვაკებული ადგილი“ (ქეგლი I 1950:

996); სულხან-საბა ორბელიანი **ბაქანს** ასე განმარტავს: „კლდეში მცირე ვაკე“ (იქვე). „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ აღნიშნულია, რომ „ბაქანი“ არის „კონტინენტების ძირითადი სტრუქტურული ელემენტი“ (ქსე II: 235).

ტყე „მეტ-ნაკლებად ვრცელი ფართობი, ხეებით დაფარული; მცენარეული საფარის ერთ-ერთი ძირითადი ტიპი“ (ქეგლი VI 1960: 1366). „ტყე“ დასტურდება ძვ. ქართულშიც: შეშქამდეს, ვითარცა თივასა, ტყესა (აბულაძე 1973: 414). **ტყე** არის „გეოგრაფიული ლანდშაფტის შემადგენელი ნაწილი, იმ ხეების, ბუჩქებისა და ბალახების, აგრეთვე ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და ახდენენ ზეგავლენას როგორც ერთმანეთზე, ისე გარემოზე“ (ქსე 1986: 84-85).

გ. კლიმოვი აღნიშნავს, რომ груз. **tge** "лес", мегр. **tga** "трава", "лес"; чан. **tka** "трава", "шиповник"; сван. **tgen** "деревяшка", "палка" идет, по видимому, из обшекартвельской эпохи (Климов 1964: 185).

მაგალითები: იმ დარდად ჩემს გულს ხშირად სწოლია **ტყეთა** მსუბუქი მელანქოლია (გალაკტიონი 1965: 80); და მტერს იმნაირად დაჰყვივლა, **ტყეები** დაიფურცლა, მინდვრები გადახმა (ნიშნიანიძე 1984: 99); მინდვრის ბოლოს, **ტყის** პირას აყოლებული საცალფეხო გზა ეგულებოდა (ქიაჩელი 1965: 109); **ტყეში** კი არა, სწორ გზაზედაც მხარი აექცეოდა (იქვე: 34); ერთხელ ცა გაწყრა და ქარიშხალი **ტყეში** აქა-იქ ტოვებდა კუნძულს (ნიშნიანიძე 1991: 190); მთაში – **ტყე** დანაბინდები, **ტყეში** – ქორბუდა ირმები... (კალანდაძე 1985: 11); დარჩათ **ტყე** და სიჩუმე, ხეზე მღერის შროშანი (ლეონიძე 1980: 40).

„ტყის“ მსაზღვრელებად ხშირად გვხვდება: **უდაბური, შიშის-მგვრელი, გამოზელილი, ჩონჩხიანი, მდუმარე** და სხვა. მაგალითად: ტბას დასცქერის **მდუმარე ტყე** მოდარაჯე ჩამიჩუმის (გალაკტიონი 1965: 406); შეშლილი სახეების **ჩონჩხიანი ტყეებით**

უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან! (იქვე: 71); როგორ ირხევა **გამარცხელი ტყე**... შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე (იქვე: 48); **სამშობლოს ტყეში** მიცდიან მგლები, – ოცი წელია, მე ვარ სულ მგლებში (ლეონიძე 1991: 140); აქ ზვიგები იმდენია, **ტყეს** მიაგავს **გამოხელილს** (ნიშნიანიძე 1991: 40); ირგვლივ ცხოვრება ირევა **ტყესავით შიშის მგვრელი** (იქვე: 144); **უდაბურს ტყეში** დაძრწის მარტორქა... ქარი გუგუნებს ქვაბის კართან თავგანწირული (კლანდაძე 1985: 23); **გარინდებული ტყე** ფიქრობს, არ ვიცი – რას? (გალაკტიონი 1965: 173); **თეთრი ტყეების** მიმყვება გუნდი და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე (იქვე: 88).

„ჭან. **ტკ-ობ** – დამალვა, მიპარება; მეგრ. **ტყ-ობ** – скрываться, подкрадываться; ქართ. **ტყ-ე**: მა სქანი არაბაში თუდო **დობტკობუ!** „მე შენი ურმის ქვეშ **დავიმალე**“; მთუთი არაბაში თუდე **დობტკობინუ** „დათვი ურმის ქვეშ **დამალა**“... ჭანური და მეგრული ერთმანეთს მიჰყვება: ფუძის აგებულებაცა და მნიშვნელობაც ერთნაირია... ქართულში შესაბამისი ძირის მქონე ზმნა არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება მივუთითოთ იმ სახელზე, რომელიც ჭან. და მეგრ. ზემოხსენებულ ზმნის ძირს წარმოადგენს: ესაა **ტყ-ე**... **ტყობუნ** || **ტკობუნ** ნიშნავს „ტყეშია“. აქედან იმალება... (მერე ეპარება)“ (ჩიქობავა 1938: 323).

ზ. სარჯველაძე და ჰ. ფენრიხი აღნიშნავენ, რომ ქართ. **ტყე**-ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ტყა-**, ლაზური **ტკა-** (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 445).

მაგალითები: მეგრ. **ტყაშა** ვემშერთუ, რადგანს დიდი მანგარი **ტყა** ორდუ „**ტყეში** არ შეისვლებოდა, რადგან დიდი მაგარი **ტყე** იყო (ხუბუა 1937: 2); მიდართ ბოშიქ დო **ტყას** ქიმთიტყობგ „წავიდა ბიჭი და **ტყეში** დაიმალა“ (იქვე: 95); **ტყაშა** ქიმერთესგნი, ქოძირეს ართი დიდი ჭყონი „**ტყეში** რომ მივიდნენ, ნახეს ერთი დიდი ხე“ (იქვე: 3); მიდართ ბოშიქ დო **ტყას** ქიმთიტყობგ, თეურე დუჭყგ ჯინა „წავიდა ბიჭი და **ტყეში** დაიმალა, იქიდან დაუწყო ყუ-

რება“ (ხუბუა 1937: 95); ცხენქ ფაშატი ქედაშქე გორჩქინდგ **ტყას** გერი, ტურა, თუნთიქ „ცხენმა ფაშატი გააჩინა, გაჩნდა ტყეში მგელი, ტურა და დათვი“ (იქვე: 190); მიდეგუნგ მეფაიტონექ ძღაბი დო ქიმიტიტუ **ტყას** „წაიყვანა მეფაიტონემ გოგო და დატოვა **ტყეში**“; ეშშელი გოწაუყონი დო **დადიშა** ვიგზალი „ვირი გამოვართვი და **ტყეში** წავედი“ (ასათიანი 1974: 28-30); **დაღის** ქეგმუი დოჭვი დო და ეშელითენ ქომუღია „**ტყეში** ნახშირი დაწვი და ამ ვირით მოიტანეო“ (იქვე: 28-30); ართელი ჩქვა ოხორჯა **დადიშა** იდეენში, მთუთიქ ოჭოფეენ „ერთი ქალი (დედაკაცი), **ტყეში** რომ წასულა, დათვს დაუჭამია“ (იქვე: 96-97). სვანურში: ბეფშ **ცხეკს** ბასყ ანზორე „ბავშვი **ტყეში** მარწყვს აგროვებს (ჩვენი მასალებიდან).

ჭანურში **მ-ტკ-ურ-ი** || **მ-ტკ-უ-ი** || **მ-ტკ-ორ-ი** || **მ-ტკ-ო-ი** ნიშნავს „ტყიურს“, „ველურს“. „მ-ტკ-ურ-ი და მ-ტკ-ორ-ი ხმოვნებს შორის **რ-ს** დაკარგვით ვიღებთ **მ-ტკ-უ-ი** და **მ-ტკ-ო-ი-ს...** ძირეულია **ტკ-** ← **ტყ-**, რაც ქართულში მოგვეპოვება. მეგრულში **-არ** სუფიქსი გვაქვს საატრიბუტივო, ჭანურში **-ურ** და **-ორ** (-ურ- ← -ორ-). თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია. ქართულში **ტყე-** ფუძისაგან ატრიბუტივი არ იწარმოება. **მტკურ-ი** || **მტკორ-ი** ატრიბუტივმა შეგვინახა **ტყ-ე** ფუძე ჭანურში; თვით სუბსტანტივი (**მ-ტკ-ა**) უკვე აღარ ჩანს (ჩიქობავა 1938: 248).

მეგრულში გვაქვს შემდეგი ფორმებიც: **ტყაჩუ** „ტყის მცველი“, **ტყაჩუ** ← **ტყაში** ჩუალა. მუაჩქიმს ტყაჩუფი მეურდუ **ტყაშა** „მამაჩემს ტყის მცველები ჰყავდა (უდგა) **ტყეში**“ (ქაჯაია III: 44); **ტყალამ-ი** „ტყიანი“: ვართ მენწყერი იყუაფუ **ტყალამ** არდგილც „არც მენწყერი იქნება **ტყიან** ადგილას“ (იქვე: 42); **ტყალონ-ი** „ტყიანი ადგილი; ბუჩქნარი“: მუკე-მუკე გვალეფი რე, **ტყალონი...** „გარშემო მთებია, **ტყიანი**“ (იქვე: 44).

ამავე თემატურ ჯგუფში განვიხილავთ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: **გზა**, **გზაჯვარედინი**, **გზატკეცილი**, **შარა**.

გზა (მეგრ. **შარა**, სვან **შუკუ**), ზოლი, გაყვანილი დედამიწის

ზედაპირზე, **გზა** აგრეთვე ნიშნავს მგზავრობას. **გზა** გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: ვრცელ არს **გზამ** მ. 7,13 (ხანმ.); ღმერთმან, რომლისათვის დაშუერთ და მოხუედით აქა, მან წარჰმართნა **გზავენამ** თქუენი შინ-გ 36. მგზავრ იტყოდა (მ. 20,17).

ქართული **გზ-** ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისი არის წარმოდგენილი მეგრულის **ო-რზ-ოლ-** ფუძეში, რომელიც ქართული **სა-გზ-ალ-** ფუძის ზუსტი ექვივალენტია. თავკიდური **გ** თანხმოვნის ანლაუტში დაკარგვის შედეგად არის მიღებული **ზ-ა** („გზა“). მრავლობითი რიცხვის ფორმაში (**გზა-ლ-ეფ-ი** „გზე-ბი“) **ლ** მეორეული ფონეტიკური ჩანასახია. ფუძე რომ ***გზ-ალ-** ყოფილიყო, მეგრულში მის შესატყვისად ***ზ-ოლ-** (<***გზ-ოლ-**) გვექნებოდა და არა **ზ-ა**. ქართულ **ა**-ს მეგრულში ბოლოკიდურა პოზიციაში კანონზომიერად შეესატყვისება **ა**.

ლაზურში ***გზ-ა** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება **გზ-ა. გზ-ა-ლ** (**ლ** ფონეტიკური ჩანართია), ის გვხვდება როგორც სახელურ, ისე ზმნურ დერივატებში.

სვანურში ***გზ-** კომპლექსის გამარტივების შედეგად **ზ-** მივიღეთ. **გ-ს** დაკარგვის საკონპენსაციოდ წინამავალი ხმოვანი დაგრძელდა (შდრ. ქართ. თქუ-მ-ა : სვან. ლრ-ქჷ-ისგ; ქართ. ვლთ-ობ-ა : სვან. ნწ-თ-ი „ნწილი“).

ქართული **გზ-ა** და ლაზური **გზ-ა** ერთმანეთს **გ.** როზენმა დაუკავშირა. ქართული, მეგრული და ლაზური სახელური და ზმნური ფორმები **ა.** ცაგარელმა და ი. ყიფშიძემ შეაპირისპირეს. სვანური ეკვივალენტი კლიმოვმა გამოავლინა. აღსადგენია ***გზ-** არქეტიპი (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 145).

გზა ხშირად გვხვდება გადატანითი მნიშვნელობით: **გზა** „გამოსავალი“ (მიაგნო ერთგვარ **გზას** კვლევისას; მეტი რა **გზა** ჰქონდა); **გზა** „გეზი“ (ვერ მიმასწავლი კუდიგორის **გზას**?; **გზა** მშვიდობისა „მშვიდობა“; **გზას** გაუდგა „გაემგზავრა“; **გზა** მოლუქრა

„გზა გადაუჭრა, შეაჩერა“; შუა **გზაზე** გაჩერდა „დაწყებული საქმე ვერ დამთავრა“; **გზიდან** ჩამოიცილა „თავიდან მოიცილა“; ცხოვრების **გზა** „განვლილი ცხოვრების ხანა“; **გზას** დააყენებს „სწორ მიმართულებას მისცემს“ და სხვა. ძველ ქართულში **გზა** „სავალი“; **გზად-ყოფა** „გაცილება“, **გზისაზიარი** „მოგზაური“ (აბულაძე 1973: 93).

გზაჯვარედინი „ადგილი, სადაც გზები იყოფა“: იდგა გვადი გზაჯვარედინზე და იმაზე ფიქრობდა, თუ საით წასულიყო“ (ქეგლი II 1951: 1449).

გზატკეცილი „ხრემით მოფენილი, დატკეპნილი, ან ასფალტირებული გზა“ (ქეგლი II 1951: 1450).

შარა „იგივეა, რაც გზატკეცილი“: **შარაზე** ურემი მძიმედ მიჭირიალებს. საინტერესოა, რომ უსაქმოდ მოსიარულეს, მოყიალეს ეწოდება „შარახვეტია“: მეზობლები შარახვეტიას უწოდებდნენ (ქეგლი VII 1962: 626).

„მიწა-ბარის“ სახეობებთან დაკავშირებული ლექსიკის ერთი ნაწილი უშუალოდ „მიწის“ თვისებაზე, მის შემადგენლობასა და სხვადასხვა ტიპზე მიგვანიშნებს. ამ მხრივ საინტერესოა **ეწერი** ფორმა, რომელიც საერთო სახელია ნიადაგის სხვადასხვა ტიპისა. მასში იგულისხმება ნაირსახიანი ნიადაგები (ქეგლი III 1953: 1511). „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ **ეწერი** განიმარტება, როგორც **ნიადაგი**, მყავე ნიადაგის ტიპი. ვითარდება ჩარეცხვითი წყლის რეჟიმის პირობებში, როდესაც მოსული ნალექი ჭარბობს აორთქლებას. **ეწერი ნიადაგი** გავრცელებულია ძირითადად ტაიგის ზონაში. საქართველოში გვხვდება ტენიან სუბტროპიკულ ზონაში, – სუბტროპიკული ეწერი ნიადაგების სახით. ტენიანი ჰავა იწვევს ჰუმისის ჭარბმჟავიანობას, ხსნის მას, ამავდროს ნიადაგის მინერალური ნაწილი ძლიერ გამოირეცხება (ქსე 1979: 259). მაგალითად, უკან დაგვრჩა ყვირილას ხეობა, ჩქარი ძირულა, მიწაწითელი **ეწერი** (კლდიაშვილი 1955: 640). **ეწერი** „ისლო-

ვან-გვიმროვანი ტყე, ველოვანი“, „მწირი, უნაყოფო მიწა“, „საქართველოს ზოგ კუთხეში უწოდებენ ბუჩქით, ისლით... დაფარულ დაბლობ ადგილს“ (ქეგლი III 1953: 1511).

მეგრულში გვაქვს **ენწერი** ფორმა: **ენწერც** წგმოდგე ხუბეგი როკი „**ენწერში** დგას ბერხენი როკი“ (ქაჯაია I: 554); სქანი ქომონჯი ოკო რდას, მახინჯეფიში ეკმაჯუნე, მალებერი **ენწერიში** „შენი ქმარი უნდა იყოს... ქურდების უკან მიმყოლი, **ენწრის** შემომძვლელი (იქვე: 554); სქანი საქომონჯე კოჩქ ოკო იდას **ენწერეფი** „შენმა საქმრო კაცმა უნდა იაროს **ენწრებში**“ (იქვე: 554).

სვანურში „ენწერის“ მნიშვნელობით გამოიყენება **ლეგუმერ** ფორმა: **ლეგუმერ** გიმჟი მამგვეშ ანღრი „**ენწერ** მიწაზე არაფერი მოღის“.

კორდი „უნამუშევრო მიწა“; ბალახიანი მიწის ნაკვეთი, რომელიც წლების მანძილზე არ დამუშავებულა (ქეგლი IV 1955: 456). ძვ. ქართულში **კორდ-ი** „ოჯერი“: იყვნეს... ვითარცა კუვები კორდსა ზედა ველსა (აბულაძე 1973: 201).

ჭანურშიც გვაქვს „კორდი“: ფაცხი-ნა ვა ულუტას, ბერგიში ყუთე **კორდი** დოტახუფან. **კორდი** ვატახან-ნა, გომალუჩეთინი იყვენ „თუ ფაცხი არა აქვს, თოხის ყუით დაამტვრევენ ბელტს“. ამ მაგალითში **კორდი** იხმარება ბელტის მნიშვნელობით. ართაშნული **გორობ-ის** ადგილას. **კორდ** იგივეა, რაც ქართული იმავე სახეობის სიტყვა. მნიშვნელობის მხრივ არის ერთგვარი სხვაობა (თუმცა ქართულშიც ეს სიტყვა ყველგან ერთსა და იმავეს არ ნიშნავს) (ჩიქობავა 1938: 140).

მაგალითები: უძვირფასესი იყო ზაფხული, – ვარ **კორდზე** თქვენით დასახლებული (ლებანიძე 1987: 262); ამ სამარხ **კორდზე** რა დაკარგე, რა გიპოვნია (იქვე: 344); რა სიწყნარეა? მთვლემარე **კორდზე** მე შევაყენე დაღლილი ცხენი (გალაკტიონი 1965: 61).

„მიწის“ თვისებასა თუ სახეობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **ხრიატი** ძვ. „ქვანარევი სახნა-

ვი მიწა“ (ქეგლი VIII: 1457); **წეფხი** ძვ. „მჭლე და ცუდი მიწა“ (იქვე: 1065); **დიხაშხო** „უნაყოფო, მწირი მიწა“, „მიწა, დახეთქილი და ავად გამოგვალული“ (ქეგლი III 1953: 1200). მეგრულში **დიხაშხოს** აღმნიშვნელია **შხუანა. შხუანა** „ყამირი მიწა, დიდი ხნის დაუმუშავებელი ნაყოფიერი მიწა, კაპეტი“ (ჭარაია 1997: 154); **მწირი** „უნაყოფო, მოუსავლიანი მწირი ნიადაგი, მწირი მინდორი“; სვანურში **ფხეკ** (-იმ, -არ, ლშხ., -პრ ლნტ.) „მწირი – კლდოვანი (ადგილი)“ (თოფურია, ქალდანი 2000: 772); **ლაგაზი** „ტალახი ძნელად გამოსარეცხელი“, „ნოტიო თიხნარი ნიადაგი“ (ქეგლი IV 1955: 1457); **ბიცი** „ხსნარი მარილების შემცველი ნიადაგი, მლაშე ნიადაგი“. საბას განმარტებით, ბიცი ისეთ ნიადაგს ეწოდებოდა, სადაც სიმლაშით ნაყოფი არ იქმნების. ძვ. ქართულში **ბიცი** „მარილოვანი“, „მლაშე“ შექმნა ქუეყანაჲ ნაყოფიერი ბიცად (აბულაძე 1997: 32); **ფხვიერი** „წვრილი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაწილებისაგან შემდგარი მიწა“ (ქეგლი VII 1962: 229); **თიხნარი** „ქვიშანარევი თიხა“ (ქეგლი IV 1955: 461).

§3. „მიწის“ ნაწილების აღმნიშვნელი სახელები

მოპოვებული მასალის მიხედვით გამოიყო „მიწა-ბარის“ ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიც. ესენია:

ნიადაგი „დედამიწის ქერქის ზედა, ფხვიერი ნაწილი, რომელიც შექმნილია ქანების ბიოსფეროს, ჰავის, რელიეფისა და ხნოვანების ერთობლივი მოქმედების შედეგად“ (ქსე VII 1962: 401). **ნიადაგთან** დაკავშირებით გასათვალისწინებელია მ. ჩუხუას მოსაზრება: სვან. **რადანგ** ბქ., **რადაგ** ლშხ. „ნოყიერი“; ქართ. **ნიადაგი**, ზან. —; სვანური **ნ** → **რ** პროცესს გამოაჩენს: **ნია** → || **რა** პრეფიქსად გამოიყოფა **ნია**- პრეფიქსისათვის შდრ. გურ. ნია-გავი (← გავ-ს) „გვარი, ნაირი“, ნია-**ღვარ**-ი, შდრ. **ღვარ**-ი და **ღვარ-ა...**);

ს.-ქართვ. *ნ(ი)-დაგ- „ნოციერი, ნიადაგი“ → ქართ. ნია-დაგ-ი : სვან. რა-დგ̄ || რა-დაგ ← *ნა-დაგ (ჩუხუა 2000-2003: 188).

ბელტი „მიწის მონაკვეთი, ჩვეულებრივ ბარით ან სახნისით მოჭრილი“ (ქეგლი I 1950: 1030); **ჯეკმა** „მიწის ფენა“ (ქეგლი VIII 1964: 1575); **ნეშომბალა** „ტყის მიწა || ნიადაგის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია მცენარეებისა და ცხოველების ლპობისაგან (ქეგლი V 1958: 1479).

§4. „მიწა-ვაკესთან“ დაკავშირებული ლექსიკა, რომელიც მის ფორმაზე მიგვანიშნებს

„მიწა-ვაკესთან“ დაკავშირებული ლექსიკის მცირე ნაწილი უშუალოდ მიწის ფორმაზე, მის დაქანებასა თუ ჩაღრმავებაზე მიგვანიშნებს. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

აღმართი „დაქანებული ადგილი – ქვევიდან მაყურებლის თვალსაზრისით“. ძვ. ქართულში **აღმართ-ი** „აქანება“: დავით ადვიდოდა აღმართსა მას ზეთისხილისასა (აბულაძე 1997: 15). მეგრულში **აღმართის** აღსანიშნავად დასტურდება **ეკმობონი** || **ეკობონი** (ჭარაია 1997: 65; ქაჯაია I: 540). „სვან. **კან** || **კან** „აღმართი“, ა-**კან**-ე (ჟო-ხ-კან) ზს., ა-**კან**-ენ-ი ლშხ., ა-**კან**-ე ლნტ. „აღმართავს, შეაყენებს“, ი-**კან**-ი „წარიმართება“, ლგ-**კან**-ე ზს., ლშხ., ლგ-**კან**-ე „ზეაწეული, ამართული“; ქართ. **კეც**- „კეცვა“, კეც-ავ-ს; ზან. **კგნ**- || **კიგ** – „კეცვა“. სვანურში სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულია – კეცვა → აკეცვა → აღმართვა || აღმართი. სვანური მონაცემები ისტორიული ფუძის გახმოვანების თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი (**კან**- → **კან**-). ქართული **კეც** მიღებულია ***კაც**- არქეტიპისაგან (შდრ. **კარ**- → || **კერ**- „კრა, დაკრა“, ზან. **კკორ**-). ს.ქართვ. ***კაც**- „კეცვა“ → ქართ. **კეც**. : ზან. **კგნ** || **კიგ** ← ***კორ**. სვან. **კან** || ← **კან** (ჩუხუა 2000-2003: 121).

თანამედროვე ქართულში **აღმართი** დასტურდება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით: შეღამდა, კაცი შეუყვა **აღმართს**, გაბრუებული ხმების თილისმით (ნიშნისანიძე 1991: 232); **აღმართი** და დაღმართიო, არც ერთია წაღმართიო (ქეგლი I 1950: 761); **აღმართი** ამოირბინე, დაღმართი ჩამოირბინე (ხალხ. სიბრძნე 1994: 42). მეგრული: **ეკოხონს** დიკოხონი მოუგნსია „**აღმართს** დაღმართი მოჰყვება“ (ქაჯაია I: 465); **ეკოხონს** ეკირული, დიკოხონს დიკირული „**აღმართი** ამოირბინე, დაღმართი ჩამოირბინე“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 42). ლაზურში გვაქვს **ემთი-გემთი** „აღმართ-დაღმართი“ (ასათიანი 1974: 112-113); ჩქიმი ოხიო **ემთის** დგინ „ჩემი სახლი **აღმართზე** დგას“.

ამრეცი ძვ. „ვაკესა რა მცირე აღმართობა შეეტყობოდეს, უწოდენ ამრეცსა“. მცირე **აღმართი** (საპ. დამრეცი) (ქეგლი I 1950: 452).

დაღმართი „ქვევითკენ დაქანებული ადგილი, თავდაღმართი“ (ქეგლი III 1953: 1933). ძვ. ქართ. **დაღმართ** „ქვევით“; „თავდაღმა“: დიდძალი წყალი იგი **დაღმართ**... შეუძრავ არს (აბულაძე 1997: 129). სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ **დაღმართი** ასე განიმარტება: „ესე **დაღმართიცა** აღმართისა წინააღმდეგ განიყოფების, რამეთუ ვაკესა რა რადობა შეეტყობოდეს, წამრეცი ეწოდების და უნამეტნავესსა მისსა – დამრეცი, და მისსა უმეტესსა) – ჩამრეცი და მასზედ მეტსა – ჩაღმართი მის(ს)ა უმწელესსა – დაღმართი და სრულიად ძნელსა ციცაბო; ზემოთ მხრიდან ქვემოთ მომავალსა ეწოდების დაღმა, ხოლო მაღლით დაბლა მომავალს(ა) ჩაღმა“ (საბა 1991: 206).

მეგრულში **დაღმართის** აღსანიშნავად გვაქვს **გიმოხონა** (ქარაია 1997: 50), აგრეთვე **დიკოხონა** (ქაჯაია 2002: 465).

ლაზურში: კარვანი მეტკოჩეს, **ამაშა** ფის მეტკოჩეს „ბუკი დააგდეს, **დაღმართ** ადგილას დააგდეს“ (ასათიანი 1974: 33-34); დიდო გემთუმანი **ფეი** ტუ „ძალიან **დაღმართი** ადგილი იყო“ (ასათიანი 1974: 29-31).

ქართულში დასტურდება **დაღმართის** სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: **დათავკვევებული** „დახრილი, დაქანებული“ (ქეგლი III 1953: 318); **დამრეცი** „მოდაღმართო“ (საბა, 1991: 194); **დაქანება** „თანდათანობით დახრილი“; **ქანობი** „დაღმართი, დაქანებული ადგილი, რომელიც სიგრძივ ჩადის, მაგრამ ხეობას არ წარმოადგენს“ (ქეგლი VII 1962: 1464).

ფერდობი „დაფერდებული ადგილი – გვერდობი“ (ქეგლი VII 1962: 68). მელიორაციაში არხის, კაშხლის, მიწაყრილის დახრილი ზედაპირი. არხის გვერდობის დაფერდება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. დაფერდებას განსაზღვრავს გრუნტის შედგენილობა, წყლის მოძრაობის სიჩქარე, მიწის სამუშაოთა მოცულობა, მიწისმთხრელი მანქანების ტიპები და სხვ. (ქსე 1985: 262).

მაგალითები: გახედავ **ფერდობს**, გახედავ ტყეს, გახედავ დაბლობს – გარინდებულა ყველაფერი (მაჭავარიანი 1985: 157); წყალგაღმა გავედით და **ფერდობზე** გაკვალულ ბილიკს შევუდექით (შენგელაია 1968: 99); მზე შეეფინა ღელის გაღმა აღმართულ **ფერდობს** (მაჭავარიანი 1985: 258).

ფერდობი შეიძლება იყოს „თანდათან დაქანებული“, „კლდინანი“ და სხვა, მაგალითად: **ჩინღელიანი** (ქართლ.) „კლდინანი ან გორაკიანი ფერდობი“ (ქეგლი VIII 1964: 509); **ჩორახიანი** (ქართლ.) „ფერდობი, სადაც ტყე გაჩეხილია“ (ფოჩხუა 1987: 88).

მეგრულში „ფერდობის“ მნიშვნელობით დასტურდება **ალაფერდა** (ჭარაია 1997: 35; ქაჯაია I: 179). არსებობს პარალელური ფორმებიც, მაგ.: **კურკუცია** „კონუსისებური ადგილი – ფერდობი“ (ქაჯაია II: 141); **ლაბა** „ფერდობი“ (იქვე: 177); **კიდა**, **კიდალა**, **კვდალა** „ფერდობი“ (იქვე: 136). მაგალითები: ჯიკიშ სკა **ლაბას** ოკო ინახუნუენი, წანქ ოკო ვემიასას „გორის ფუტკარი **ფერდობზე** უნდა დადგა (ცივი ქარი) არ უნდა მოხვდეს“ (იქვე: 177); ჭიჭე **ალაფერდა** არდგილი რდუ „ცოტა **ფერდობი** (ადგილი) იყო“ (ქაჯაია I: 179); **ალაფერდა** არდგილს ძიუთ მეურდი „დაფერდე-

ბულ ადგილას ძლივს მივდიოდით“; **ალაფერდას** გვერგ ჯანგ „**ფერდობზე** გველი წევს“ (ჩვენი მასალებიდან).

სვანურში ფერდობის აღმნიშვნელია **ტყაბ. ტყაბ** (-იშ, ტყაბაზ) ბზ. **ლნტ.**, ტყაბ (-არ) ლშხ. – ფერდობი (თოფურია, ქალდანი, 2000, 721), ასევე **ფელტ-** (-იშ, -აზ) ზს., **ფელდ** (-არ ლშხ. -ალ ლნტ.), **ფრლტ** (-აზ) ბზ. „ფერდობი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 757). მეხაზრ **ტყაბს** მარ ლექმე „ხვალ **ფერდობზე** უნდა ვთიბო“ (ფერდობი მაქვს მოსათიბი) (თოფურია, ქალდანი 2000: 721).

ამავე თემატურ ქვეჯგუფშია შეტანილი მიწის „ჩაღრმავება-ამოღრმავების“ თუ „ძნელად გასავალობის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები.

ოდრო „ამოღრმავებული ადგილი, – ორმო“ (ქეგლი VI 1960: 88); **ოდრო-ჩოდრო** „უსწორმასწორო ზედაპირი; ზოგან ჩაღრმავებული, ზოგან ამობურცული ადგილი“ (იქვე: 88); მაგალითად, თუ გამინათეს გზა **ოდრო-ჩოდრო**, თუ გავიგონე მათი ხმა ციდან (აბაშიძე 1990: 37). მეგრულში დასტურდება **ოდრო-ჩოდრო: ოდრო-ჩოდრო** შარას ულა გამიჭირდუ „ოდრო-ჩოდრო გზაზე სვლა გამიჭირდა“, **ოდრო-ჩოდრო** შარა რე „ოდრო-ჩოდრო გზაა“ (ქაჯაია II: 446).

ორმო „მიწაში ამოთხრილი, ამოღრმავებული ადგილი“ (ქეგლი VI 1960: 54). ი. აბულაძესთან „ორმო“ ასეა განმარტებული: „წნარცუ“, „ხრამი“, „თხრილი“, „ორმო“, „მოთხრებული“: შთავარდეს იგი **კნარცუსა** (აბულაძე 1973: 570).

ორმო სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: **ხარო** „ღრმა ორმო“: უმცროსმა ძმამ გველს თვალი შეასწრო, მივარდა, მოკლა. გაიტანა და **ხაროში** ჩააგდო; უცებ ჩავარდა ყორანა უზარმაზარ **ხაროში** (ქეგლი VIII 1964: 1345); **ხარო** „ქვითვირის ორმო, ქვის ორმო“ (საბა 1991: 418); **ღრუდო** ძვ. უწყლო ადგილებში წყლის საპოვნელად გათხრილი ღრმა თხრილი, ორმო. **ღრუდო** – ესე არს ორმო და ორმო ამოთხრილი და გამოხვრეტილი წყალთ პოვნისა-

თვის ურწყულთა ადგილთა, რომელსაც სპარსნი ქაჰრიზს უწოდებენ, ხოლო მსოფლიონი ღრუდოს უწოდენ მდინარესა კიდეთა წყაროსა, გამომდინარესა კლდის ჯვრელთაგან, ზამთარ თევზთა საბუნაგოსა“ (იქვე: 257); **ხნარცვი** – ძვ. „თხრილი“, „ორმო“: თავი გააგდებინეთ... მოციქულსა, ... სადმე **ხნარცვი** გადააგდეთ! (ქეგლი VIII 1964: 1360); **ამოქვაბული** „ქვაბივით ჩაღრმავებული ადგილი (მიწის ზედაპირზე)“ (ქეგლი I 1950: 417).

მეგრულში დასტურდება **ორომე** ფორმა „ორმოს“ აღსანიშნავად. **ორომე** – ჩაღრმავებული (ბნელი) ადგილი, ორმო (ჭარაია 1997: 109). ო. ქაჯაია აღნიშნავს, რომ „ორმოს“ მნიშვნელობით გვხვდება „სამარეც“ (ქაჯაია II: 572). ლაზურში გვაქვს „კუი“ ფორმა: ამა სუმ ჯუმა ექ იგზა ლეენან **კუიშა** „ეს სამი ძმა იქ წასულა („წასულან“) **ორმოსკენ**“ (ასათიანი 1974: 55-56); არ დეინი **კუი** ქონაგენ „ერთი ღრმა **ორმო** შეხვედრია“ (იქვე: 46-49); ბაშქაში თოკითენ **კუიშა** ვარ/გილენ „სხვისი თოკით **ორმოში** არ ჩაისვლება“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 203).

§5. „მიწა-ბარის“ მდებარეობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები

„მიწა-ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკის ერთი ნაწილი მის მდებარეობას გამოხატავს. **მიწა** შეიძლება ესაზღვრებოდეს წყალს, მასში (წყალში) იყოს შეჭრილი ნაწილობრივ ან – მთლიანად. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

კუნძული „ხმელეთის ნაწილი, ყოველმხრივ წყლით შემოსაზღვრული“ (ქეგლი IV 1955: 1430); **კუნძული**, **კუნძუნი**: **კუნძულსა** რასმე განყარა იგინი; ბრძანა ექესორია ყოფად უმწუნს კუნძულსა (აბულაძე 1973: 205). აღსანიშნავია **კუნძულ-** ფორმისაგან მიღებული შემდეგი სიტყვები: **კუნძულეთი** „კუნძულების წყება,

ერთმანეთს მიყოლებული მრავალი კუნძული“; **კუნძულოვანი** „სადაც კუნძულებია“; კუნძულებით მდიდარი“.

ნახევარკუნძული „ხმელეთის ნაწილი, რომელიც სამი მხრით ზღვით არის შემოსაზღვრული, ხოლო მეოთხე მხრით მატერიკთანაა შეერთებული“ (ქეგლი V 1958: 1446).

შეკბენილი „ის, რაც შეჭრილია (ზღვაში, მდინარესა თუ მთაში)“: სადაც ის შვეულები თავდება, პატარა **შეკბენილი** ვაკესავით მოჩანს; მხოლოდ ამ **შეკბენილ** ვაკეზე მოუკიდებიათ ფეხი მცენარეებს (ქეგლი VII 1962: 860).

ნოლა „მდინარის გაყოლებაზე არსებული ნაყოფიერი ადგილი, – სალექი მდელი“ (ქეგლი V 1958: 1514). ქართ. **ნოდ**, **ნოდ-ა** „დაბალი სილიანი და მსუქანი ადგილი“, **ნოდ-ა** (ტოპონიმი). მეგრ. **ნოდ** – **ნოდ-ა** (ნოდ-ო „მდინარის ტოტი“, „მდინარის ყოფილი კალაპოტი“, **ნოდ-ოხაში**, **ო-ნოდ-ია** (ტოპონიმები); ლაზ. **ნოდ** – **ნოდ-ა** „ნაპირი, დაბლობი“; ქართულ **ნოდ-ა** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ნოდ-ა** და ლაზური **ნოდ-ა**; მეგრ. **ნოდ-ო** < **ნოდ-ა** ასიმილაციის შედეგად. გ. კლიმოვმა ქართულ-ლაზური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***ნოყა** არქეტიპი (კლიმოვი 1998: 144).

ჭალა „წყლის პირი, ნაყოფიერი, ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყო) მდინარის პირას“: და შეუპოვრად მოათამაშებს გარემოთვისა ატეხილ **ჭალებს**. ძველ ქართულში **ჭალა** „ტყე“: სომეხთა მეფე კვრიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუემის **ჭალას** (აბულაძე 1973: 556); **ჭალაკი** კუნძულია: მეფეთა თარშისათა და **ჭალაკთა** ძღუენი შეწირონ მისა (იქვე: 556). ახალ ქართულში **ჭალაკი** იგივეა, რაც „ჭალა“: დიდი **ჭალაკი** გაკეთდა ჭანდრის ნადგომზე“ (ქეგლი VIII 1964: 1222).

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ **ჭალა** შემდეგნაირად განიმარტება: ჭალის ტერასა, ხეობის ძირის ნაწილი, რომელიც წყალდიდობის დროს წყლით იფარება... (ქსე 1987: 379). საინტერესოა, რომ მდინარის მაგარ ქვას გურულ დიალექტში ეწოდება

ქალანგარი, ხოლო ამ ქვაზე ლესვას – **ქალანდვრა** „ლესვა ქალანგარზე“. აქვე აღვნიშნავთ, რომ „**ქალაფშატა**“ არის ფშატის ჯიშის მცენარე, ეკლიანი ბუჩქი ან ხე, ხოლო „**ქალეულა**“ რაჭულ დიალექტში ნიშნავს საზაფხულო მსხვილ მსხალს (ქეგლი VIII 1964: 1222).

§6. დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები

გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელთა ერთი ნაწილი დასახლებული პუნქტის (ქალაქის, სოფლის, უბნის...) აღმნიშვნელი ერთეულებია, რომლებიც დამოუკიდებელ თემატურ ქვეჯგუფს ქმნიან. ესენია:

დედამიწა – „მიწის სისტემის ცთომილი პლანეტა. მასზე განვითარებულია ორგანული სიცოცხლე და ჩვენ ვცხოვრობთ“ (ქეგლი III 1953: 1119). მზიდან დაშორების მიხედვით „დედამიწა“ მესამე პლანეტაა მზის სისტემაში. იგი დედამიწის ჯგუფის პლანეტებზე (მერკური, ვენერა და მარსი) უფრო დიდია (ქსე III: 442).

მაგალითები: **დედამიწაზე** მზე თუ მოვიდა, შენ ჩემთან მოხვალ, ვიცი ნამდვილად (ქორჟოლიანი 1974: 93); ბრუნავს, ბრუნავს **დედამიწა**, ბრუნავს, ბრუნავს, ვარსკვლავების კარუსელი, კვეთს კოსმიურ ბურანს (ნიშნინაძე 1991: 178); იშრიალე დიდო ვერხვო, იგუფუნე **დედამიწავ!** (კალანდაძე 1985: 25).

მხატვრულ ლიტერატურაში **დედამიწის** მსაზღვრელად ვხვდებით შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: **ახალი, ბებერი, ყრუ** და სხვა. მაგალითად, მაგრამ გახედავ **ყრუ დედამიწას** და მოიგონებ შენ შენს სატანას (გალაკტიონი 1965: 274); რამდენი ბავშვი შეჭხარის ამ დღეს, რა **ახალია** ეს **დედამიწა** (იქვე: 383); ო, **დედამიწავ, მიწავ ბებერო**, ბებერო, მაგრამ მაინც მედგარო (თარბა 1984: 36).

ზოგჯერ **დედამიწა** თავად არის მსაზღვრელი: და ჟამთ მტვერით იფარება **წიგნი ცის** და **დედამიწის** (გალაკტიონი 1965: 39).

დედამიწა კომპოზიციის მეორე ნაწილადაც დასტურდება: გაჰყვება შტორმი გზას უკვე გავლილს, **ცა-დედამიწა** შეერთვის დუმილს (კალანდაძე 1985: 370).

მეგრულშიც **დედამიწა** გვაქვს, მაგ.: **დედამიწაშ** გილმალუ და-პატიჟებული აფუ ჭუკის არძა, მუთ ნადირი ქორე **დედამიწას** „**დედამიწის** მცხოვრები დაპატიჟებული ჰყავს თავგს ყველა, ვინც ნადირია **დედამიწაზე**“ (ხუბუა 1937: 48).

ქუეყანა – „ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების ერთ-ერთი უმაღლესი ტაქსონომიური ერთეული. იგი კონტინენტების ნაწილია, რომელსაც ახასიათებს ვრცელ ტერიტორიაზე ერთიანი გეოსტრუქტურა (მაგ. ფარები, ბაქნები და სხვა) ან სტრუქტურული ელემენტების შეთანაწყობა, უახლესი ტექტონური მოძრაობის საერთო ტენდენცია და ამის შედეგად მაკრორელიეფის ერთგვაროვნება (ვრცელი ვაკეები, ზეგნები, მთათა სისტემები და მათი კომბინაციები, გეოგრაფიული მდებარეობა) განსაზღვრავს ფიზ. გეოგრ. ქანების, ატმოსფერული პროცესებისა და მაკროკლიმატის საერთო ნიშნებს (ჰავის კონტინენტურობის ხარისხი და სხვ.), რის შედეგადაც გეოგრაფიული ზონალურობა სპეციფიკურ ნიშნებს იძენს (ზონების რიცხვი და მათი განლაგების თავისებურებანი)“ (ქსე 1986: 519).

ძველ ქართულში **ქუეყანა** არის **კმელი, მიწა, მხარე, მსოფლიო, სოფელი, მკვდრობა, სამკვდრებელი, მამული** (ქუეყანაა შეიძრა; ვითარცა გამოვიდეს **კმელად**; განსცეს **მკვდრობისაგან** თჯისა (აბულაძე 1973: 457). ძველსავე ქართულში დასტურდება კომპოზიციები: **ქუეყანით-მკმობელ-ი** „მიწიდან მომწოდებელი“; **ქუეყანით-შექმნულ-ი** „მიწით შექმნილი“; **ქუეყანით-შობილ-ი** „მიწიდან ნაშობი“; **ქუეყანის განზომა** „მიწის აზომვა“; **ქუეყანის-მოქმედ-ი** „მოქმედი“, მიწის მუშა; **ქუეყანის-მშრომელი** „მიწის

მუშა“; **ქუეყანის-საზომელ-ი** „მიწის საზომი“; **ქუეყანის-მოქმედება** „მიწის მოქმედება“ (აბულაძე 1973: 458). სულხან-საბასთან „ქვეყანა“ ასე განიმარტება: **ქუეყანა – ქვეყანა** (ქუჭყანა): **ქვეყანა** ერთი არს ოთხთა კავშირთაგანი, ჳმელი და გრილი, მძიმე და უძრავი, არამყოფობისაგან ყოფად პირველსა დღესა მოყვანებული ღვთისაგან, ხოლო ქუეყანასა შინა კერძო არს ჯოჯოხეთი და ქვეყანა გარე-შეცულ არს ჳაერისაგან (ჳაერისა მიერ); ხოლო ჳაერი შეცულ არს ეთერისა მიერ და ეთერი შეცულ არს ცითაგან (საბა 1991: 237). ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ქვეყანა“, ისევე როგორც **ხევი**, როგორც მოსახლეობისა და ამ მოსახლეობის მიერ ათვისებული, ეკონომიურად თუ პოლიტიკურად გაერთიანებული ტერიტორიული ერთეული გვიან გაჩნდა. თავდაპირველად **ქვეყანა** დამოუკიდებლად არც არსებობდა. **ქვეყანა** ტერიტორიას (მიწას ფიზიკური გაგებით) ნიშნავდა (ბერძენიშვილი 1990: 51).

ლექსემა „**ქვეყანა**“ თანამედროვე ქართულში მრავლად დასტურდება: სულში, გულში გრძნობა გაქრა, გრძნობა გაქრა, **ქვეყანაზე** აღარავინ აღარ მიყვარს (კალანდაძე 1985: 35); მოგკლეს უბრალო ბრალითა, **ქვეყანა** შეარყიესო (გურამიშვილი 1975: 68); მზე იყო მკრთალი, ყურს გიპყრობდა **ქვეყანა** მთვრალი (ლებანიძე 1987: 245); გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი **ქვეყანა**, ფაფუკ ლოყებზე დაგეგზნება ჳიაკოვონა (კალანდაძე 1985: 64).

მეგრულში „ქვეყნის“ აღსანიშნავად ჳარალელური ფორმები დასტურდება: **ქეყანა, ქვეყანა** (ჳარაია 1997: 140) || **ქიანა, ქიყანა** (ყიფშიძე 1994: 343); **ქიანა** მივლი დო თიჯგუა კოჳ სოთინ ვა მიძირუ „**ქვეყანა** მოვიარე და ისეთი კაცი არსად მინახავს“; ღორონქ დამიფარე ჟინი **ქიანაში** ცხოვრება სუმ თუთამ ვადათია „ღმერთმა დამიფაროს ზედა **ქვეყანაში** ცხოვრება სამი თვის ვადითო“ (ხუბუა 1937: 168); ქიმერთე ეფერ **ქიანაში**, ბადანეფი ქილაყაფენა „მივიდა ისეთ **ქვეყანაში**, სადაც ბავშვები თამაშობენ“ (იქვე: 128); გერს გერობას აბრალენდესია დო ტურა **ქიანას** ორცუანდლა

„მგელს მგლობას აბრალეზდნენო და ტურა **ქვეყანას** აოხრებდაო (,ცვეთდაო“) (ხალხ. სიბრძნე 1994: 25); თე **ქიანა** თიში რე, მისგთ ჯგირი ოსური აშინია „ეს **ქვეყანა** იმისია, ვინც კარგ ცოლს იშოვისო“ (იქვე: 51).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარალელურად დასტურდება „ქეცანა“ ვარიანტი: აჰა, მუა-ჩქიმია, ათენეფი მიპონი მავა დო ეპ-ქოფი ათეზმა **ქეცანავა!** „აჰა, მამაჩემოლო, ესენი მოვიყვანე მე და ავიდე ამდენი **ქვეყანა**“ (ხუბუა 1937: 127); უკულ დირთე მუმ მუ-ანთილიშ ცუდეშა, დო ჩებარუ **ქეცანაშ** უჩაშალა „მერე დაბრუნდა მისი მამამთილის სახლში და ჩაიბარა **ქვეყნის** უფროსობა“ (იქვე: 104); თენერი ბეჭეტი შურო ვარე მეტი **ქეცანას** მოჭკირილი „ამნა-ირი ბეჭედი სულ არ არის მეტი **ქვეყანაში** მოჭკირილი“ (იქვე: 90); დაქყე ულა დო მიდართე გალენი **ქიანაშა**, შორე ადგილიშა მიდართე, ქალაქიშა „დაიწყო სიარული და წავიდა **ქვეყნის** გარეთ, შორეულ ადგილას, ქალაქში“ (იქვე: 130); ათე **ქეცანაშ** ხენწფვეს ცუნც ცირა სქუა „ამ **ქვეყნის** ხელმწიფეს ჰყავს ერთი ქალიშვილი“ (იქვე: 89).

ლაზურში „ქვეყნის“ მნიშვნელობით გვაქვს **დუნია** (|| დუნია): ამ **დუნიას** მითი ვარ გესქიდერენ „ამ **ქვეყანას** არავინ შერჩენია“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 198); **დუნია** ნიტას, ქორბს გიტას „**ქვეყანა** იქცეოდეს, მუცელში ჩადიოდეს“ (იქვე: 212); ამაშკონაი ვორტი, **დუნია** გევოქთაჰტი „ამის ხელა ვიყავი, **ქვეყანას** ვატრიალებდი“ (ასათიანი 1974: 118-119); ჩხომი იდენდო **დუნია** გულიეენ მზოდას „თეფი წასულა და **ქვეყანა** მოუვლია ზღვაში“ (იქვე: 45-47).

სვანურში დასტურდება **ქტეყანა** (თოფურია, ქალდანი 2000: 788). მაგალითად, იშგენ **ქტეყანაისგა** დემ ხტიზგი „სხვა **ქვეყანაში** ვერ ვიცხოვრებ“; საქართველო ხოჩა **ქტეყანა** ლი „საქართველო კარგი **ქვეყანაა**“ (ჩვენი მასალებიდან).

ხმელეთი „მიწა (ზღვის საპირისპიროდ)“ (ქეგლი VIII 1964: 1479); ძველ ქართულში **კმელი** არის „ქტეყანა“, „ხმელეთი“ (აბულაძე 1973: 569), სულხან-საბასთან: **კმელეთი** „ქვეყანა ზღვას

გარდა“ (საბა 1991: 442): ის დამილოცავს ზღვასა და **ხმელეთს** შორეულ ცის ქვეშ (კალანდაძე 1983: 83). სვანურში გვაქვს **კმელ**, **კმელეთ(-იშ)** „ხმელეთი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 884).

ქალაქი „დიდი დასახლებული პუნქტი, ჩვეულებრივ ადმინისტრაციული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი“ (ქეგელი VII 1962: 243). **ქალაქი** ძვ. ქართულშიც დასტურდება: წარიყვანა იგი... წმიდასა მას **ქალაქსა** (აბულაძე 1973: 451). ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში **ქალაქი** მსხვილი დასახლებული პუნქტია, რომელიც ასრულებს სამრეწველო-საწარმოო, სატრანსპორტო, საორგანიზაციო-სამეურნეო, კულტურულ-პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ ან დასვენებისა და მკურნალობის ორგანიზაციის ფუნქციებს, ქალაქის კატეგორია ადგილობრივ თავისებურებებთან ერთად განისაზღვრება შემდეგი ნიშნების მიხედვით: მოსახლეობის რაოდენობა და საქმიანობა, დასახლებული პუნქტის ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა. სოფლისგან განსხვავებით ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჩაბმული სოფლის მეურნეობაში. ქალაქებს ახასიათებს დასახლების დიდი სიმჭიდროვე და განაშენიანების (ხშირად მრავალსართულიანი) კომპაქტურობა (ქსე 1986: 446).

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ქალაქები არ განიხილება, როგორც ქვეყნის ცენტრი. ქალაქს საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოშობს, მაგრამ ქალაქის წარმომშობი ეს საზოგადოება გარკვეული ერთეულია ამა თუ იმ ფიზიკურ-გეოგრაფიულ სივრცეზე. აი, ეს საზოგადოება წარმოადგენს **ქვეყანას**, რომლის „ცენტრიც“ არის მისი ქალაქი (ბერძენიშვილი 1990: 135).

სოფელი „უპირატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი“; **სოფელი** „სამთავრო“, „საკარანო“, „მამული“, „ავანი“, „დაბა“, „სოფლივი“, ქვეყანა: ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი (სოფლიონი) ეძიებენ“... მიმოიქცეოდა გარემო სოფლებსა ამას... განვიდოდა მისა ყოველი სოფლები ჰურიასტანისაჲ (აბულაძე 1973: 401).

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ სოფელი დასახლების ერთ-ერთი უძველესი და საყოველთაოდ გავრცელებული ფორმაა. ხალხმრავლობის მიხედვით არჩევენ პატარასა (რამდენიმე კაცი ან კომლი) და დიდ სოფლებს. სოფლების გარეგნული იერი მრავალფეროვანია ქვეყნის განსხვავებული ბუნებრივი პირობებისა და საწარმოო მიმართულებების გამო, მაგრამ მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით განაშენიანების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების უპირატესი გავრცელება. ურბანიზაციის საყოველთაო გაძლიერებას თან სდევს სოფლების საერთო რაოდენობისა და მოსახლეობის შემცირების ტენდენცია (ქსე 1985: 477). **სოფელი** „სამყარო, მსოფლიო, ძვ. სოფელი, დუნია, ცამრგვალი, ცა-ხმელეთი, ქვეყნიერება, ქვეყანა – დედამიწის და სხვა ციური სხეულების ერთიანი სისტემა“ (ფოჩხუა 1987: 57). ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „**სოფელი** იგივე **ქვეყანაა**, თუმცა სხვადასხვა თვალსაზრისით: ერთია **საბრძანებელი სასუფეველი**, მეორეა **მიწა-წყალი**; პირველში უფლების მომენტია ასახული, მეორეში – ამ უფლების ობიექტი (ბერძენიშვილი 1990: 79). **სოფელი** „სააკაოს“, „ამ ქვეყნის“ მნიშვნელობითაც დასტურდება: ვაჰ, **სოფელო**, რამიგან ხარ (რუსთაველი 1987: 186); **სოფელი** იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა (ქართ. მწერლ. საუნჯე 2011: 95); მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი **სოფლისა**... (იქვე: 195) და სხვა მრავალი.

დაბა „დიდი სოფელი ქალაქის ტიპისა“ (ქეგლი III 1953: 158). ძვ. ქართულში **დაბა** „აგარაკი“, **სოფელი**, **ყანა**: უთხრეს ქალაქსა და **დაბნებსა** (აგარაკებსა); მოჰვლიდა... ქალაქებსა ყოველსა და **დაბნებსა** (აბულაძე 1973: 104). **დაბა** „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სსრკ-ში – ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი (მუშათა დაბა, საკურორტო დაბა და სხვა). დაბაში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოა სახალხო დეპუტატების სადაბო საბჭო, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა ორ-ნახევარი

წლით. 2. ძველი ქართული ტერმინი დასახლებული პუნქტის – სოფლის (დღევანდელი მნიშვნელობით) აღსანიშნავად. სვანურში მისი (დაბის) აღმნიშვნელი სიტყვა **დაბ** „ხნულს“ ნიშნავს. ჩანს, თავდაპირველად **დაბა** იხმარებოდა დამუშავებული მიწის – სახნავის მნიშვნელობით (ქსე 1978: 324). ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „სოფელი“ და „დაბა“ ისე დაახლოებიან ერთმანეთს, რომ განსხვავება მათ შორის არც ისე ადვილი იყო თვით ამის დამწერისათვის, ასევე დაემართა „სოფლის“ მიმართ „ქუეყანასაც“, რომელიც წარმოშობით იგივეა, რაც **დაბა**“ (ბერძენიშვილი 1990: 80).

ქართულ **დაბ** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **დობ** და სვან. **დაბ**. მეგრულსა და სვანურ ფორმებს ქართულთან შედარებით განსხვავებული მნიშვნელობა მოეპოვებათ. ქართული და სვანური მასალა შეაპირისპირა ა. შანიძემ. მეგრულის ეკვივალენტი გამოავლინა ვ. თოფურია. ***დაბ** არქექტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა.

უბანი „1. ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილი (მთაწმინდის უბანი); 2. განსაზღვრული ნაწილი ფრონტისა (ფრონტის სამი უბანი); 3. გადატ. „დარგი“; „საზოგადოებრივი საქმიანობის გარკვეული სფერო“ (მშენებლობის ყველა უბანზე წარმატება მოიპოვეს); 4. „გარკვეული მიზნით გამოყოფილი დასახლებული ტერიტორიული ერთეული“ (საარჩევნო უბანი); 5. „ადმინისტრაციული დაყოფის ან სხვა რაიმე მცირე ერთეული“ (საექიმო უბანი)“ (ქეგლი VI 1960: 1391). ძვ. ქართულში **უბანი** „სავაჭრო“, „ქუჩა“, „მოედანი“, „შარა“: **უბანთაგან** რაჲ შევიდინან... წარმოტყუენნა **უბანნი** მისნი (აბულაძე 1937: 416).

დასახლება „მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიჩენა; დამკვიდრება, დაბინავება, გადატ. დაოჯახება, ცოლის შერთვა“ (ქეგლი III 1953: 716), ხოლო **დასახლებული პუნქტი** „მოსახლეობის გაერთიანება განაშენიანებულ მიწის ნაკვეთებზე“. **დასახლებული პუნქტის** აუცილებელი პირობაა მისი მუდმივი გამოყენება

სამოსახლოდ. **დასახლებული პუნქტი** „მოსახლეობის გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. მის მრავალგვარობას განსაზღვრავს საერთო სოციალურ-ეკონომიკური პირობები და საწარმოო ძალთა დონე. ამავე დროს **დასახლებული პუნქტის** საერთო სახე, მისი ნაგებობები ასახავს მატერიალური კულტურის ეროვნულ ხასიათს, ხალხის ტრადიციებს. **დასახლებული პუნქტის** ბუნებრივი გარემოცვა გავლენას ახდენს მის მატერიალურ ფორმაზე“ (ქსე 1978: 394).

რაიონი „გეოგრაფიული, ეკონომიური თუ სხვა ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ტერიტორიული ერთეული“ (ქეგლი VI 1960: 358). **რაიონი** „ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების ძირითადი უდაბლესი ტაქსონომიური ერთეული. ზოგი მკვლევარი აიგივებს გეოგრაფიულ ლანდშაფტთან. ტერიტორიის ნაწილი, რომლის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია გეოლოგიური აგებულების ერთგვაროვნება, რელიეფის ერთი ტიპის სიჭარბე, ერთიანი ჰავა და ჰიდროთერმული პირობების, ნიადაგებისა და ბიოცენოზების ერთნაირი შეხამება. ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი იქმნება ლანდშაფტის სახეების გარკვეული კანონზომიერი შეთანაწყობით, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ნიშანდობლივი და რომლითაც ის განსხვავდება სხვა ტერიტორიისგან. მაგ., შუა კავკასიონის ქვეოლქის ქსნის რაიონში ლანდშაფტის შემდეგი სახეებია შეხამებული: დაბალ და საშუალმთიანი რელიეფის ნემომპალა-კარბონატულ და ტყის ყომრალ ნიადაგებზე განვითარებული მუხნარ-რცხილნარი; მთა-მდელოს ნიადაგებზე განვითარებული სუბალპური და ალპური მდელოები. მთიან მხარეებში **რაიონი** მოიცავს ლანდშაფტის სიმალღებრივ სარტყლებს“ (ქსე 1984: 204).

§7. „მიწა-ბარის“ გამომხატველი ლექსიკური ერთეულები ქართული ენის დიალექტებში

„მიწა-ბარის“ აღმნიშვნელი სახელები, ბუნებრივია, ქართული ენის დიალექტებშიც დაიძებნა. ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმეს (მოპოვებული მასალის მიხედვით):

თრითინა „თრითინა მიწა“ (იმერ.) „საცა არაფერი მოდის, შეიძლება ჩალა მოვიდეს მარტო“ (ქეგლი IV 1955: 484); **ჩოფი** (თუშ.) „სიციხიანი, ცხელი (ადგილი)“ (ქეგლი VIII 1964: 532); **ხოტბო** (ერწ.) „იგივეა, რაც ნეშომპალა“; **დინდგლი** (ქიზ. „შავი მიწა, ძარღვიანი ლაფი იცის“ (ქეგლი III 1953: 1188); **ფსუარი** (ქართლ.) „წმინდა ამტვერებული მიწა“ (ქეგლი VII 1962 192); **ბუცობი** (რაჭ.) „ჭიანჭველებისაგან ამოტანილი ფხვიერი მიწა“ (ქეგლი I 1950: 1196). **ჩახვაფული** (თუშ.) „ჩადაბლებული (ადგილი)“ (ქეგლი VIII 1964: 471); **ჩინღვლიანი** (ქართლ.) „კლდიანი ან გორაკიანი ფერდობი“ (იქვე: 509); **ჩორახიანი** (ქართლ.) „ფერდობი, სადაც ტყე გაჩეხილია (ფოჩხუა 1987: 88); **ხოფი** (მოხევ.) „ღრმა, ჩაღრმავებული ადგილი“ (ქეგლი VIII 1964: 1499); **ღურჭუმე** (რაჭ.) „ბუნებრივი ორმოები სათიბში“ (ქეგლი VII 1962: 484); **ღრამპი** (მთიულ.) „პატარა ორმო“: **ღრამპეხია**, მანდ ვერ გაივლი! (იქვე: 469); **ხუმურო** (გურ.) „მცირე ხვრელი, გათხრილი ცხოველების მიერ“ (ქეგლი VIII 1964: 1526); **ღურჭუმელა** (გურ.) „პატარა ღრუ“ (ქეგლი VII 1962: 484); **კუსუპი** (რაჭ.) „ძლიერ აქანებული აღმართი“ (ქეგლი IV 1955: 1445).

§8. „მიწა-ბარის“ აღმნიშვნელი სახელები იდიომებში

„მიწა-ბარის“ აღმნიშვნელი სახელები მრავლად დასტურდება იდიომებში:

მიწასთან გასწორება „განადგურება“: ვინ იცის **მიწასთან გაასწორეს** კიდევაც ქორსატეველას და კვეტარის ციხე-კოშკები (ქეგლი V 1958: 502); ხალხმა **მიწასთან გაასწორა** სასახლე (იქვე: 502); ცოლის მოკვლამ ბახვა ფულავა **მიწასთან გაასწორა** (იქვე: 503); მრავალს უხაროდა ამ მდიდარი კაცის დაცემა და **მიწასთან გასწორება** (იქვე: 503).

მიწის გახეთქვა „სიკვდილი“, „დალუპვა“: რატომ იმ დღეს **მიწა არ გამისკდა**, სანამდი თემში წავიდოდი (ქეგლი V 1958: 503); **მიწა რომ გამისკდებოდეს** და თან ჩამიტანდეს, ის მირჩევნია ახლა მე (იქვე: 503).

მიწამ ჩაყლაპა თუ ზღვამ „დაიკარგა“: **მიწამ ჩაყლაპა თუ ზღვამ** ჩანთქა ის ანდერძი, ის ჩემი დედის ნაქონი გულისქინძისთავი“ (ქეგლი V 1958: 503).

არ შეგკამოს მიწამ „არ მოკვდე“: **არ შეგკამოს მიწამ!** შენც არ მომიკვდე! (იხმარება უშედეგო მოქმედების გადმოცემისას) (ქეგლი V 1958: 503); მღვდელს... ემებენ, უძახიან, **შენ არ შეგკამოს მიწამ**, სადაა?! (იქვე: 503).

რა მიწაში ჩავიდე „სად დავიკარგო“: ახლა **რა მიწაში ჩევიდე** (ქეგლი V 1958: 503).

წაიღო შავმა მიწამ „დაიღუპა“: **წაიღო შავმა მიწამ** ჩემი თევდორე (ქეგლი V 1958: 503).

დედამიწამ პირი უყო „უკვალოდ დაიკარგა, გაქრა“: ყოველი კუთხე მოჩხრიკეს, ყველა მალაროსა და ხვრელში ჩაანათეს, გასინჯეს და ყველა გზა-ბილიკი შეჰკრეს, მაგრამ ვერაფერ კვალს ვერ მიაგნეს, თითქო **დედამიწამ უყოვო პირი**, ან მიწის მგელმა ჩანთქა ქალიო (ქეგლი III 1953: 1119).

დედამიწას არ ასცილებია „ძალიან პატარაა“: ჯერ **დედამიწას არ ასცილებია**, ამას ჩადის, რომ გაიზრდება, რა იქნება?! (ქეგლი III 1953: 1119).

დედამიწასთან გასწორება „განადგურება“: ბუზადაც აღარ

ჩაგვაგდეს, ხალხის თვალში **დედამიწასთან გაგვასწორეს**; ცხოვრების ღელვისაგან გატაცებული, ის თანდათანობით მიექანებოდა უფსკრულისაკენ და ვერ ატყობდა, რომ მზად იყვნენ **დედამიწასთან გაესწორებიათ** ურჩი ქმნილება... (ქეგლი III 1953: 1119).

დედამიწიდან აღგვა „მოსპობა, განადგურება, გადაშენება, მიწის პირიდან აღგვა“: და ვითარცა ავაზაკნი, **აღგავა დედამიწიდან** და თვით კი, ვითარცა ნადირი ტყისანი, ხალხთა ზედა თარეშობს (ქეგლი III 1953: 1119).

დედამიწის ზურგიდან აღგვა „მოსპობა, განადგურება, მიწის პირიდან აღგვა“: იგი უნდა ჰსცდილობდეს ოჯახი ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს და სამუდამოდ **აღგავოს დედამიწის ზურგიდან** (ქეგლი III 1953: 1119).

დედამიწის ზურგზე „მთელ ქვეყანაზე“: მსოფლიოში წუთი-სოფლის დაუდგომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა **დედამიწის ზურგზედ**; ღმერთო, ღმერთო, რა კაცია ჩვენი მუცელა!.. მაგაზე მეტი ღვთისნიერი და გლახაკთ მოწყალე რომ არ შეიძლება იყოს კიდევ სხვა **დედამიწის ზურგზე!** – იმახოდა ხალხი (ქეგლი III 1953: 1119).

ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად „არავის და არაფერს არ უწევს ანგარიშს, ძალიან თავისუფლად, უდარდელად, მოუურიდებლად იქცევა, ზვიადია, არაფერი არ ადარდებს“: მიწაზე ფეხს არ ვაკარებდი: **ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად**, გული გრძნობდა, გონება ოცნებად გადაქცეული მეშვიდე ცაზე მიმაფრენდნენ; (ბავშვი) ვიღაცისაგან მოცემულს ფეტვის მჭადსა ღულნიდა და **ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად** (ქეგლი VIII 1964: 568).

ამ ქვეყნისა აღარ არის „მომაკვდავია“: ბაბალე ქვეშაგებად არის ჩავარდნილი, არ იქნა, ვერ მორჩა და ვერა... არც არა იმედია მორჩენისა. კაცმა რომ ჰნახოს იტყოდა: ეს **ამ ქვეყნისა აღარ არის**, პირი იმ ქვეყნისკენ აქვს მიბრუნებულიო (ქეგლი I 1950: 425).

ამ ქვეყანას დაბრუნება „რაიმე მძიმე სენისაგან გადარჩენა“: იმ დღიდან მარაბდელი და ხოსიტა გურგენიძე სწრაფად **უბრუნდებოდნენ ამ ქვეყანას** (ქეგლი I 1950: 425).

ქვეყნის თვალი „ძალიან კარგი, ყველას მოსაწონი და სათაყვანებელი, ლამაზი, მშვენიერი“: აგერ ქალი, **ქვეყნის თვალი** (ქეგლი VII 1962: 311).

ნიადაგის გამოცლა „საფუძვლის, საყრდენის მოსპობა“: ამ ამბავმა დააღონა გიორგი, რადგან იმის წასვლის შემდეგ **ნიადაგი ეცლებოდა** ფეხქვეშ და ისევ გაჭირვებულ ყოფაში უნდა ჩავარდნილიყო კაცი (ქეგლი V 1958: 1482).

ნიადაგის მომზადება „საჭირო პირობების შექმნა (რისამე განსახორციელებლად)“: არზაყან დიდხანს **ამზადებდა ნიადაგს**. ურჩევდა მამას: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“; **მზადდება ნიადაგი** ბრძოლისათვის (ქეგლი V 1958: 1482).

ნიადაგის მოსინჯვა „რისამე შესაძლებლობის შემოწმება, გასინჯვა, შესწავლა, ვითარების გათვალისწინება“: ხარიც და კაციც **ნიადაგს სინჯავდა**, ერთიმეორეს ძალას წონიდა (ქეგლი V 1958: 1842).

ორმოს უთხრის „ღალატობს, საფრთხეს უმზადებს, მახეს უგებს, სამარეს უთხრის“: მისი ტოლები (ელიკოს) ქვეშ-ქვეშობით **ორმოს უთხრიდნენ**; სამართალს ფულითა ვსჭრიდი, გროშისთვის კაცსა გავყიდდი, თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელა ვზრდიდი (ქეგლი VI 1960: 54).

ამრიგად, „მიწა-ბარის“ აღმნიშვნელ ლექსიკაში გამოიყო შემდეგი თემატური ჯგუფები: ა) უშუალოდ „მიწა-ბარის“ გამომხატველი სახელები; ბ) „მიწა-ბარის“ სახეობათა (თუ თვისების) აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები; გ) „მიწის“ ნაწილების გამომხატველი სახელები; დ) „მიწა-ვაკესთან“ დაკავშირებული ლექსიკა, რომელიც მის ფორმაზე მიგვანიშნებს; ე) „მიწა-ბარის“ მდებარეობის აღმნიშვნელი სახელები; ვ) დასახლებული პუნქტის გამომხატველ გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები.

* * *

განალიზებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ „მიწა-ბარის“ აღმნიშვნელ სახელთა (და მასთან დაკავშირებული ლექსიკის) ერთი დიდი ნაწილი საერთოქართველური წარმომავლობისაა.

თავი III

„წყალთან“ დაკავშირებული ლექსიკა ქართულში

წყალთან დაკავშირებული ლექსიკა შემდეგ თემატურ ჯგუფებად დაიყო: 1. უშუალოდ წყალი და მასთან დაკავშირებული მსახლვრელები, ზმნები და ზმნისართები (აგრეთვე „წყლით“ გაქლენთილი საგნები და ადგილები), რომლებიც მის (წყლის) თვისებაზე მიგვანიშნებენ; 2. „წყლის“ აღმნიშვნელი გეოგრაფიული ობიექტების საზოგადო სახელები; 3. უშუალოდ „ზღვასთან“ თუ „მდინარესთან“ დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები; 4. „წყლის“ შემადგენელ ნაწილთა აღმნიშვნელი სახელები.

„წყალი“ მრავლად დადასტურდა იდიომებშიც.

§1. ლექსება „წყალი“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ თემატურ ჯგუფში გაერთიანებულია უშუალოდ „წყალი“ და მასთან დაკავშირებული ზმნები თუ ზმნისართები. ესენია:

წყალი „უფერული, გამჭვირვალე სითხე, წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; იხმარება სასმელად, სარეცხად, საბანაოდ, სარწყავად“ (ქეგლი VIII 1964: 1189); **წყალი** „წყალი“, „მდინარე“ (აბულაძე 1973: 553); **წყალი** არს ერთი ოთხთა კავშირთაგანი კეთილად დაბადებული ღვთისაგან პირველსა დღესა – **წყალი** არს ნივთი ნოტიო, გრილი, მძიმე და ქვე დამზიდველი და ადვილად დასათხვეელი. ქვეყანა უმძიმეს არს წყალთა და ჰაერი უსუბუქეს წყალთა და ცეცხლი უსუბუქეს (ჰ)აერთა. **წყალი** ეწოდების ზღვასა, ტბასა, მდინარესა, წყაროსა, ფშასა, ჯურღმულთა წვიმათა და თოვლისა ნადნობთა და ამათ მიერ იქმნებიან (იქმნების) ნათლისღება, ხოლო ვარდის-წყალთა ვარდისწყლისა

და სხვათა მიერ ნოტიოთა (ნოტიოთა მიერ) არა იქმნებიან (საბა 1993: 1219); **წყალი** „წყალბადის ოქსიდი, H₂O, ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ქიმიური ნაერთი. უსუნო და უფერო სითხე (სქელ ფენებში, ცისფერია), ლითოსფეროში მისი შემცველობა 1,3-1,4 მლრდ. კმ³, ჰიდროსფეროში – 1,4-1,5 მლრდ. კმ³ ჰ... წყალში ყოველთვის გახნილია მარილები, აირები და ორგანული ნივთიერებები. მათი რაოდენობა დამოკიდებულია წყლის წარმოშობასა და გარემო პირობებზე...“ (ქსე 1987: 357). ვახუშტი ხევს, წყალსა და მდინარეს სინონიმური მნიშვნელობით იყენებს, მთავარი ფაქტორი წყლიანობაა. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ლექსიკონში **წყალი** და **მდინარე** გაიგივებულია, თუმცა კონკრეტულად მდინარე არცერთ შემთხვევაში არ დასტურდება, მაშინ როცა წყალი აპელატივად 285 ერთეულშია. ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ **წყალი** ერთ დროს მდინარის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და ეს მნიშვნელობა ზოგჯერ დღესაც იგრძნობა. ამ სიტყვის დამოუკიდებლად გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხვევა ფიქსირდება: **ოწყარიე** (მდ. ხობის რ., ცივის შენაკადი). მეგრ. „საწყალე“. თუმცა ეს სახელწოდება დამოუკიდებლად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან თავსართ-ბოლოსართის საშუალებითაა ნაწარმოები. ატრიბუტული მსაზღვრელით ნაწარმოები მდინარის სახელები დიდი პროდუქტიულობით არ გამოირჩევა: 10 დასავლეთ საქართველოშია, 6 კი – აღმოსავლეთში (დიდი წყალი, ჭითაწყარი, შავწყალა, ერისწყალი, ორწყალი, ხობისწყალი, ტურეზისწყალი, გველისწყალი, ჭანისწყალი, ერწოსწყალი...) (მაღრაძე 2004: 88-89).

ჭან. **წყ-არ-ი** || **წყ-ა-ი** || **წ-არ-ი წყალი**, вода; მეგრ. **წყ-არ-ი**, ქართ. **წყ-ალ-ი**; სვან. **ლი-ც** || **ნი-ც**; მაგალითები: მა მიპირამუნ **წკარი**, წიფურიში ქლოქის გამუდუნ „მე მინახავს **წყალი**, წიფლის ძირში გამოდის“; ია **წყაი** შუფან „იმ **წყალსა** სმენ“; ტუცა წკაის შექეი ქოდოლობდაფან „ცხელ **წყალში** შაქარს ჩაყრიან“; ყინი **წყა-ის** დოჩხიფან „ცივ **წყალში** გარეცხავენ“; **წკართე** ბგუბრე

„წყლით მოხხარშავ“; წკაი ჰექოლე მობუტალემით „წყალს იქიდან გამოვუშვებთ“; წკარ დომიფუნია „წყალი ამიდულეო“; წარ ამბინუ „წყალი მოწყურდა“; წარი ქოგილუნ! ა მციქა წარი ქომომჩია „წყალი გაქვს! ცოტა წყალი მომეციო“; არ თანექ წარი თორუმს „ერთი წყალს ზიდავს“; ოშუმონი წკა(რი) ღალის რენ. ღალიში ქენარის გამულუნ წკარ-თოლი „სასმელი წყალი მდინარეშია, მდინარის ნაპირასაა წყალიო“. წკაი მიიღება რ-ს დაკარგვით (ხმოვანთა შორის)... წარი ათინურსა და ართაშანულში გვაქვს: წკ- → წ-; წკარი ამოსავალია ჭანურისათვის. წყ- → წკ- წკარ- || წყარ ზანურად გადაკეთებული ვარიანტია წყალ-ისა: განსხვავება მხოლოდ დეტერმინანტ სუფიქსშია: -ალ- → -არ... ზანური კანონზომიერი შესატყვისი ქართ. წყარ- ფუძისა უნდა ყოფილიყო *ჭყორ-; მეგრულში დაცული ჰორ – ჰოროფა – „ხშირი ავდრები“ – ქართ. წყალ-ს უდრის, და, ამრიგად, ააშკარავებს, რომ ქართულში ყ- შემდეგაა განვითარებული: წყ-ალ ← წ-ალ... (ჩიქობავა 1938: 203). მკვლევარი წყალ- ფორმაში გამოყოფს -ალ სუფიქსს. შდრ. წყ-ალ, წყ-ურ-ი-ს, წყ-ურ-ი-ლ, წყ-ურ-ი-ელ, უ-რ-წყ-ულ- („უწყლო“)... უ-რ-წყ-ულ-ო/ებ-ა, მე-რ-წყ-ული („მერწყლე“) სა-რ-წყ-ულ... (ჩიქობავა 1978: 22). -ალ სუფიქსი ზანურის შესატყვის ფუძეებში გადის გარდაქმნის შემდეგ გზას: *ალ → ოლ → ოჴ-უ (*წყალ → წყოლ – *წყოჴ-წყუ)... (არაბული 2001: 194-195).

გ. კლიმოვი აღნიშნავს: „Вода одна из наиболее труднообъяснимых основ в картв. языках. Не обнаруживается в сванском“ (Климов: 160).

მაგალითები: წყლისგან მიეცეს ფერები, ნაყოფნი იქნას მთელია (ვახტანგ VI 1975: 40); გზაზე ბარათამ მძლოლს კოკით წყალი გამოუტანა (გოთუა 1981: 19); წყურვილისაგან დატანჯული მეომრები და ცხოველები ხარბად დაეწაფნენ ცივ წყალს (სანიკიძე 1976: 58); აქ ისწავლა ისრის სროლა, ნადირობა, ჯირითი, წყალზე ბადის გადაადება, ამოხაპვა ქვირითის (ნიშნიანიძე 1984: 10); ნუ გიკვირს, შუქს გვაძლევს, წყალი რომ წყალია, სიცოც-

ხლედ ევლება ველებს, ყანებთანს (ნონეშვილი 1978: 222); **წყალი, წყალი**, ვაი, **წყალი**... დედულა, მომიტანე რიონი და ქვედრულა (ნიშნიანიძე 1984: 203).

ცალკე გამოიყო ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც ძირითადად მხოლოდ „წყლის“ მსაზღვრელად დასტურდება: **მტკნარი** „უმარილო, უგემური“; **ანკარა** „ძალიან სუფთა, წმინდა (სითხე) – ანკარა წყალი, ანკარა ღვინო“ (ქეგლი I 1950: 505); **ხისტი** „ხემეში, ხმელი, ხამი“ (ქეგლი V 1958: 416); **ამღვრეული** „რაც ამღვრევს ან აიმღრვევა“ (ქეგლი I 1950: 462); **დუბელა** „ნელთბილი უგემური წყალი“ (ქეგლი III 1953: 1290); **ბურდოიანი** „ბურდოს შემცველი (ჭუჭყიანი, მღვრიე წყალი)“ (ქეგლი I 1950: 1780); **მგალმოტეხილი** საუბ. „ოდნავ შემთბარი (წყალი)“ (ქეგლი VIII 1964: 737); **გამდინარე** „რაც გაედინება, გადის, მიედინება“ (ქეგლი II 1951: 666); **დამცვრეული** „ცვრებად დასხურებული, დაფრქვეული“ (ქეგლი III 1953: 564).

მხატვრულ ლიტერატურაში (პროზასა თუ პოეზიაში) „წყლის“ მსაზღვრელებად დასტურდება: „დაქანებულნი“, „დამონებული“, „ალმასის“, „ხევის“, „წყაროს“ და სხვა. მაგალითად: ზამთრითა შეკრულს **წყალს, დამონებულს**, ყინვა ადნება (ჭავჭავაძე 1985: 26); **წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ** უფსკრულს ჰსცვივიან (ორბელიანი 1975: 173); მინდოდა **წყაროს წყალი** გემოთი და მშობლიური სუნთქვა სიოთი (გალაკტიონი 1965: 190); მიყვარს, როცა ხმას იძლევა მოგრიალე **ხევის წყალი** (იქვე: 297); კვალად თანა სდევს შენს **კამკამა წყალს** მოაქამომდე, შენ ლურჯთა ჩქერთა, სხივშარავანდი მათი უსწორო (კალანდაძე 1985: 182); ჯვარს აცვით ეგე! და... **მღვრიე წყალში** ყველა თავისას ეძებს საკბილოს (იქვე: 341); ლომის მთით მოქუხს **ალმასის წყალი**, ხევში გუგუნებს... (იქვე: 298); **მეავე წყლებისკენ** საცალფეხო გზა გამოვწვალდე, არსად არ წავალ, აქ დავრჩები ზამთრის მოსვლამდე (ნიშნიანიძე 1991: 369).

როგორც ითქვა, მეგრულში დასტურდება „წყარი“ ფორმა: ხოჯიმა **წყარი** ქომიჩია, კუჩხი ვემოლას თეშია „ხარს **წყალი** და-ალევინე, ფეხი რომ არ დაუსველდეს, ისეო“ (ხუბუა 1937: 284); ქიმილეს მასქილადაფარი **წყარი** „მოიტანეს მომრჩენი (განმაკურნებელი) **წყალი**“ (ქაჯაია III: 447); **წყარი** ქომომილი „**წყალი** მომიტანე“; ღვინე **წყარგზორო** გევში „ღვინო **წყალივით** დავლიე“; ვემნართე თე **წყარიშა** დო ქეკოდოხოლდე „ვერ ჩავიდა ამ **წყალში** და ჩამოჯდა“ (ხუბუა 1937: 79); **წყარიშ** მაშუმალქ ღვინი გათუ დო დიხაშ მაჰკომალქ ქობალი დო ხორცი „**წყლის** მსმელმა ღვინო გაათავა და მიწის მჰამელმა – პური და ხორცი“ (იქვე: 57); ართი ჭიჭე ჭუკიქ გამერულე ხვირატეშე დო **წყარიშა** დინილე „ერთი პატარა თაგვი გაიქცა ხვრელიდან და **წყალში** ჩავიდა“ (იქვე: 104); ბოთლი ქიხვამილუ **წყარამო** დო ირულ „ბოთლი აილო **წყლიანად** და გაიქცა (იქვე: 57); დიჭყეს თე **წყარს** ტანიში ბონუა „დაიწყეს ამ **წყალში** ტანის დაბანა (ბანაობა)“ (იქვე: 35); მიდურქ ხოლო დო თი **წყარს** მინიბლენქია „წავალ კიდევაც და იმ **წყალში** ჩავალ“ (იქვე: 62); უკდებაში **წყარიშა** მეურქია „უკვდავების **წყალზე** მივიდივარო“ (იქვე: 115); **წყარ** ქიძულეს, პიჯ გიბონე, ბარგი ქიძვიქუნე დო გიმილე გალე „**წყალი** მოუტანეს, პირი დაიბანა, ტანსაცმელი ჩაიცვა და გავიდა გარეთ“ (იქვე: 131); ამსერი დალეფი გილულა იშო-აშო, **წყარი** მულუნა „ამ სალამოს დეხი დადიან იქით-აქეთ, **წყალი** მოაქვთ“ (იქვე: 30); მიდართეს დო ოქროშ ჭირქათ **წყარი** ქოჩგეს „წავიდნენ და ოქროს ჭიქით **წყალი** დაალევინეს“ (იქვე: 139); ართ დიხას ქაკასერე ჭიჭე **წყარ პირს** „ერთ ადგილას შემოაღამდა, პატარა **წყლის პირას**“ (იქვე: 113)...

სვანურში გვაქვს **ლიც** ფორმა. **ლიც** (-იმ, -არ ზს., ლნტ, -არ ლშხ.), **ნიც** ლშხ. – წყალი (თოფურია, ქალდანი 2000: 472); მაგ., მეცხი **ლიც** ლოხუმ „ცივი **წყალი** დავლიე“; **ლიც** პოლჟი ემბედდა „**წყალი** იატაკზე დამესხა“ (ჩვენის მასალებიდან).

ცალკე ჯგუფს ქმნის ის ზმნები და ზმნისართები, რომლებიც წყლის გამოყენებასთან (ან მის თვისებებთან) არის დაკავშირებული-

ლი: **ამოხაპავს** (ამოხაპავს წყალს); **გაალაღლაღებს** „წყალში გაავლებს“; **გაჟღენტოს** „გაჟღენტოს ნიადაგს, ნიადაგის გაჟღენტოა წყლით“ (ქეგლი III 1953: 1049). მეგრულში მისი შესატყვისია **ჟიჟინაფა** (ქაჯაია II: 501), ხოლო სვანურში „გაჟღენტოს“ შეესატყვისება **ლილბენე**, „გაჟღენთილს“ – **ლღლბენე**.

მაგალითები: მეგრ. ღვინს **ჟიჟინაფილგ** ქობალგ მჩუ „ღვინით **გაჟღენთილი** პური მაჭამა“; წყარით **გოჟიჟონდუ** დიხა „წყლით **გაიჟღინთა** მიწა“ (ჩვენი მასალებიდან). სვან. გიმ **ლგლბენე** ლი „მიწა **გაჟღენთილია**“; **ლგლბენე** ზექ ჟემ იზხი „**გაჟღენთილი** შეშა არ იწვის“ (ჩვენი მასალებიდან); **გააჟიგებს** „ძლიერ დაასველებს“, მიწის **გაჟიგება** (ქეგლი II 1951: 1077); **გამოხდის** „გამოხდის წყალს“ (იქვე: 915); **დააგუბებს** „გუბედ აქცევს“ (შდრ. სვან. **ლიტობე** „დაგუბება“) „გუბედ ქცევა, დატბორება“ (ქეგლი III 1953: 325); **დის** „განუწყვეტელ ნაკადად მოძრაობს“; **დაატბორებს** „დააგუბებს“; **დატბორება** „ტბორედ ქცევა, დაგუბება“ (იქვე: 746); **გაილუმბება** „ძლიერ დასველდება“ (ქეგლი II 1951: 643); ***ლუმბ** – ქართ. **ლუმბ**- გა-ლუმბ-ვა „დასველება; გაწუწვა“; **გა-ლუმბ-ულ-ი** „გაწუწული“... სვან. **ლგმბ- მგ-ლგმბ** „სველი; ნესტიანი“. ქართული ენის გურულ დიალექტში დასტურდება **გალუმბვა** „გაწუწვა“; **გეილუმბა** „ძლიერ დასველდა“. ქართულ **ლუმბ**- (<***ლომბ**-) ძირს უნდა შეესატყვისებოდეს სვანური **ლგმბ**-. მასალა ჰ. ფენრიხმა შეაპირისპირა (სარჯველაძე, ფენრიხი, 2000: 309).

„წყლის“ თვისება (დუდილის უნარი) ჩანს „დულს“ ზმნაში. **დულს** (მეგრ. **ფუნს**, სვან. **ფუე**) „ქაფქაფებს“. **დუდილი** „ძლიერი გაცხელებისაგან აორთქლება და მოძრაობაში მოსვლა“ (ქეგლი III 1953: 1241). ძვ. ქართ. **დუდილი**: მღელვარება, ბოზოქრობა: სიტყუასა ამას ზედა **დუდილი** იქმნა დიდი ქუეყანისაჲ (აბულაძე 1973: 43). ***დულ** ქართ. **დულ-დულ-ს**; **დულ-ილ-ი**; **ად-დულ-ებ-ა**; მეგრ. **დულ- დულ-ა** „მდუღარე“, ლაზ. **ნდულ- გენდულ-ერ-ი** „საჭმლის სახეობა“ (ეტიმოლოგიურად „ადულებული, სადულებელი“).

გვხვდება ძველ ქართულში: „**აღსდუღდი** ვითარცა წყალი“, **აღა-დუღის** უფსკრული, ვითარცა ქუაბი; **აღდუღნა** გულისწყრომითა და შთაფლა სიავსა მას აღდუღებულსა სიტყუასა ამას ზედ; **დუ-ლილი** იქმნა დიდი ქუეყანისაჲ და სხვ. ქართულ **დუღ** ძირს უნდა შეესატყვისებოდეს მეგრული **დუღ** და ლაზური **ნდუღ-** (ლაზურში **ნ** განვითარებულია), ***ნდუღ** არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობისათვის აღდგენილია გ. კლიმოვის მიერ.

ამავე თემატურ ქვეჯგუფს განეკუთვნება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **ნამავს** „სუსტად მოედინება“; **ნამვა** „დენა, სვლა“ (სუსტი წვიმისა) (ქეგლი V 1958: 1329); **წკუმპლავს** „წკუმპლებით ასველებს, წუწავს“ (ქეგლი VIII 1964: 1153); **წუწაობს** (სვან. ლიბგდანელ) „ასველებს“ (იქვე: 1183); ქართ. **წუწ** – **წუწ-ი** „გამონადენი თვალებიდან“, სვან. **წიწუ** – **წიწუ** „გამონადენი თვალებიდან“. ქართული **წუწ** ძირის შესატყვისი შესაძლოა იყოს სვანური **წიწუ** (<*წუწ შდრ. ფირუ < *ფურ) (სარჯველაძე, ფენრიხი 2002: 654).

მაგალითები სვანურიდან: ზაფხულში ბობშარ **იბგდანელს** „ზაფხულში ბავშვები **წუწაობენ**“; **ლიბგდანელს** ხოლა დაწრ როქ ხობალ „**წუწაობამ** ცუდი ამინდი იცისო“ (ჩვენი მასალებიდან); **წუწვა**, **წუწავს** (მეგრ. **წვაწუა**, სვან. **ლიბდე**) „მთლად, ერთიანად დასველება“ (ქეგლი VIII 1964: 1183); მაგ., მეგრ. ბაღანეფ ართმაჟი-ას **წვაწუნა** „ბავშვები ერთმანეთს **წუწავენ**“; ჭვიმაქ **გომწვაწუ** „წვიმამ **გამწუწა**“ (ჩვენი მასალებიდან.); **წვეთავს** „წვეთებად მოდის; **წვეთავა** „წვეთის ვარდნა, წვეთის დენა“ (იქვე: 1070). მეგრულში „წვეთავს“ ფორმის შესატყვისია **ჭვარჭვალანს**, ხოლო სვანურში – **ლიწექუნე**.

მაგალითები: ჟიდოხზე წყარ **ჭვარჭვალანს** „ზევიდან წყალი **წვეთავს**“; ხეშე ზისხირ **ჭვარჭვალანს** „ხელიდან სისხლი **წვეთავს**“ (ჩვენი მასალებიდან); თოლეფშე ჩხე ჩილამურქ **მაღეჭვარ-ჭვალუ** „თვალებიდან ცხელი ცრემლი **წამოწანწვარდა**“; ონტკა

მიკვარტვალუ „არაყი მოწანწკარებს“ (ქაჯაია III: 465); კვარემ შომა იჰნი, **ლიწქუნეს** იბნე „ყინული როცა დნება, **წვეთავს**“ (ჩვენი მასალებიდან); ლგყნრხწწრუ **კუქთხე** „ყავრიდან **წვეთავს**“; ჟწკხენქა ადრწყ **კუქთხე** „ტიკიდან არაყი **წვეთავს**“ (თოფურია, ქალდანი 2000: 354); წიქტიშ **ლიწქუქს** მიჩა ჰერ ხულჟე „წვეთის **დაწვეთე-ბას** თავისი ხმა აქვს“ (თოფურია, ქალდანი 2000: 480); **წრეტს** „სითხისაგან ცლის“; **წრეტა** „და'ცლა, 'და'წურვა“ (ქეგლი VIII 1964: 1170); სულხან-საბასთან: **წრეტა** – სრულიად წარმოცლა, სრულე-ბით დაცარიელება“ (საბა 1991: 385). სვანურში „წრეტას“ შეესატყვი-სება **ლიწწრე**. მაგ.: თწმწ **ღწწრწწ** „ყველი **დაიწრიტა**“ (ჩვენი მასალებიდან); **შხეპს** „შხეპით გვევლინება“; **შხეპა** „შხაპუნა წვი-მის ხმა“ (ქეგლი VII 1962: 1477); **მოჩხრიალებს** „ჩხრიალით მო-დის, მოედინება“ (ქეგლი V 1958: 1042); **მოჩხუჩხუხებს** „ჩხუჩხუხით მოდის, მოედინება“ (იქვე: 1041); **ლიცლიცებს** (გვხვდება მხოლოდ ნაკვეთთა აწმყოს წყებაში) 1. „პირამდე სავსეა (სითხით)“ – გა-ლიცლიცებულია; 2. ციმციმებს „**ლიცლიცებენ** თაფლის სანთლე-ბი“ (ქეგლი IV 1955: 1544); **ლიკლიკებს** (ხმაბაძვ. გრდუვ. სტატ.) 1. „ლიკლიკით დის, რაკრავებს“; 2. ლიკლიკით ლაპარაკობს, ტი-ტინებს (იქვე: 1544).

ქართულში „წყალთან“ დაკავშირებით ხშირად გვხვდება შემ-დეგი ზმნები: „**დაწყნარდება**“, „**მოვარდება**“ და სხვ.

მაგალითები: **მოვარდა წყალი** და მიწა დალბა, ფანჯრის რა-ფაზე თავდავიწყებით გადაისისხლა წითელი ბალბა (ამაშუკელი 1980: 120); **წყალნი** შედმართს ადგილსა, რა შეხვდეს, **დაწყნარდე-ბისა**, ნელ-ნელა მოსდევს უკმორე, შედგომით გადიდებისა (ვახ-ტან VI 1975: 42); მებადური მოსდევს ბადეს, **ჟრჟოლავს წყალი** (გალაკტიონი 1965: 346).

როგორც ითქვა, ზმნისართთა ერთი ჯგუფი ასევე „წყლის“ თვისებაზე მიგვანიშნებს. ესენია: **ღაპა-ღუპით** (სვან. **ლიღრმანი**) „ხშირ და მსხვილ-მსხვილ წვეთებად ღვრა“ (ქეგლი VII 1962: 398).

მაგალითები სვანურიდან: ქიმ **ლადგრმანიმ** ახჷნი „ცრემლი **ლაპა-ღუპით** ჩამოდის“ (ჩვენი მასალებიდან).

წყალწყალ „წყლის (მდინარის...) გაყოლებით, წყალში (მდინარეში...) გავლით, – წყალდაწყალ“ (ქეგლი VIII 1964: 1204); **წყალდაწყალ** „წყლის (მდინარის...) გაყოლებით წყალში“ (იქვე: 1193); მეგრულში მისი შესატყვისია **წყარდოწყარ**: მეურდ **წყარდოწყარ** „მიდიოდა **წყალდაწყალ**“ (ჩვენი მასალებიდან); **წვეთულ** „წვეთობით, წვეთ-წვეთად“ (იქვე: 1070); **წვეთობით** „წვეთების ერთმანეთზე მიყოლებით, – წვეთ-წვეთად“ (იქვე: 1070). მაგალითად, **წვეთ-წვეთობით** წყალს აგროვებს, ნიაღვრებად გაუმეებს (გალაკტიონი 1965: 33); **წვეთწვეთად** „წვეთების სახით, თითო წვეთობით“ (ქეგლი VIII 1964: 1070). მეგრულში „წვეთწვეთად“ ფორმას შეესატყვისება **კვათ-კვათო**, სვანურში – **წიფხ-წიხფ**. მაგალითები: თირი **კვათ-კვათო**, წყარო მეურს „თოვლი **წვეთ-წვეთად**, წყლად მიდის“; ნაუჩხ **წიფხ-წიფხ** ანღრი „ნაწვიმარი **წვეთ-წვეთად** ჩამოდის“; **წურ-წურით** „უხვად დენა (ოფლისა, წყლისა)“ (იქვე: 1182). მეგრულში **წურწურს** შეესაბამება სიტყვა **ფვარფვალი** (ქაჯაია II: 497). „**წურ** ქართ. **წურ- წურ-წურ**-ი მეგრ. **კურ- კურკული** „წურწური“; ქართ. **წურ-** (<***წურ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **კურ-წურ-წურ** ისე, როგორც მეგრული **კურ-კულ** (<***კურ-კურ-**) დისიმილაციის შედეგად რედუქციკაციის გზით არის მიღებული (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 673); მაგალითები: ოფლი **წურწურით** პატიოსან შუბლზე გედვრება (ჭავჭავაძე 1985: 26); წყალი **წურწურით** ჩამოდიოდა ლოყაზე (შენგელაია: 1968: 30); მეგრ. **წვარწვკალით** მიიშუ უფუ, ჩილამური „ღვრად (წურწურით) მოდიოდა ოფლი, ცრელში“ (ქაჯაია II: 1204).

სახელთა ერთი ჯგუფი წყლით გაჟღენთილი საგნებისა თუ ადგილების აღმნიშვნელია (ამ ქვეჯგუფში შემავალ სახელთა ერთი ნაწილი ქართული ენის დიალექტებში დასტურდება, მაგრამ მათ ცალკე პარაგრაფად არ წარმოვადგენთ სიმცირის გამო).

გაჟინთული (ფშ.) იგივეა, რაც გაჟღენთილი (ქეგლი II 1951: 1047); მაგ. **გაჟინთული** ვარ ერთიან, ცივის ნაწვიმის ცვარითა (ვაჟა 1990: 36); **დამზალი** „რაც დალბა, – დასველებული“ (ქეგლი III 1953: 515); **ლამიანი** „ლამით დაფარული – დალამული ადგილი“ (ქეგლი IV 1955: 1472); **ლიჟღრიანი** (მთიულ.) „სველი, ნამიანი“ (იქვე: 1551); **ლაჰე** (ლუჩხ.) „სველი, ნოტიო“ (იქვე: 1502), **ლაპარტი** (ქიზ.) „ძალიან სველი (ტანისამოსი)“ (იქვე: 1479); მაგ. მეგრ., პიშქოსალე **შოლირიე** წყარით „პირსახოცი **სველია** წყლით“; **შოლირ** ქუდის გითმითვანს „**სველ** ქუდს იხურავს“; სვან. ლერექუ **გჟიორ** ლი „ტანსაცმელი **სველია**“; გიმ **ადჟირჰ** „მიწა **დასველდა**“ (ჩვენი მასალებიდან);

ნოტიო „წყლით გაჟღენთილი, ნესტიანი: სველი“ (ქეგლი V 1958: 1513); მეგრულში სიტყვა „ნოტიოს“ შეესაბამება **შუ, შგ.** „...ქართ. **ნოტ-იო** „წვიმიანი“, იმერ. **ნოსტ-ვა** „დანესტიანება“; მო-**ნოსტ-ა**, გურ. **ნოსტ-ო** „ჩამდგარი ლორწოიანი წყალი“. ზან. (მეგრ.) **ნოტ-აფ-ო** || **ნეტ-აფ-ი** || **ნიტ-აფ-ი** „წვეთვა“. სვან. – მ. ჩუხუა აღნიშნავს, რომ წყლიანობა-სინესტის გაგება უპრობლემოდ უკავშირდება მეგრულში დადასტურებულ **წვეთა-ს**, რასაც ასევე წყლიანობა უდევს საფუძვლად. იქნებ **წვეთვა** || **წვეთება** იძლეოდეს გასაღებს მთიულურ-გუდამაყრული **ნოტო- ნოტო** „ნაწილ-ნაწილ“ სემანტიემისთვის, ეტიმოლოგიით წვეთ-წვეთად. მეგრული **ნოტ-აფ-ი** ქართულისათვის **ნოტ-ებ-ა-ს** ვარაუდობს, შდრ. იმერული ზმნური **ნოსტ-ვა**, თუმცა დღეს პირიელი ზმნური ფორმები მეგრულიდან ძნელად დასტურდება. ს. ქართვ. *ნოტ „წვიმიანობა, სინესტე || → ქართ. **ნოტ.** → || **ნოსტ-**, **ნოტ-იო**: ზან. **ნოტ-**, **ნოტ-აფ-ი** → || **ნიტ-აფ-ი** (ჩუხუა 2000-203: 172).

§2. „წყლის“ აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები

ამ თემატურ ქვეჯგუფში წარმოდგენილია ის გეოგრაფიული ობიექტები საზოგადო სახელებისა, რომლებიც „წყალს“ გამოხატავენ (მაგ., **მდინარე**, **ზღვა** და სხვა).

წყარო „მიწისქვეშა წყლის ნაკადი, ამოხეთქილი ზედაპირზე მიწიდან, ან კლდიდან გამომდინარე წყალი“ (ქეგლი VIII 1964: 72). ილია აბულაძის ლექსიკონში „წყარო“ შემდეგნაირად განიშარტება: **წყარო** „აღმომადინებელი თვალის ადგილი წყლისა“ (აბულაძე 1973: 553); **წყარო** „ზღვათა და მდინარეთაგან განვლიან სოროთა ქვეყანისათა. ზღვისა სიმწარესა ქვეყანა დასწურავს და შესვამს და ვითარცა ადგილთა განვლიან წყარონი, კეთილთა, ანუ ცუდთა, ეგევითარნი იდინებიან გემოთა და, უკეთუ გოგირდისა ლითონთა განვლო, ტფილ(ნ)ი იქ(მ)ნებიან წყარონი, ვითარცა მდულარე; უკეთუ მდინარისა მახლობლად, მისგანვე გამოდიან წყარონი, არა უწოდთ წყაროდ, არამედ ფშად; ვითთა ჯურღმულიცა **წყაროდ** აღუწერიათ“ (საბა 1991: 393). ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში „წყარო“ ასეა დახასიათებული: „მიწისქვეშა წყლის ბუნებრივი გამოსავალი დედამიწის ზედაპირზე (ხმელეთზე ან წყალქვეშ) (ქსე 1987: 363).

***წყარ** ქართ. **წყარ- წყარ-ო**; მეგრ. **წყორ- აკო-წყორ-უ-ა** „წყლით შერევა“, **წყორ-ილ-ი** „წყალნარევი“, ლაზ. **ნწყორ- იკო-წყორ-უ** „წყლით შერევა“; ქართ. **წყარ-** ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **წყორ-** და ლაზური **ნწყორ** < **წყორ** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 657). სვან. **ბინულ** ბზ., ლშხ. **ბინილ** ლნტ. „წყარო“ ქართ. (ლექხ.) **ბინულ-ი** „წყარო მიწიდან ამონაქუხი“, გურ. **მინ** ← ***ბინ** → **გადა-მინ-ვა** – წყლის სხვა მხარეს გადაშვება. ზან. (მეგრ.) **ბუნ-**, **გინო-ბუნ-ა** „გადასხმა წყლის“; შდრ. **ბინ-ურ-ი**, მდ. ხუნწში. შედარებითი ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ სვან. **ბინ-ილ** || → **ბინ-ულ**, ქართ. **ბინ-**

ულ-ი ნაზმნარი სახელებია (შდრ. ზან. **ბ-უნ-ი** გურ. **მინ-** ← ***ბინ-**). ქართვ. ***ზ-ინ, ბ-ინ(ილ) || ბინ-(ულ-)** „ამოსხმა; ამოსხმული (წყარო) → ქართ. **ბ-ინ-ულ-ი, *ზ-ინ** → **მ-ინ-** : ზან. **ბუნ-, ბუნ-ილ-ი || ბინ-ურ-ი** : სვან. **ბ-ინ-ილ** → **|| ბ-ინ-ულ** (ჩუბუა 2002-2003: 69).

საინტერესოა ვ. შენგელიას მოსაზრება „წყარო“ ფორმასთან დაკავშირებით: **წყარო** მიღებულია შემდეგნაირად: **წყალ-** ფუძეს დაერთო **-არ** სუფიქსი, რომელიც წარმომავლობას გამოხატავდა (შდრ. **ჯაგ-ი** → **ჯაგ-არ-ი...**). ეს **-არ** იგივე სუფიქსი უნდა იყოს, რაც გვაქვს რთული შედგენილობის **-ნარ** სუფიქსსა (შდრ. **მუხ-ნარ-ი, კოპიტ-ნარ-ი, თხილ-ნარ-ი...**) და **-იერ/-არ** სუფიქსში (შდრ. **ღონ-იერ-ი/დიალ. ღონ-იარ-ი, გონ-იერი/დიალ. გონ-იარ-ი...**). ეგევე სუფიქსი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების დროსაც არის გამოყენებული: **ნ-არ, სა-არ (ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სომხ-არ-ი, ნა-ფეტვ-არ-ი... სა-ბუდ-არ-ი, სა-წინდ-არ-ი, სა-ჩივ-არ-ი...), მ-არ (მ-ტბევ-არ-ი, მ-წყევ-არ-ი, მ-თავ-არ-ი)**. **-არ** სუფიქსის დართვამ, ბუნებრივია, **წყალ-** ფუძის შეკუმშვა გამოიწვია: ***წყალ-არ-** → **წყლ-არ-** (შდრ. **წყალ-ი, წყლ-იან-ი, წყლ-ის-ა... წყალ-** ფუძიდანვეა მიღებული **წყლ-ულ-ი**). შემდეგ დაერთო **-ო** სუფიქსი (**ჩრდილ-ო, ახლ-ო, ღვინ-ო, ფართ-ო...**), ხოლო **ლ** დაიკარგა: ***წყლ-არ- < *წყლ-არ-ო < წყ-არ-ო. წყარო-ს** ამოსავალი სემანტიკა უნდა ყოფილიყო „წყლიანი ადგილი, წყლის შემცველი ადგილი, წყლები“... თუ ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას მივიღებთ, აღნიშნავს მკვლევარი, მაშინ მოიხსნება ის დაბრკოლება, რასაც ქართულში **წყალ-** ფუძის **წყარ-** (წყარო) ფუძესთან დაკავშირება ქმნიდა **ლ-რ** მიმართების თვალსაზრისით. მკვლევარი იქვე წარმოგვიდგენს განსხვავებულ ვარაუდს: წყლის აღმნიშვნელ **წყ** ძირზე **-ალ** და **-არ** სუფიქსები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაერთო და მივიღეთ, ერთი მხრივ, **წყ-ალ**, მეორე მხრივ – **წყ-არ (წყ-არ-ო)**. ეს მოსაზრება დამატებით დასაბუთებას საჭიროებს, – აღნიშნავს მკვლევარი. ქართული **წყარ-** ფუძის შესატყვისია მეგრული **წყორ-**, რომელიც ზმნურ

ფუძეში დადასტურებულია „განელების“ მნიშვნელობით, **წყორ-უნ-ს** „ანელებს“ (ცხელ წყალს ცივით) (შენგელია 1988: 49-50).

მაგალითები: გადამხმარა ჩვენი ბალი, ამომშრალა ჩვენი **წყარო** (გალაკტიონი 1965: 36); ბევრი **წყარო** და ბევრი ხევია ბეთანი-ამდე, სადაც სანთელი მარადისობის იწვის ნიადაგ (კალანდაძე 1985: 178); ქალები ღამით წავედით ტყეში, თვალეში ფეთქდა ელვა **წყართა** (გალაკტიონი 1965: 167); ოჰ, მზით გადანაცარო, ცხრა მუხა და **ცხრა წყარო!** (გალაკტიონი 1965: 85); **ცხრა წყარო** გადავიარეთ პირმზითი, ნაპირმზითარი... შენებრ ქალი არ მინახავს, არც გზები ესევითარი... (კალანდაძე 1965: 117).

პოეზიაში „წყაროს“ მსაზღვრელებად გვხვდება: **ანკარა, უბიწო, ცრემლის, უკვდავების** და სხვა.

მაგალითები: მაგრამ სად კლდიდან ეხლა ძვირფასად ამოსკდა **წყარო ანკარა** ასად (გალაკტიონი 1965: 340); გადმოსკდა **სისხლის წყარო** და იქცა მდინარედ (იქვე: 213); ატყდა ვაზების კვირტი, **ცრემლის** დაგუბდა **წყარო** (გალაკტიონი 1985: 107); არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ ტყეებია, მინდვრებია... **უკვდავების წყაროები** კლდეებს გადმოჰკიდებია (კალანდაძე 1985: 120); დაესიზმრება მშიერ გოლგოთას თეთრი ყვავილი და **წყარო გრილი** (იქვე: 37); აჰა, კვლავ ჩემს წინ **წყარო უბიწო**, მტილი კარღია, მაყვალთა ჩერო... (იქვე: 255).

მეგრულში **წყარო** „წყურგილია“ (ქაჯაია III: 453); სვანურში პარალელური ფორმები დასტურდება: **ბინულ|მაზუბ** (თოფურია, ქალდანი 2000: 154-547). მაგ., მეგრ. თი **წყურგილიშ** ხოლოს ართი ცუდე გედგე „იმ **წყაროს** ახლოს ერთი სახლი დგას“ (ხუბუა 1937: 304); ათე **წყურგილც** ეკოდგე ართი ცხიმური „ამ **წყაროზე** მიდგმულია ერთი კიბე“ (იქვე: 219); თიჯგუა **წყურგილი** ბძირია, იში მაჰამა დღას მუთა იყინია „ისეთი **წყარო** ვნახე, იმის ფასი არაფერია“ (იქვე: 176).

ტბა „მცირე ბუნებრივი წყალსატევი, რომელიც არ უკავშირდება ზღვებსა და ოკეანეს“ (ქეგლი VI 1960: 1267); **ტბა**: დგა კი-

დესა თანა **ტბისა** მის გენესარეთისასა; **ტბურე** „გუბე“: პოვის ტბურე თიკოვანი (აბულაძე 1974: 411). „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ აღნიშნულია: **ტბა** „ხმელეთის ქვაბულში მოქცეული წყალცვლის ბუნებრივი წყალსატევი. დედამიწის ტბების საერთო ფართობი 2,7 მლნ კმ²-ია (ხმელეთის ფართობის დაახლოებით 1,8%)“ (ქსე 1985: 679).

ტბა-ს შესატყვისები მოეპოვება სამივე ქართველურ ენაში: „ქართული: **ტბა** ← ***ტაბა**; მეგრული: **ტობა** || **ტობო** || **ტომბა** „ტბა, ღრმა წყალი“; ჭანური: **ტობა** || **ტიბა** „ტბა, მორევი“; სვანური: **ტუბ** „ხევი“, **ტომბ** || **ტრმბ** „გუბე“, **ტუიბ** „ტბა“. ქართულისათვის რეალურია **ტბა** || **ტაბა** პარალელური ვარიანტების არსებობა, ამათგან ამოსავალი **ტაბა** ჩანს. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ტოპონიმი **ტაბისყური** ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში წარმოდგენილია როგორც **ტბისყური** – პარალელური ვარიანტები: **ტაბისყური** || **ტბისყური**; **ტაბა** ფორმის ზუსტი მეგრულ-ჭანური შესატყვისია **ტობა** || **ტობო**. **ტომბა** ფორმაში **მ** ბგერა ფონეტიკურად გაჩენილია: გვხვდება აგრეთვე **ტომბ** → **ტონბ**. სვანურში **ტომბ** (|| **ტრმბ**) მეგრულიდან ჩანს ნასესხები. ჭანურში **ტიბა** მეორეულია, მიღებულია **ტობა** ფორმისაგან: **ტობა** → ***ტუბა** → **ტიბა** (დისიმილაციური დელაბიალიზაციით). მეგრულ-ჭანურში გარდამავალი საფეხური (***ტუბა**) არ დასტურდება, მაგრამ მტკიცდება სვანურში პოვნიერი **ტუბ** || **ტუიბ** ფორმით, რომელიც ასევე მეგრულიდან ჩანს ნასესხები. **ტბა** სიტყვის უძველესი ფორმა ოდენ **ტაბა** არ უნდა ყოფილიყო. **ტბან-ებ-ი**, **ტბან-ა-თ-ი** ტიპის ფორმები მიგვანიშნებს, რომ იპოვებოდა ***ტაბ-ან-** || **ტაბ-ნ** (მდრ.: **დაბ-ნ-ებ-ი**, **უ-დაბ-ნ-ო** ← ***დაბ-ან**, ამაჟამად **დაბ-ა**). ქართული **ტბა** || **ტაბა** და მეგრულ-ჭანური **ტობა** ფორმათა შეპირისპირებით ვლინდება, რომ ერთსა და იმავე ფორმაში დასტურდება როგორც **ა : ო** შესატყვისობა, ასევე **ა : ა** (ქართულშიც და მეგრულ-ჭანურშიც ბოლოკიდურა პოზიციაში **ა**

ხმოვანი გვაქვს). ამას ხსნიან იმით, რომ ბოლოკიდური **-ა** აფიქსია და არა ძირეული მასალა“ (ჯორბენაძე 1993: 108). ჭანურში ამოსავალია **ტობა**. **ტიბა** ამისგანაა მიღებული ხოფურში: **ო** → **უ** → **ო**. მეგრ. **ტობა** იმეორებს ჭანურს. **ტობა** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **ტაბ**-ას, რომელიც საფუძვლად უდევს **ტბა**-ს და შენახულია ადგილის სახელში **ტაბა-ჯმელა**. სვან. **ტუბი** ამავე ფუძის ზანური ვარიანტია, სწორედ ის, რომლისგანაც ხოფური **ტიბ**- არის მიღებული. მნიშვნელობის მიხედვით ეს სიტყვა მეგრულში ორგვარად გადმოიცემა, ესაა: „ტბა“ და „ღრმა“. ეს უკანასკნელი ჭანურსაც არ ეუცხოვება. ქართულში ამ ფუძესთან მხოლოდ „ტბის“ აღნიშვნაა დაკავშირებული. ასევე უნდა ყოფილიყო ზანურშიც; თვისების აღნიშვნას („ღრმა“) საგნის აღნიშვნა („ტბა“) უსწრებს წინ და უდევს საფუძვლად **ტბ-ა** || **ტიბ-ა** ფუძეში (ჩიქობავა 1938: 184). **ტბ-ა** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ტიბ-ა**, ლაზ. **ტიბ-ა** (შესატყვისობა, ქართ. **ა** : მეგრული **ა** : ლაზური **ა** აუსლაუტში კანონზომიერია... **ტიმბ** („გუბე“) სვანურში მეგრულიდან ჩანს ნასესხები (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 427-428).

მაგალითები: აქ ვარძიის მკვიდრ სავანეს **ტბა** ანათებს თავფარავნის (გალაკტიონი 1965: 439); ვარ მშვიდი ვით **ტბა** უქაროდარში, ირგვლივ ყოველი მიმზერს ალერსით (მიქაუტაძე 1978: 3); და ტიტლიკანა ამურებივით ვჭყუმპალაობდით კუს **ტბაზე** ხშირად (ნიშნიანიძე 1984: 283); შორიდან **ტბა** და მდინარის ტოტი მოჩანს ყანაში დარჩენილ თოხად (ნიშნიანიძე 1991: 359); კუს **ტბა** ტბების სარდალია მახვშია თუ უსტაბაში (იქვე: 265); **ტბის** პირად, როცა ხეების ხელეზს დაეკიდება მთვარე და ცვარი დამთვრალი ბადი გაშლის გობელენს (გალაკტიონი 1965: 94); ვარსკვლავთა შორის სხივთა **ტბაში** არა მყავს ტოლი (იქვე: 38); **ტბაზე** გედი აცურდა ლამაზი და უზრუნველი (იქვე: 50).

პოეზიაში „ტბის“ მსაზღვრელებად გვაქვს **ღურჯი, მლაშე**,

ვრცელი, ყვავილთა, ყაყაჩოთა, ნისლის და სხვა. მაგალითად: როგორც ორი **ლურჯი ტბა**, ცისარტყელით ხეული, შავ ლერწამთა ქალაში ნაზად გამომწყვდეული (ლეონიძე 1980: 14); ადგნენ და გეზი **მლაშე ტბისკენ** აიღეს (შენგელაია 1968: 234); გოგჩა **ტბა ვრცელი**, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი... (ჭავჭავაძე 1975: 115); ბრწყინავს ომალო, ტრიალებს ბეხვნე ცისფერ **ყვავილთა ტბები** ბზინავენ (კალანდაძე 1985: 202); დატრიალდა ქარაშოტად ცეცხლმოდებულ განთიადად **ტბა** გიგანტურ **ყაყაჩოთა** (ნიშნიანიძე 1991: 59); სულში **ნისლის ტბებია** და ქაოსის მხატვარი (გალაკტიონი 1965: 185).

მაგალითები მეგრულიდან: **ტობა** ჭადარიშ ფურცელეფითიე ეფშა „**ტბა** ჭადრის ფოთლებითაა სავსე“; **ტობას** ჯალეფ ფორუნს „**ტბას** ხეები ფარავს“ (ჩვენი მასალებიდან). სვანურში: აშხვ ლახვისგა ლგვ ეშხუ **ტრმბ** „ერთ მთაზე არის ერთი **ტბა**“ (სვ. ენის ქრესტ., 1978, 32); **ტობთეისგა** მგსკად ემშყად „**ტბაში** ბეჭედი ჩამივარდა“; **ტობისგა** კალმახ აწრი „**ტბაში** თევზია“; ლენარდლინე **ტობ ლი** „მღვრიე **ტბაა**“ (ჩვენი მასალებიდან).

ზღვა „ოკეანის ნაწილი, – მლაშე წყლის დიდი მასა, მეტ-ნაკლებად შემოსაზღვრული ხმელეთით (ოკეანეს ჩვეულებრივ სრუტით უკავშირდება“ (ქეგელი IV 1955: 192); „ზღვა“ დასტურდება ძველ ქართულშიც: ძვრად იყო დიდ **ზღუასა** შინა“ (აბულაძე 1973: 171). სულხან-საბასთან „ზღვა“ განიმარტება, როგორც „მესაკრებელი წყალთა“ (საბა 1991: 291). ი. ყიფშიძის ლექსიკონში „ზღვა“ შემდეგნაირადაა განმარტებული: **ზღვ-ა, ზღუა mope**; – ზღვაჯგუა, **ტობა-ზღვა** см. ტობა (ყიფშიძე 1994: 238).

ჭან. **ზღჷ-ა** || **ზოღა** || **მ-ზოღა** || **ზუღა**; მეგრ. **ზღვა**, ქართ. **ზღვა**, სვან. **ძულჷა**.

მაგალითები: არ **ზღუაში** ქენარიშა მეფთით „ერთი **ზღვის** ნაპირას მივედით“; თელი **ზღუაჲ** გექოსუ „ყველა **ზღვამ** შთანთქა („აღგავა...“); **ზუღა** დიდი ვა ენ, ზუღა ჭუტა ენ „**ზღვა** დიდი არ

არის (ე. ი. არ ღელავს), ზღვა პატარაა“; **ზულა** პიჯიშა მედახთუ „**ზღვის** ნაპირისაკენ წავიდა“; ბითთუნ **ზოდას** ოწკეს „სულ **ზღვას** უყურებს“; მზოლა ირდუ „**ზღვა** აღელდა („გაიზარდა“)“; **მზოდას** მეშვატერენ „**ზღვაში** ჩავარდნილა“. ჭან. **ზლუა** ისეთ მიმართებაშია ქართ. (და მეგრ.) **ზღვა**-სთან, როგორშიც მეგრული **რუო** ქართ. **რვას**-თან. უმარცვლო **უ**- მახვილის ვარიანტებში თანხმოვან **ღ**-ს წინ უსწრებს; მასთან **ზოლა** ← **ზულა** და არა პირუკუ (**მ-ზოლა**-ში თავკიდური **მ** ფონეტიკური დანართი). **ზოდ-** || **ზულ-** ამ სახელის ამოსავალ ძირეულ მასალად უნდა ვცნოთ, ამას სვან. **ძულტა**-ც ადასტურებს. სვანურის ამ ნასესხებ სიტყვაში **ძ**-სა და **ღ**-ს შორის ხმოვანი შერჩენილია (ჩიქობავა 1938: 185).

მ. ჩუხუა აღნიშნავს, რომ **ძღვ-არ**-ში **-არ** ზმნური აფიქსია, რომელიც ნასახელარ ზმნებში დაჩნდება: **ზღვ-ა** → **ზღვ-არ-უ-ა** || **ძღვ-არ-უ-ა**, **ტყე-ბი** „ტყავი“ → **ტყაბ-არ-უ-ა** „გატყავება“ (ჩუხუა 2000-2003: 349). „ქართულ **ზლუ-ა** (<***ზოდლტა**-ა) ფუძეს შეესატყვისება მეგრული **ზღვ-ა** (<***ზოდლტა**-ა), ლაზური **ზოდ-ა** (<***ზოდლტა**-ა), **მზოდ-ა** ფუძის ანლაუტში **მ** განვითარებულია და სვანური **ზულტა**-ა (<***ზოდლტა**-ა, **ძულტა** < **ზულტა**-ა) თავკიდურა სპირანტის აფრიკატიზაციის შედეგად **ძლტა** ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები“ (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 217). საერთოქართველურ ენაში აღდგება ზღვის სახელწოდება, რაც იმისი დასტურია, რომ ამ ენაზე მეტყველი ტომებით დასახლებული ტერიტორია ზღვისპირეთი იყო: ს.-ქართვე. **ზლტა** ((ქართ. (ძვ.) : **ზლუა** (ახ. **ზღვა**; სვან. **ზულტა** || **ძულუა**; ზან. **ზლტა** || **მზოდა** || **ზულა**) (ქურდიანი 2002: 65).

მაგალითები: კარს აწყდებიან ზრიალით... **ზღვაც** იფოფრება სამტროდ (ნიშნიანიძე 1991: 52); უცებ დაეშვა მერცხალი ციდან, **ზღვას** გაუსწორა მთელი სხეული (აბაშიძე 1991: 101); მე ვნახე შენი **ზღვის** ღელვა და შენი ცის კაშკაში (იქვე: 154); მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის და აღმაცერად იშლება **ზღვაზე** (გალაკტი-

ონი 1965: 262); ქვეყნად სახლებია, **ზღვაზე** გემებია, ყველგან დირიჟორად არის ინჟინერი (იქვე: 296); ზღვას საღამო ედებოდა მუქი, შენ **ზღვის** პირად სჩანდი, როგორც შუქი (იქვე: 118); **ზღვას** აღმაცერად დაენდო შუქი, გრიალებს ქარი (იქვე: 194); დამშვიდდი **ზღვაო**, იყავი წყნარად, გადაქცეული ლილიან ქარად (იქვე: 287); **ზღვები** ისევ მოიქცევიან, მიიქცევიან, ვითა წინარე (კალანდაძე 1985: 342); ამერ-იმერი სიმბდალეში უსაზღვროდ ძუნწი, ამერ-იმერი **ზღვიდან ზღვამდე** გამლილი უწინ (მაჭავარიანი 1985: 117); **ზღვაო** აღელდი, აღელდი, ქარტეხილს დაემორჩილე (აკაკი 1980: 201); **ზღვა** ღელავს ისე ხალისიანი, დღე ელავს, როგორც ცეცხლის მადანი (გალაკტიონი 1965: 34); **ზღვაში** ჩავაგდებ საოცარ ანკესს, აჰა, სირენას ამოჰყვა გული (იქვე: 23).

პოეზიაში „ზღვის“ მსაზღვრელებად გვხვდება: „მწვანე“, „ლურჯი“, „წყნარი“, „თბილი“, „დიდი“ და სხვა. მაგალითად: თეთრი მედუზა ბრწყინავდა წყალზე **ზღვა** იყო **მწვანე, წყნარი** და **თბილი** (ამაშუკელი 1980: 92); ჰოი, გვედრებ, მდინარევ, ამ **დიდ ზღვაში** ნუ შეგვრევ (გალაკტიონი 1965: 31); და სინანულის დაგუბდა ღვარი... **ზღვა** იყო **წყნარი** (იქვე: 197); **წყნარი ზღვა** არი, იისფრად კუნძულზე ნისლი თქორდება (კალანდაძე 1985: 264); **შავი ზღვის** ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა, აწ მოგვიგვრიან მრავლის მხრით ჩვენთა მოძმეთა (ბარათაშვილი 1975: 280); **ლურჯი ზღვა** დინჯად ტორტმანებდა და კლდეს ლოკავდა (ჯაფარიძე 1975: 7).

სუბსტანტიურ მსაზღვრელებად გვხვდება: „ცოდვის“, „ასი წლის“, „გაზაფხულის“, „სიბრძნეთ“, „სისხლის“ და სხვა. მაგალითად: ხვალ იქნებ **ცოდვის ზღვა** ამოდუდდეს და უგნურებამ ცა გადათქეროს (ნიშნიანიძე 1991: 11); ნახა **ცოდვის ზღვაც** ცრემლების ღელეც, ხედავდა სიღრმეს სხვისთვის უხილავს (აბაშიძე 1991: 181); ლამის **ასი წლის ზღვასთან** მისული... სახლჩი დაგინთავ, ბეჩავ, სანთლები (კალანდაძე 1985: 207); და **გაზაფხულის**

ზღვა არი ირგვლივ, ო, გაზაფხულის ყვავილთა თოვთა (იქვე: 198); გადავეშვი **სიბრძნით ზღვაში** ხან სიცხეში, ხან ავდარში (გალაკტიონი 1965: 385); ხალხები სისხლის **ზღვებს რომ** შერიე, მოსპე, დაამხე მრავალი ტახტი (აბაშიძე 1991: 77).

„ზღვა“ ხშირად დასტურდება გადატანითი მნიშვნელობით, ძირითადად სიმრავლე-სიდიდისა თუ ცვალებადობის აღსანიშნავად: სიცრუე ისე ბევრია – **ზღვაა**, ტყეა და წვიმა... (ნიშნიანიძე 1991: 325); ოჰ, სიყვარული **ზღვების ქაფია** (გალაკტიონი 1965: 182); ჭმუნვა და სევდა ერთი ორად მოგემატება, იქნება **ზღვა ხალხიც** იქნება, მაგრამ ისინი სად არიან? (ნიშნიანიძე 1991: 134); დედის **გული ზღვა** არის სიყვარულისა (ილია 1985: 35); დილის ხუთი საათი იქნებოდა, როცა საარჩევნო უბნებს **ზღვა ხალხი** მოაწყდა (ქეგელი IV 1955: 192); ამ პაწაწინა კვირტების ფეთქას **ზღვა სიხარული** მოუტანია (იქვე); **ცხოვრების ზღვა**, ადამიანის ცხოვრება, ზღვასავით მღელვარე და ცვალებადია (იქვე); მშვიდია ჩვენი დილა, **ზღვა სიხარულით** საგსე (კალანდაძე 1985: 41); დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ **ზღვა** ემართოს **სისხლისა** (ვაჟა 1990: 35).

მეგრულში: **ზღვა** დო ქუა რაშეფი რე ჟირხოლო „ზღვა და ქვა ცხენებია ორივე“ (ხუბუა 1973: 62); ქინოდოხოდეს ხვამარდის დო მიდართეს **ზღვათ** „ჩასხდნენ ხომალდში და წავიდნენ **ზღვით**“ (იქვე: 75); ქენასვანჯეს ღურელი დო გუტეს **ზღვაშა** „ჩაასვენეს მკვდარი და გაუშვეს **ზღვაში**“ (იქვე: 13); ქიმერთე დო ათე ცხენეფი გინართინუ **ზღვათ** „მივიდა და ეს ცხენები გადააქცია **ზღვად**“ (იქვე: 247); მის შეულებე დარჩქალას **ზოღვაშ** ლემა? „ვის შეუძლია დააწყნაროს **ზღვის** (ღელვა) ბრძოლა“ (ქაჯაია II: 1); სქანი განს ხარენს **ზღვა**, გოლა, ბარი „შენს მხარეს ხარობს **ზღვა**, მთა, ბარი“ (ხუბუა 1973: 14); წუხენა ძალამს დო გორგნა, სოთინი **ზღვაქ** ეკაყოთას და „წუხან ძალიან და ეძებენ, იქნებ სადმე **ზღვამ** გამორიყოს“ (ხუბუა 1973: 76); ქიმერთეს **ზღვაშა** დო ქეკოდვეს თაქი გატყურია „მივიდნენ **ზღვაში** და დადგეს აქ სატყუა-

რა“ (იქვე: 190); ცხენი დო ონანქერქ **ზღვათ** გინირთე „ცხენი და უნაგი-რი **ზღვად** იქცა“ (იქვე: 218); ქიმერთე დო ათე ცხენეფი გინწრთინუ **ზღვათ** „მივიდა და ეს ცხენები გადააქცია **ზღვად**“ (იქვე: 247); ჩქიმი **ზღვა** დო ჩქიმი ბარი ჩქიმი გოლა – არარატი! „ჩემი **ზღვა** და ჩემი ბარი, ჩემი მთა – არარატი!“ (იქვე: 313); **ზღვაში** პარახოდის კაპიტანო რდგ კოჩი, სახელი – მარსემელისი „**ზღვის** კაპიტნად იყო კაცი სახელად მარსემელისი“ (იქვე: 42). სვანური: **ძულუა** პილ ზურულანარ სგხუ „**ზღვის** სანაპიროზე ქალები სხედან“; ბოფშარ **ბულუათე** სგა-აჩადხ „ბავშვები **ზღვაში** შევიდნენ“ (ჩვენი მასალებიდან).

მდინარე – „ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე წყალი“ (ქეგლი V 1958: 1075). **მდინარე** „წყალი“, „ღუარი“, „მადინებელი“: განმიხუენ ჩუენ **მდინარისა** მისგან (წყლისა მისგან) (აბულაძე 1973: 227). **რუბა ორუბა** и **რუბა** ушелье съ рекою (Март 1910: 182). **ღალი** "речка", დიდი ღალი речка, წუტა **ღალი** ср. ручей (იქვე: 200). ჭან. **რუბ-ა** || **ო-რუბ-ა** – ხევი მდინარე. მეგრ. **რობ-უ** „ушелье, река ხევი“; ქართ. – овраг. მა **რუბაშა** მებულურ, ... რუბაშა ჯეფთი „**მე მდინარესთან** ხევი ჩავალ, მდინარესთან ჩავედი“; ხოჯა იდონეს დო **ორუბას** გოლის ქეკუტორეს „ხოჯა წაიყვანეს და **მდინარეში**, მორევი გადაისროლეს“; **ორუბას** ხოჯა დიშქიდუ „**მდინარეში** ხოჯა დაიხრჩო“... **ორუბს** დოვოშქიდით „მდინარეში **დავახრჩვეთ**“; მენდახთეს **ორუბა** ჩენარიშე **ორუბა** ჩინარის იდუშეუნეს „წავიდნენ **მდინარის** ნაპირას. **მდინარის** ნაპირას იფიქრეს“.

თავსართიან **ო-რუბ-ა**-ს ათინური ტექსტები გვამღევს. მეგრ. **რობ-უ** იმავე ფუმეს წარმოგვიდგენს; ჭან. **რუბ-ში უ** ← **ო ბ-ს** მეზობლობაში. მეგრულში ბოლოკიდური **-უ** შეიძლებოდა ისევ **ბ-ს** მეზობლობით ახსნილიყო (შდრ. **ტუბ-ო** → **ტუბ-უ**) – თავსართიანი **ო** ჭანურში იმავე ღირებულებისა უნდა იყოს, როგორიც ონტულე-ში (ჩიქობავა 1938: 183).

მაგალითები: შუაზე აპობს **მდინარე** სიცხეს, თავგანწირული არი ირგვლივ სმა (მაჭავარიანი 1985: 91); და დაღლილ-დაქანცულ

ლაჟვარდებს მიათრევს **მდინარე** ლოდების ზანზარით (ასათიანი 1997: 70); ვინ იყო, სად იყო, ან როდის სახლობდა, რომელ **მდინარესთან** ან რომელ მაღლობთან (ნიშნიანიძე 1984: 121); **მდინარე** ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრისასა (აკაკი 1980: 184); სამსონა ყველას გამოეთხოვა, გზა დაგვილოცა და მერე ძირს, **მდინარისაკენ** წელა დაეშვა (შენგელაია 1968: 101); **მდინარენი** კი დიან, დიან, დიან დადიან... არის დარი თუ არის წვიმა, ეს სულერთია (მაჭავარიანი 1985: 242); არ ჩანდა **მდინარე**, ახლა სირმის ზოლად რომ მიიკლავნება და მხოლოდ დიდი წვიმის დროს ამოიღებს ხმას (ლორთქიფანიძე 1959: 123); ის ქეები **მდინარე** წყალწითელადან ტაძრამდე დაკიდულ აღმართზე თვითონ დავითმა ამოიტანაო თავისი ზურგით (სანიკიძე 1976: 383); სადღაც ისმოდა **მდინარის** ჩქამი, აღარც ორღობე, აღარც ურემი (გაგუა 1975: 9); **მდინარის** გაღმა-გამოღმა ტყიანი სერები ახოებს აეჭრელებინა (ჯაფარიძე 1975: 49); ჭალაკი იგი, იგივე **მდინარე** და გაზაფხული მთის ფეროვნებით (ორბელიანი 1975: 200); როგორც იზრდება **მდინარის** ჩქამი... უმიზეზოა და ყოვლის მიმართ თვითონ ახსნაა უმარტივესი (ნიშნიანიძე 1991: 312); ტყეს და **მდინარეს** სიცხეს და ავდარს არაფრად ვთვლიდი (აბაშიძე 1990: 123).

„მდინარის“ მსაზღვრელებად ხშირად დასტურდება „ღვინის-ფერი“, „შმაგი“, „უსაყვარლესი“, გასუბსტანტივებულ მსაზღვრელად ხშირად გვაქვს „სისხლის“, ზმნისართად გვხვდება „გაცოფებით“ და სხვა. მაგალითები: მოდიოდი ველად, როგორც **ღვინისფერი მდინარე** (გალაკტიონი 1965: 267); სმენა იჭერდა **უსაყვარლეს მდინარეთ** ხმაურს (იქვე: 13); შენ ადიდდები **შმაგო მდინარე**, ადიდდები და წამლეკავ მითი! (კალანდაძე 1985: 149); მარად ცოცხლობდეს იმპერატორი! **სისხლის მდინარე** მოედინება (კალანდაძე 1985: 279); დაჯახებული კლდეს **გაცოფებით, მდინარე** ხევში ამოიხუვლებს... (აბაშიძე 1980: 108). ლაზურში: **ღალი** ემთი ულუნ ა-ში, ქო-ა უწვი **„მდინარე** აღმა მიდისო რომ გე-

ტყვის, კიო უთხარი“ (ხალხ. სიბრძნე 1994: 256); **ღალიში** აკრას მო ინჯირ! „**მდინარის** პირას ნუ დაიძინებ!“ (იქვე: 256). სვანურში: დივოს ხალატ **ჭალამსგა** ლიბრალ „გოგონას უყვარს **მდინარეში** ბანაობა“; **ჭალამსგა** ხვამ ცუც შრი „**მდინარეში** ბევრი თევზია“ (ჩვენი მასალებიდან).

ღელე „პატარა ხევი. პატარა მდინარე, ნაკადული“ (ქეგლი VII 1962: 410); **ღელეს** ხევის სინონიმად მიიჩნევენ ქართველი ლექსიკოგრაფები: სულხან-საბა ღელესა და ხევის აიგივებს: **ღელედ** ითქმის ჰევი მცირე (საბა 1993: 452). საბასთან: **აღრინტალი** „გვერდობ(ა)ში **ღელე-ღელე**; (საბა 1991: 249, 79); **ღუარი** „მდინარე, ხევი, ღელე“ (აბულაძე 1980: 319). ალექსანდრე ნეიმანი მოცულობას არ აზუსტებს, მაგრამ სინონიმებად იხსენიებს: **ღელე** – ხევი. **ხევი** – ხევხუვი; ხრამი, ღელე, ღარტაფი (ნეიმანი 1978: 541).

რაც შეეხება ფორმას – **ნოდელა** (მარტვილი, რიონის შენაკადი), ის მიუთითებს წინა ვითარებაზე, ადგილზე, სადაც ღელე დიოდა, დამშრალი კალაპოტი: ნო-ღ(ალ)-ელა (მალრამე 2004: 98).

ჭან. **ღ-ალ-ი** მეგრ. **ღ-ალ-ი** || **ღ-ალ-გ**. ქართ. **ღ-ელ-ე** ფორმებიდან **ღალ** კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ღელ**-ისა, მნიშვნელობაც არსებითად ერთია. ჭანურში ეს მნიშვნელობა გაფართოებულა და არა მხოლოდ „ღელეს“, არამედ, საერთოდ, „მდინარესაც“ ეს სახელი აღნიშნავს (ქართულმა ამავე მიზნით ხელოვნურად ნაწარმოები მ-დინ-არ-ე გამოიყენა – მიმღეობა ზმნისა – „დის“, შდრ. მცენარე)... **ღალ**-ის მაგივრობას ათინურში **რუბა** || **ორუბა** ეწევა. **ღალ**- ფუძე უნდა შედიოდეს სოფლის სახელში **ღალტიბა**: ხუმუტი რტუ **ღალტიბა** ქდოიში ჩქინაფერი რეიზი „ხუმუტი იყო სოფელ **ღალტიბის** ცნობილი რეიზი“... ქუჩქტუ **ღალტიბაშა-ნა** ოხთიმუ-მოხთიმუს ჟურ დლა უნტუ „იციოდა, რომ **ღალტიბაში** მისვლა-მოსვლას ორი დღე უნდოდა“... **ღალიშა** იდი-ა, წკაიშ“ ეშელის მუ უჩქინა ღალი წკაი! „**ღელესაკენ** წადი, წყლისაკენ!“ ვირმა რა იცის, ღელე, წყალი..!“ გინძე **ღალ-ო** დერის „გრძელი **მდინარეც** არის –

ალაზნის მდინარე. ეს მდინარე კახეთს ორად ყოფს“... ეშშელი **ღა-ლის** მოშვატუ **ღალიშენ** მეხსუს ვა გამახთუ „ვირი რომ **მდინარესთან** (ღელესთან) მივიდა, განგებ ფეხი „დაიცდინა“, ვირი **ღელეში** ჩავარდა, **ღელიდან** განზრახ არ გამოვიდა“; ჩხომი **ღალის** კჭოფში უწვი! „თეფზი მდინარეში დავიჭირეთ-თქო, უთხარი“; კაზეფუ ქოძირუ **ღალიში** ქენარის „ბატები ნახა **მდინარის** ნაპირას“ (ჩიქობავა 1938: 182). **ღელ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ღალ** და ლაზური **ღალ** (სარჯველაძე, ფენრიხი 2000: 505). მეგრულში: **ღალი** || **ნოღა** (ჭარაია 1997: 144; ქაჯაია II: 397); **ღელე** – **ღალი** (ყიფშიძე 1997: 161); სვანურში დასტურდება **ტუბრა** (თოფურია, ქალდანი 2000: 725).

მაგალითები: როცა ღრმა **ღელეს** გავედით, ვნახეთ ხის წვერზედ მხედარნი (ვაჟა 1990: 10). მეგრ. **ღალიშა** ქინვუნთხი „**ღელეში** ჩავვარდი“; სვან.: **ტუბრა** ისგა ტყერ ლი „**ღელეში** ტალახია“ (ჩვენი მასალებიდან).

ნაკადული – „ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე მცირე წყალი“. საბა ძალზე ზოგადად განმარტავს „წარსავალთა გზა წყალთა“ (საბა 1993: 296). ალექსანდრე ნეიმანთან კი – **წყარო, ნაკადი, ნაკადული, ბინული, რუ, ფშანი, ფშა** სინონიმებია. **ნაკადული** ეწოდება არა მარტო მდინარეს (გაგრა), არამედ სოფელია ისევ გაგრის რაიონსა და ჩოხატაურშიც. სადავო არ უნდა იყოს, რომ პირველად სახელწოდება სწორედ მდინარეს უნდა შერქმეოდა, შემდეგ – სოფელსაც (მადრაძე 2004: 101).

ჩანჩქერი „წყლის ნაკადი, რომელიც ციცაბოზე გადმოდის“ ...და **ჩანჩქერი**, მითთ ნასხლეტი... ძირს ეშვება (ქეგლი VIII 1964: 471).

ქვემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები წყლის არსებობის გარკვეულ ფორმაზე მიგვანიშნებენ, როგორც არის „ჭაობი“, „რუ“, „გუბე“, „ტბორი“ და სხვა.

რუ „სარწყავად გაყვანილი პატარა არხი. გადატ. ასეთ არხში მიმდინარე წყალი“: გზას ორთავ მხრივ ღრმად ამოჭრილ არხებ-

ში ანკარა **რუები** მოუდიოდა (ქეგლი VI 1960: 1960: 461).

ღარტაფი „იგივეა, რაც ღელე“ (ქეგლი VII 1962: 402).

ჭაობი „დამდგარწყლიანი ადგილი დაბლობში“ – გაუვალ **ჭაობებს** შუა აკლემის კუზივით მოჩანდა ერთი მომცრო ბორცვი; ძლიერ წამლავს ჰაერსა ის ოშხივარი, რომელიც ყოველს **ჭაობს** ასდის (ქეგლი VIII 1964: 1228). ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „**ჭაობი** – დედამიწის ზედაპირის განსაკუთრებული ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია უტორფო ან ტორფიანი, მუდმივად ტენიანი გრუნტი და სპეციფიკური მცენარეულობა, რომლებშიც გაბატონებულია ჰელოფიტები. **ჭაობის** ადგილსამყოფელი გამოირჩევა უხვი დატენიანებით, საკვები ელემენტების სიღარიბით, ცუდი აერაციით, ტორფდაგროვებით და შედარებით ცივი სუბსტრატით – **ჭაობები** ვითარდება ხმელეთის ან წყალსაცავების დაჭაობების შედეგად“ (ქსე 1987: 383).

მეგრულში ერთმანეთის პარალელურად დასტურდება: **ბალოტი** || **ჩირე** || **კყონკყო** ფორმები (ქაჯაია II: 215; 311); სვანურში გვაქვს **ღაზუ**.

ხშირად „ჭაობი“ გადატანითი მნიშვნელობითაც დასტურდება. მაგალითად, „გიორგის ოჯახი **ჭაობში** ჩაიძირა“, რაც ნიშნავს: „საქმე ცუდად წაუვიდა“. მეგრ.: საქორთუოს **ბალოტამ** ადგილფე ბრეგე „საქართველოში **ჭაობიანი** ადგილი ბევრია“; ეიშა ჟღები დო **ბალოტის** ასე ვორწყეთ ქვალოსქირს „უწინ ჭანჭრობსა და **ჭაობს** ახლა ვხედავთ მთლად გამქრალს“ (ქაჯაია III: 215); ჯვეში ჟღები დო **ბალოტის** ვორწყეთ ეშასქერაფილც „ძველ ჭანჭრობსა და **ჭაობს** ვხედავთ ამომშრალს“ (ქაჯაია III: 215); **ჩირეს** გიმმურსგნ ქომირგ „**ჭაობში** რომ გამოდის, ნახა“ (იქვე: 311); მუთუნს ვაიშართენი, ფერ **ჩირე** რე „ვერაფერი რომ ვერ გამოვა, ისეთი **ჭაობია**“ (ქაჯაია III: 311). სვანურში: ლარე **ღაზვარიან** ლი „სათიბი **ჭაობიანია**“; **ღაზვთეისგა** ომყედ „**ჭაობში** ჩავვარდი“ (ჩვენი მასალებიდან).

გუბე „მცირედ ჩადრმავებულ ადგილას დამდგარი წყალი, – ტბორი, წუმპე“ (ქეგლი II 1951: 1491). მეგრულში ერთმანეთის პარალელურად დასტურდება **აზმახი** || **გუმე** (ქაჯაია I: 165, 412).

მაგალითები: ლედვის ფოთლებზე მოთქარათქურემ, კრამიტე-ბიდან მოლაპალუპემ, ნაფლოქვარებში დაისადგურა, მიყარ-მოყარა აქა-იქ **გუბე** (მაჭავარიანი 1985: 304). მეგრ.: **გუმეს** კვატეფ იბონა „**გუბეში** იხვები ბანაობენ“; **გუმე** გიფშუ წყარით „**გუბე** გაივსო წყლით“ (ჩვენი მასალებიდან).

ტბორი „იგივეა, რაც გუბე“ (ქეგლი VI 1960: 1267); სულხან-საბასთან „ტბორე“ არის „ავი გუბე“ (საბა 1991: 135); **ტბურე** „გუბე“: პოვეს გუბე თიჯოვანი (აბულაძე 1973: 411); **ლაყვა** „წვიმის გუბე“ (ქეგლი IV 1955: 1496). **წყალსატევი** „ადგილი, სადაც დაგროვილია წყალი ბუნებრივად (გუბე, ტბა) ან ხელოვნურად (აუზი), სათევზე წყალსატევი“ (ქეგლი VIII 1964: 1200).

ნიაღვარი „მოვარდნილი წყალი, რომელიც ჩნდება დიდი წვიმების ან თოვლის ინტენსიური დნობის შედეგად“ (ქეგლი V 1958: 1585); **ნიაღვარი** „ნალუარევი“, „კვევი“, „ნიაღვარი“ (აბულაძე 1973: 322). ძალიან ხშირად **ნიაღვარი** დასტურდება გადატანითი მნიშვნელობით „სიდიდე-სიძლიერის“ აღსანიშნავად: ბევრმა **სისხლის ნიაღვარმა** გადაიარა (ქეგლი V 1958: 1485); უეცრად **ცრემლის ნიაღვარი** წამსკდა (იქვე: 1485); ღვინო მოსჩქებს **ნიაღვარად!** (იქვე: 1485).

მეგრულში დასტურდება **ლანქერი** ფორმა (ქაჯაია II: 183), მაგ.: ბოშეფ! გიორგიშა მინოლაფე **ლანქერი** „ბიჭებო! გიორგის შევარდნია **ნიაღვარი**“; გოლაშე **ლანქერქ** მოლართუ „მთიდან **ნიაღვარი** წამოვიდა“ (ჩვენი მასალებიდან).

„წყლის“ აღმნიშვნელ ლექსიკაში გამოიყოფა აგრეთვე **ოკეანე** (რომელიც ბერძნულიდან არის შემოსული) – „უსაზღვრო ზღვა, კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი აუზი“ (ქეგლი VI 1960: 19). „ქარულ საბჭოთა ენციკლოპედიაში აღნიშნულია: „**ოკეანე** – დიდი მდინარე, რომელიც გარს აკრავს კონტინენტებსა და

კუნძულებს. ახასიათებს მარილების ერთნაირი შედგენილობა. ოკეანე ჰიდროსფეროს უმეტესი (94%) ნაწილია და მოიცავს დედამიწის ზედაპირის 10,8%-ს. ოკეანის ცნებაში ხშირად იგულისხმება წყლის მასის ქვემ მდებარე დედამიწის ქერქიკა და მანტიაკ. ოკეანის წყალი მზისგან მიღებული სითბოს უზარმაზარი რეზერვუარია. დინებების მეშვეობით ამ სითბოს გადანაწილება მნიშვნელოვნად განაპირობებს ხმელეთის დიდი სივრცეების ჰავას. ოკეანის საზღვრები და მოხაზულობა ყალიბდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დედამიწის ქერქის გეოლოგიური აგებულებისა და განვითარების ისტორიის შესაბამისად. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქიდან მოყოლებული, ოკეანე დიდ როლს თამაშობს კაცობრიობისთვის როგორც სატრანსპორტო გზა, საკვები პროდუქტების, ენერგეტიკის, ქიმიური და მინერალური რესურსების წყარო“ (ქსე VII: 508).

მაგალითები: შენ მისმენ ისე, ვით მზე უსმენს **ოკეანეებს** და ციმციმებ, ბრწყინავ მასავით... (კალანდაძე 1985: 95); ნათელხილვაა, თუ მეწვია შორი მირაჟი, **ოკეანესთან** ზებრისფერი დღე წევს სილაში (ნიშნინაძე 1984: 111); ... ახლა ამ დამესავით ლურჯია ჩვენი ზღვები და **ოკეანეები** (ქორქოლიანი 1974: 25); როგორც გრიგალი, ქარიშხალი და ნიაღვარი, ყინული ლღვება, **ოკეანეს** გმირი უკივის... (გომიაშვილი 1960: 55); ბალტიის ზღვიდან, შავი ზღვიდან **ოკეანიდან** ამოვარდნილი გრიალებდა ომის გრიგალი (იქვე: 52) და სხვა.

ქართულში გვაქვს „წყლეთი“ ფორმაც, რაც წყლით დაფარულ ადგილს ნიშნავს ზოგადად (საპირისპ. ხმელეთი) (ქეგლი VIII 1964: 1212), „**მწყურნები, წყურნები, რწყუნები** კი წყლიანი ადგილია, იგივე წყლისპირი“ (აბულაძე 1973: 312).

§3. უშუალოდ „ზღვასთან“ თუ „მდინარესთან“ დაკავშირებული ლექსიკა

უშუალოდ „წყალ–“ ლექსემასთან დაკავშირებით მსაზღვრე-ლებად გამოვყავით: მტკნარი, ხისტი, წმინდა და სხვა. აგრეთვე შეგვხვდა იმ ტიპის ზმნები თუ ზმნისართები, რომლებიც წყლის გამოყენებასთან (ან მის თვისებებთან) არის დაკავშირებული (ამოხაპავს, გაალაღლაღებს, გაჟღენთს, გალუმპავს, დაპა-ღუპით, წყალწყალ და სხვა). ასევე ცალკე ჯგუფად გამოიყოფა „ზღვასთან“ (თუ „მდინარესთან“) დაკავშირებული ლექსიკა. ასეთებია: **ბრაგა** „თითქმის წყლის ზედაპირზე ამომავალი უხილავი წყალ-ქვეშა კლდე (მთა) ზღვაში, – რიფი“ (ქეგლი I 1950: 1122); **ბრაგოვანი** „ადგილი (ზღვაში), სადაც ბევრი ბრაგაა“ (იქვე: 1122); **სპონდოი** „წყალქვეშა კლდე – ბრაგა“ (ქეგლი VI 1960: 1141); **ღურღუმი** „ღრმა ადგილი მდინარეში“ (ქეგლი VII 1962: 490); **ტოროსი** „პოლარულ ზღვებში ზღვის მოქცევის, ქარის ან დინების ძალის მიყენების გამო ყინულების შეკუმშვით წარმოქმნილი ხორგო“ (ქეგლი VI 1960: 1323); **ყურე** „წყალში (ზღვაში, ტბაში) შეჭრილი ხმელეთი, იგივეა, რაც უბე“ (ქეგლი VII 1962: 598); სულხან-საბასთან: „ყურე ესე არს წარზიდული რამე ადგილი ჳმელეთი ზღვა-სა შინა, ანუ ზღვისა და მდინარისაგან უკუმდგარი ჳმელეთი შინა, მცირე თუ დიდი რამე“ (საბა 1993: 275); **ზვირთი** – „დიდი ტალღა (ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე)“ (ქეგლი IV 1955: 320); **ზვრთი** „ზვირთი – ზღვათა და წყალთა აღმოქანება“ (საბა 1991: 291).

მაგალითები: **ზვირთი** ზვირთზედა ჩემკენა სრბიან, ჯერ ჩემს მცირე ნავს ზედ ასკდებიან (ჭავჭავაძე 1985: 42); შავი ზღვის **ზვირთნი**, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა, აწ მოგვიგვრიან მრავლის მხრით ჩვენთა მოძმეთა (ბარათაშვილი 1975: 280); კიდესა ზედა მდგომარესა გმართებდა განსჯა, აწ ზღვას შეჰსულხნარ,

ზვირთთა მისთა სადღა ერიდო? (ჭავჭავაძე 1975: 137); ზღვა სუნთქავდა, მთვარით განათებული **ზვირთი** ნაპირზე შმამურობდა (შენგელაია 1950: 150).

მეგრულში **ზვირთის** შესატყვისია **გვართა** – დიდგ **გვართა** მოშკურინუანსი, ვა მაჩურე „დიდი **ზვირთი** მაშინებს, ვერ ვცურავ“ (ჩვენი მასალებიდან).

ზვირთქაფი – „აქაფებული ზვირთები“ (ქეგლი IV 1955: 150); **ზვირთაყრილი** „იგივეა, რაც აზვირთებული“ (იქვე: 149); **ზვირთცემა** „პოეტ. ზვირთების ცემა, ხეთქება ზღვის, მოტრიალება“ (იქვე: 727); **მიმოქცევა** „მიქცევა და მოქცევა“ (ქეგლი V 1958: 399); **ტალღა** „წყლის რხევითი მოძრაობით გამოწვეული ამონაზნექი (ზღვის, მდინარის) ზედაპირზე – **ზვირთი**“ (ქეგლი VI 1960: 1240).

მაგალითები: დამშვიდდი **ტალღებს** მიანდე ნავი, რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა... (გალაკტიონი 1965: 96). **ღელვა** „ზღვის აღშფოთება, რხევა, მოძრაობა ზღვის, ტბის ზედაპირისა, ტალღების აშლა, წარმოქმნა“ (ქეგლი VII 1962: 411); **შემონჩქლევა** „ტალღის მოხეთქება ნაპირზე“ (იქვე: 1203); **შთანთქმა** „ჩანთქმა“ (იქვე: 1390).

მეგრულში **ღელვას** შეესატყვისება **ლიმუა**, **ღემუა** (**ლი/გმუას**) – ზღვას ოლიმუანს, რყვილუნს შიშის „ზღვას აომებს (აბრძოლებს), გკლავს შიშით“ (ქაჯაია II: 194); ზოლამ **ღემუა** მოშკურინუანს „ზღვის **ღელვა** მაშინებს“; ონჯუას **ღემუაქ** იძინუ „საღამოს **ღელვამ** იმატა“ (ჩვენი მასალებიდან);

ამავე ქვეჯგუფშია გაერთიანებული შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

წყალგამყოფი გეოგრ. „მთა ან ამაღლებული ადგილი, რომელიც თიშავს მდინარეთა კალაპოტებს, წყალგასაყარი“ (ქეგლი VII 1962: 1191); **წყალგასაყარი** „იგივეა, რაც წყალგამყოფი“ (ქეგლი VIII 1964: 1192); **შესართავი** „ადგილი, სადაც შენაკადი უერთდება (მდინარეს, ზღვას...)“ (ქეგლი VII 1962: 1134); **ნაპირი** („მდინარის კიდე“) (ფოჩხუა 1973: 98).

გამოიყოფა აგრეთვე „წყალთან“ დაკავშირებული ხელსაწყოთა სახელებიც: **წყალგამტარი** სპეც. „წყლის გამტარი. წყალგამტარი კოლექტორი“ (ქეგლი VIII 1964: 11912); **ტალღმზომი** სპეც. „ტალღის სიგრძის გასაზომი ხელსაწყო“ (ქეგლი VI 1960: 1240) და სხვა.

შეგვხვდა რამდენიმე ნაგებობის სახელი, რომელიც ნაპირის გასამაგრებლად თუ ღელვისაგან დასაცავადაა გამოყენებული:

ნაპირსაცავი „(მდინარის, ზღვის...) ნაპირის გასამაგრებელი ნაგებობა“ (ქეგლი V 1958: 1352);

ზვირთსამსხვრევი „ზღვის ღელვისაგან ნავსადგურის დასაცავად აგებული ზღუდე (ქვის, ბეტონის)“ (ქეგლი IV 1955: 100);

ზვირთსაქცევი „იგივეა, რაც ზვირთსამსხვრევი“ (ქეგლი IV 1955: 150).

§4. „წყლის“ შემადგენელ ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსიკა

გამოიყოფა „წყლის“ შემადგენელ ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსემებიც. ასეთებია: **წვეთი** „სითხის პატარა, მრგვალი ნაწილაკი“ (ქეგლი VIII 1964: 1069); **წვეთი** „სითხის მცირე მოცულობა, რომელიც წონასწორობის მდგომარეობაში შემოსაზღვრულია ბრუნვის ზედაპირით. წვეთი წარმოიქმნება მცირე ხვრელიდან სითხის ნელი გამოდინებისას, ზედაპირის ნაპირებიდან სითხის გამოდინების, სითხის გაფრქვევისა და დაემულსიების დროს და აირულ გარემოში კონდენსაციის ცენტრებზე (იონებზე, მტვრის ნაწილაკებზე). კერძოდ, ასე წარმოიქმნება ატმოსფეროში წყლის წვეთები ნამის, ნისლისა და ღრუბლების წარმოშობისას. წვეთის ფორმას განსაზღვრავს ზედაპირული დაჭიმულობისა და გარე ძალების მოქმედება. **წვეთს** უწონობის პირობებშიც აქვს სფეროს ფორმა. მსხვილ **წვეთს** დედამიწის პირობებში სფეროსებრი ფორმა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა **წვეთისა** და მისი შემოსაზღვრელი გარე-

მოს სიმკვრივეები ტოლია. დასველებად ზედაპირზე **წვეთი** განიღვრება, არადასველებადზე კი გაბრტყელებული სფეროს ფორმას იღებს“ (ქსე 1987: 311). **წუეთი** – **წვეთი**, „ცვარი“ (აბულაძე 1973: 351); **წუეთი** – „ცვარი ჩამოვარდნილი“ (საბა 1993: 386); **წვეთი** – **კვათი** (ქაჯაია III: 465); **წვეთი**, ნამი, ცვარი – **ბიფხ** (თოფურია, ქალღანი 2000: 686).

წუეთ- ფუძეს შესატყვისები უდასტურდება ზანურში: ფუძის რეფლექსები რეკონსტრუქციის დონეზეც კი აისახება:

„**წუეთ-** / **წუთ-**“:

ქართ. **წუეთ-** / **წუთ-** **წუეთ-ი**, **წუეთ-ავ**, დამო-ს-**წუთ-ის**. მეგრ. **კვათ-** / **კვეთ-** **კვათ-ი** / **კვეთ-ი** „წვეთი“; **ოლ-კვათ-გრ-ე** „საწვეთელი“... ლაზ. **კვეთ-** / **კუთ-** **ო-კუთ-უა** „საწვეთური“, **ო-კვეთ-ალ-ა** || **ო-კუთ-არ-ა** „სანაგვე“. მეგრ. **კვეთ-** და ლაზ. **კვეთ-** ← **კვათ-** უმლა-უტის შედეგად. ლაზურის სემანტიკა ნაწილობრივ სხვაობს; ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა ა. ცაგარელმა. ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა გ. კლიმოვმა და ქართულ-ზანური ურთიერთობის ხანისთვის **წუეთ-** და **წუედ-** არქექტიპები აღადგინა (არაბული 2001: 161)

ა. არაბულის ვარაუდით, **წუეთ-** ამოსავალში ზმნური ძირია. ამის საფუძველს იძლევა აწმყოს ფუძის წარმოება: **წუეთ-ს**, **წუთ-ი-ს**. ზმნური ფუძე გვევლინება **წუეთ-** და **წუთ-** ვარიანტებით. მესამე ალომორფი **წუთ-** ქართულში ახალ ლექსიკურ ერთეულს დასდებია საფუძველად. საგულისხმოა, რომ ქართველურ ენებში მისი შესატყვისი არ დასტურდება. ი. ყიფშიძის მიერ მითითებულია მეგრ. **წუნთი-ს** ქართული წარმომავლობა, აქედან **წუნს** ← **წუნთს** (არაბული 2001: 162-163). მ. ჩუხუა აღნიშნავს, რომ სვან. **უიდე** სტრუქტურულად ქართ.-ზან. **წუეთ-** || **კუათ-** ფორმებთან ამჟღავნებს სიახლოვეს. **უიდე** ნააბლაუტარია – **უიდე** ← ***უედ** ← ***ჰუედ** ← ***ჰუედ**, შდრ. ლაზური **უედ** „იდ“ ალომორფი; სვანურში ფუძის აუსლაუტში უძველეს ვითარებას გვიჩვენებს, ე. ი. ქართ. **წვეთ** ← ***წუედ-**

ს.-ქართვ. *წუედ „წვეთი, ცვარი, წვეთება“ → ქართ. წვეთ- : ზან. ჭვათ- → ჭვეთ – წვათ – : სვან. უიდ || უედ (← *ჭუედ). ს.-ქართ. *წუედ არქეტიპი გენეტურად საერთოა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებთან (ჩუხუა 2000-2003: 222).

ნამი „ატმოსფერული ტენი, რომელიც ტემპერატურის დაწევის დროს ჰაერს გამოეყოფა და დედამიწის ზედაპირს ეფინება წყლის წვრილი წვეთების სახით“ (ქეგლი V 1958: 1328); **ნამი** „ცვარი – ატმოსფერული ნალექი, რომელიც დადებითი ტემპერატურის დროს საღამოს, ღამით ან ადრე დილით ჩნდება საგნების, მცენარეებისა და ხმელეთის ზედაპირზე წყლის წვეთების სახით. ნამი წარმოიქმნება ჰაერის გაცივებისა და წყლის აორთქლების კონდენსაციის შედეგად მოცემულ ზედაპირზე, რომლის ტემპერატურა საღამოს და ღამით სითბური გამოსხივების გამო ნამის წერტილზე დაბლა ეცემა. ნამი ინტენსიურად წარმოიქმნება, თუ ცა მოწმენდილია და სუსტი ნიავი ქრის. ნამის დროს ნალექების რაოდენობა მცირეა და ღამეში საშუალოდ 0,1-0,3 მმ უდრის“ (სქე 1984: 308).

მეგურლში **ნამი – ცუნდი** || **ცუნჯი** (ქაჯაია II: 358). სვანურში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ნამიც, ცვარიც** და **წვეთიც** არის **ბიფხ** (თოფურია, ქალდანი 2000: 155).

მ. სუხიშვილი აღნიშნავს, რომ „სვან. **ბიფხ** ფუძე, როგორც თავისი ძირითადი („ცვარი, ნამი, წვეთი“), ასევე გადატანითი მნიშვნელობით (მდრ.: ქართლ. **ფიფქინა** – სუფთა, თეთრი, ქათქათა..., **ფიფქინი** გაუდის – თეთრად ელვარებს, ქათქათებს...), უპირველეს ყოვლისა, ფორმით ქართულ **ფიფქ**- სიტყვას უკავშირდება. ძვ. ქართულში **ფიფქი** ლექსემა თითქოს არ იძებნება. დასტურდება საბასთან და ამგვარი განმარტება ახლავს: **ფიფქი** – „ახალი თოვლი“. ამავე სიტყვას საბა განიხილავს **თოვლ**- სიტყვის ბუდეში: „და თუ დათოვა ტერფამდე მეტი მისი იგი არს ფიფქი“ (საბა 1993: 194). **ფიფქი** ქეგლში განმარტებულია, როგორც

„თოვლის კრისტალი“. ამდენად, ქართ. **ფიფქ**- „თოვლის კრისტალი“... და სვან. **ბიფხ**- „ცვარი, წვეთი“... ფუძეების განსხვავებული მნიშვნელობები ამ ფუძეთა იდენტიფიკაციას ხელს ვერ შეუშლის (სუხიშვილი 1997: 147). მკვლევრის აზრით, სვან. **ბიფხ** ქართულიდან შეთვისებული **ფიფქია** (მნიშვნელობით, გავრცელების არეალით **ფიფქ**- ფუძის სესხება უფრო რეალური ჩანს, ვიდრე მისი შესაძლო ფონეტიკური **ბიბკ**- || **ბიპკ**- || **პიპკ**- ვარიანტებისა). ქართულმა **ფიფქ** ფუძემ სვანურის ფონეტიკური სტრუქტურის შესატყვისი სათანადო ფონეტიკური ცვლილებები განიცადა. კერძოდ, სვანურისთვის არ არის სტაბილური **ფქ** კომპლექსი (**ფქ** კომპლექსი მხოლოდ რედუქციის შედეგად შეიძლება გვექნოდეს), სტაბილური და ბუნებრივია **ფხ** კომპლექსი. აქედან გამომდინარე: ქართულიდან შეთვისებული **ფიფქ**- ფუძე სვანურში **ფიფხ**- ფუძეს მოგვემდა, ამის შემდგომი პროცესი რეგრესიულ-დისიმილაციური გამჟღერება სვანურისათვის ნიშანდობლივი ფაქტია (გ. ახვლედიანი, გ. როგავა). მ. სუხიშვილის ვარაუდით, ფონეტიკური პროცესი (ქართ. **ფიფქ**- > სვან. ***ფიფხ** > **ბიფხ**) ყრუ ფშვინვიერთა დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშს წარმოადგენს, რაც ქართველური ენებისათვის თითქმის უჩვეულო ჩანს (სუხიშვილი 1997: 148). მაგალითად, **ბიფხიშ** ნამატუ ზულუას ესერ ლახდენა (ანდ.) „**ნამისგან** გაქცეული ზღვას მიადგაო“.

ამავე ქვეჯგუფს განეკუთვნება შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

ლეში „ხის ფოთლებიდან ჩამოდენილი წვეთები, – ჟვავი; **წუნწკლი** „შხეფი, წვეთი (ჩვეულებრივ უსუფთაო)“; ჩამონადენი წყალი (ქეგლი IV 1955: 1130); **წუნწკლი** „წვეთით ნაწვეთი“ (ნაწვეთარი) (საბა 1993: 388);

შხეფი „სწრაფად გატყორცნილი სითხის სწორი წვეთები; წინწკალი“ (ქეგლი VII 1962: 1477); მეგრულში **ჩხაპი**, მაგ., ქიდმანთხუ წვიმამ **ჩხაპიქ** „დამეცა **წვიმის** შხეფი“.

წრუტი „ძალზე მცირე რაოდენობის სითხე“ (ქეგლი VIII 1964: 1174); **ნაშიშხალი** „შინშხლებად ნადენი, – მრავალწვეთად გამოფრქვეული“ (ქეგლი V 1958: 1420).

§5. წყალი იდიომებში

ბუნებრივია, იდიომებში „წყალიც“ დადასტურდა:

ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა „არეულობის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის“: (ფეფენამ) ალლო აართო ამ დომხალივით არეულ ხალხს და მიჰყო ხელი **ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას** (ქეგლი VIII 1964: 1186).

თვალს წყალი დააღვინა „გაერთო, ისიამოვნა (რაიმე სანახაობით), გული გადააყოლა“: ამდონი ხანია ტირილიდან არ მოუსვენია მის თვალებს? დღეს ერთს მაინც გაიხედავ-გამოიხედავს, **თვალს წყალს დააღვინებს!**; კარგა ხანია ქალაქში არ ვყოფილვარ, – ფიქრობდა საამი – დავათვალიერო მაინც იქაურობა, **თვალს წყალი დავაღვინო** (ქეგლი VIII 1964: 1187).

ორ წყალშუა დარჩენა „გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში ყოფნა, ორ ცეცხლშუა ყოფნა“: ან ჰო, ან სულ არა, აქ **ორ წყალშუა დგომა** უადგილოა (ქეგლი VIII 1964: 1187).

პირი წყლითა აქვს სავსე „ლაპარაკის, გულის ნადების გამოთქმის შესაძლებლობა არა აქვს“: მას **პირი წყლით ჰქონდა სავსე**, ხმას ვერ იღებდა (ქეგლი VIII 1964: 1187).

პირის წყალი „სინდისი, ნამუსი“: ოძელაშვილის ვინაობა და ბინაც ბევრმა იცოდა, მაგრამ ხალხს ჯერ შერჩენილი ჰქონდა **პირის წყალი...**; მაშ ივანიჩს უნდა მიათხოვონ ფიქრია, იმ აქლემს? – ჩაიცინა არსენამ... მაგრე რიგად გამოელიათ პირის წყალი? (ქეგლი VIII 1964: 1187).

პირში წყლის დაგუბება „გაჩუმება, ხმის გაკმენდა, ვერაფრის

თქმა“: ალბათ ასე სჯობია, გაივლო გულში ამთავითვე გადაწყვიტა **პირში წყალი დაეგუბებინა** და სხდომაზე კრინტიც არ დაემრა (ქეგლი VIII 1964: 1187).

ჩაილურის წყალი დალია „უკვალოდ გაქრა, უქმად ჩაიარა, დავიწყებას მიეცა“: ჩემმა მანქანამ **ჩაილურის წყალი დალია** (ე. ი. დაიკარგა)“.

ცეცხლზე წყლის დასხმა „დალუპვა, საქმის წახდენა“: ნუ დამლუპავთ, თქვენი ჭირიმე, **ნუ დამისხამთ ცეცხლზე წყალს!**.. მოისმა ნინიკას მომტირალი ხმა; გგონავ არ მიჭრის ხმალია? შენ რაზედ უნდა მწუნობდე, **ცეცხლზე დამისხა წყალია**; ავად არ გამიხდე და **ცეცხლზე წყალი არ დამისხა** (ქეგლი VIII 1964: 1187).

ცივი წყლის გადასხმა (თავზე) „გაწბილება, იმედის გაცრუება“: ბოლოს იცით კიდევ რა მოხდა,, ის, რომ შემოვიდა მოხუცებული დედაჩვენი და **ცივი წყალი გადაგვასხეს თავზე** (ქეგლი VIII 1964: 1187).

წმინდა წყლის „წესიერი, სინდისიერი, პატიოსანი; ნამდვილი, აშკარა“: ღმერთმა ჰქნას... იმისთანა **წმინდა წყლის** კაცი, როგორც კორესპონდენტია, ამისებრ დანაშაულის მეტს სხვას არასაგრძნობდეს წინაშე ადამიანისა (ქეგლი VIII 1964: 1188).

წყლის ამღვრევა „განხრაზ შფოთის, არეულობის გამოწვევა, მდგომარეობის გამწვავება“: ვითომ შუაკაცობენ და საქმით კი **წყალს ამღვრევენ** (ქეგლი VIII 1964: 1188).

წყალი არ გაუვა (რამეს) „უდავოა, უქველია, ნამდვილია“: ამ საქმეს წყალი არ გაუვა (ე. ი. უქველია)“.

წყალი შეუდგა (ვინმეს, რამეს) „სიმტკიცე მოაკლდა, საფუძველი შეერყა (ვინმეს, რამეს)“: ამ საქმეს უკვე **წყალი აქვს შეყენებული** (ე. ი. უსაფუძვლოა)“.

წყალს ასხამს (ვისიმე) წისქვილზე „ეხმარება, (ვისიმე) სასარგებლოდ მოქმედებს“: ეს, ჩემო ძმაო, ისეთი ვინმეა, რომ თავისიანები ავიწყდება და **სხვის წისქვილზე ასხამს წყალს** (ქეგლი VIII 1964: 1188).

წყალში გადაყრა (რაიმესი) „უსარგებლოდ დაკარგვა, დაღუპვა (რაიმესი)“: რამდენ ომში ვასახელებ, რამდენი ვაჟკაცობა გამოვიჩინე, თვითონაც როგორ პირში გაქვბინეთ და ახლა კი ესე **წყალში გადამიყარეს** ყოველი ჩემი ნაამაგარი (ქეგლი VIII 1964: 1188).

ზღვა დაშრა კოვზით „დაილია“: ნავები, – ნავები, მოვზიდოთ, იქნება გვეშველოს: „**ზღვა დაშრა კოვზით**“ (ნიშნისანიძე 1991: 42).

ზღვაში წვეთი „ძალიან ცოტა“: მოსატაცებლად თხუთმეტიც ვეყოფით, საბრძოლველად ოცდახუთიც **წვეთის ზღვაში**, – მიუგო გაბაშვილმა (ქეგლი IV 1955: 725).

ამრიგად, „წყალთან“ დაკავშირებული ლექსიკა შემდეგ თემატურ ჯგუფებად დაიყო: 1. უშუალოდ **წყალი** და მასთან დაკავშირებული მსაზღვრელები, ზმნები თუ ზმნისართები, აგრეთვე **წყლით** გაჟღენთილი საგნები და ადგილები, რომლებიც **წყლის** სხვადასხვა თვისებაზე მიგვანიშნებენ ამავდროულად; 2. **წყლის** აღმნიშვნელი გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები (მდინარე, ტბა, ზღვა...); 3. უშუალოდ „ზღვასთან“ თუ „მდინარესთან“ დაკავშირებული ლექსიკა; 4. **წყლის** შემადგენელ ნაწილთა აღმნიშვნელი სახელები.

წყალთან დაკავშირებული ლექსიკის დიდი ნაწილი საერთო-ქართველურია (რაც ზემოთ გაანალიზებული მასალიდან ნათლად ჩანს).

თავი IV

მოტივაციით მიღებულ გეოგრაფიულ ობიექტთა

საზოგადო სახელები

წარმოქმნის მომენტში ყველა სახელი მოტივირებულია, ე. ი. სემანტიკურად გამჭვირვალეა, სახელების მიზეზი ნათელია, სიტყვა შესაძლოა მოტივირებული იყოს გრამატიკულად (ე. ი. წარმოებით) და სემანტიკურად (ე. ი. სიტყვის მნიშვნელობით). „მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალშისაცემი თვისებაა და არა უთუოდ კონსტიტუციური არსებითი ნიშან-თვისება (ფოჩხუა 1974: 121).

მოტივირებული სიტყვა თავის თავში მოიცავს ნებისმიერ ენობრივ ელემენტთა კომბინაციას. კომბინაციები შეპირობებულია ამ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის ენობრივი ჩვევებით.

სახელდება ყოველთვის რაღაცით მოტივირებულია. ჩვენს მასალაში დაიძებნა რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი ერთეული, რომელსაც სახელი შერქმეული აქვს ადგილმდებარეობის, ფერისა თუ ფორმის მიხედვით (როგორც ითქვა, მასალის მიხედვით, გამოიყო მხოლოდ რამდენიმე სახელი აღნიშნული ტიპისა, მაგრამ ჩვენ მათ მაინც ცალკე თავში განვიხილავთ, რაკი ყველა სხვა ჯგუფისგან განსხვავდებიან). ესენია: **უნაგირა** „ორად ამოწვერილი მთა, ქედი, რომელიც უნაგირს მოგვაგონებს“; **დრიანკელი** „კლდოვანი ხეობა“; შდრ. **დრიანკალი**, მორიელი (ე. ი. ადგილი, სადაც ბევრი მორიელია ან თავად მთა წააგავს მორიელს ფორმის თვალსაზრისით); **ლაწვი** „კლდიანი ადგილი“; შდრ. ლაწვი „ლოყა“, ე. ი. ამობურცული ადგილი; **ფერცხალა** „ფერცხალის, ნეკნის მსგავსი კლდე“; **ფეხმოუკიდებელი** „ციცაბო“; **ცერი** „კლდის ნაფხვერის, მოზვავებული ფერდობის, ან მაღალი მთის ნაპირი (შდრ. **ცერი** „ყველაზე მსხვილი თი-

თი“); **წკვარამი** „უფსკრული“ (შდრ. **წკვარამი** „ზნელი“, „უკუნეთი“); **დინდგლი** „შავი მიწა“ (შდრ. „შავი ცვილი“); **ჭეო** „კლდის ნაწყობი, რომელიც მოგვაგონებს ნივრის კბილებს“ (შდრ. **ჭეო** „ნივრის თავის ცალკე კბილი“).

თავი V

ნასესხები ლექსიკა

გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელების ერთი ნაწილი ქართულში ნასესხებია სხვა ენებიდან. ზოგი ამგვარი ლექსიკური ერთეული ზემოთ განვიხილეთ შესაბამის თემატურ ჯგუფთან დაკავშირებით (მაგ., ოკეანე და სხვა). ქვემოთ წარმოვადგენთ ყველა ამ ტიპის ლექსიკურ ერთეულს.

ლიმანი ძვ. ქართ. ლიმენი [ბერძ. Liman] „ნავსადგური“; **გრუნტი** [გერმ. Crund] „ნიადაგის მყარი ზედაფენა“; **დენუდაცია** [ლათ. denudatio გაშიშვლება რუს. ენის მეშვეობით] გეოლ. „მიწის ზედაპირიდან დაშლილი ქანების გადაცლა წყლის, ქარის თუ მყინვარის მიერ“ (ქეგლი III 1953: 1147).

სპარსულიდან შემოსული სახელებია: **აუზი** „[სპარ. ჰავზ] ხელოვნურად გაკეთებული თავდია წყალსაცავი“ (ქეგლი I 1950: 656); **შადრევანი** „[სპარს. შადრუვან] ნაკადი“ (ქეგლი VII 1962: 604); **ხამი** „[სპარს. ხამ] დაუმუშავებელი, გამოუყვანელი, მოუქნელი“ (ქეგლი VIII 1964: 1327); **ფილაქანი** „[სპარს. ფელანჰან „კიბე“] ქვის ფენა, შრე, რომელიც ადვილად იღება ფილებად“ (ქეგლი VII 1962: 102).

ბერძნულ-ქართულის მჭიდრო ურთიერთობას შესაძლებელია ძალზე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანობის შემოსვლის დროიდან. ქართულის ინტენსიური ურთიერთობა ბერძნულ ენასთან გრძელდებოდა საშუალო სპარსულთან, არაბულთან და ახალ სპარსულთან ურთიერთობის პარალელურად (ფოჩხუა 1974: 361).

ოკეანე „[ბერძ. okeanos უსაზღვრო ზღვა] 1. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი აუზი, 2. წყლის სტიქიის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში“ (ქეგლი VI 1960: 19).

ოკეანოგრაფია „[ბერძ. okeanos ოკეანე და grapho ვწერ] მეცნიერება ოკეანეებისა და ზღვების შესახებ. შდრ. **ოკეანოგრაფი** – ოკეანოგრაფიის სპეციალისტი“ (ქეგლი VI 1960: 20).

ატმოსფერო „[ბერძ. atmos სუნთქვა და sphaira სფერო, ბირთვი]“ (ქეგლი I 1950: 69).

ლითოსფერო „[ბერძ. lithos ქვა და sphair სფერო] გეოლოგ. მიწის მტკიცე, ქვიერი გარსი“ (ქეგლი IV 1955: 1543).

სეისმოგრაფი „[ბერძ. seismos რყევა, მიწისძვრა და graphō ვწერ] სპეც. მიწისძვრის დროს მიწის ზედაპირის რყევათა ავტომატურად ჩასაწერი ხელსაწყო“ (ქეგლი VI 1960: 987).

სეისმომეტრი „[ბერძ. seismos რყევა, მიწისძვრა და logos მოძღვრება] 1. გეოფიზიკის დარგი, რომელიც სწავლობს მიწისძვრებს, აგრეთვე მიწისძვრებზე და აფეთქებებზე დაკვირვების შედეგად აკეთებს დასკვნებს მიწის შინაგანი აგებულების შესახებ, 2. ხელსაწყო, რომლითაც აკვირდებიან დედამიწის ზედაპირის რყევას მიწისძვრის დროს“ (ქეგლი VI 1960: 987).

ტექტონიკა „[ბერძ. tektonike მშენებლობის ხელოვნება] 1. დედამიწის ქერქის აგებულება. 2. გეოლოგიის დარგი, რომელიც იკვლევს დედამიწის ქერქის აგებულებას და მისი წარმოშობის პროცესს“ (ქეგლი VI 1960: 1283).

ეპიცენტრი „[ბერძ. epi -ზე და ლათ. centrum ცენტრი] გეოლ. ადგილი მიწის ზედაპირზე, რომელიც მიწისძვრის კერის (ჰიპოცენტრის) თავზე მდებარეობს და სადაც ამის გამო მიწისძვრა ყველაზე ადრე აღწევს (ქეგლი III 1953: 1388).

ჰიპოცენტრი „[ბერძ. hypo და ლათ. centrum ცენტრი] გეოლ. მიწისძვრის კერა“ (ქეგლი VIII 1964: 1644).

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპის მწიგნობრული ტრადიციები, პირველ ყოვლისა, ლათინურ ენასთან არის დაკავშირებული. ჯერ რომის იმპერიას შეჰქონდა დაპყრობილ ევროპულ ქვეყნებში თავისი ენა, ქრისტიანული რელიგიაც ევროპაში

ვრცელდებოდა რომის კათოლიკობის სახით, რომელიც ლათინურენოვანი იყო. შემდეგ მეცნიერების ენად ლათინური შეიქმნა და XVII-XVIII საუკუნეებამდე ლათინური წარმოადგენდა დასავლეთში ინტერნაციონალურ სამწიგნობრო ენას. ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული ენები ლათინურის გაგრძელებას წარმოადგენს. ლათინურიდან შევიდა ახალსამწერლო ენებში (ფრანგულში, გერმანულში, ინგლისურში...) ძირითადი სამეცნიერო ტერმინოლოგია (ფოჩხუა 1984: 365-366).

ეკვატორი „[ლათ. aequator გათანასწორებული] გეოლოგ. თეორიულად გავლებული წრეხაზი, რომელიც დედამიწას ყოფს ორ თანასწორ (ჩრდილოეთ და სამხრეთ) ნახევარსფეროებად || ადგილი, სადაც ეს თეორიული წრეხაზი გადის“ (ქეგლი III 1953: 1299).

ეროზია „[ლათ. erodere-დან გამოჰმა] მდინარის წყლის მიერ მიწის ზედაპირის ნგრევა და ჩამორეცხვა. **ნიადაგის ეროზია** – ნიადაგის წარეცხვა ღვარების მიერ. შდრ. მედიც. ლორწოვანი გარსის ზედაპირული დაწყლულება“ (ქეგლი III 1953: 1426).

გერმანული ენიდან შემოსული სახელებია: **აისბერგი** „[გერმ. Eisberg ყინულის მთა] ზღვაში მცურავი ყინულის მთა-კუნძული, პოლარული მყინვარის მონატეხი“ (ქეგლი I 1950: 214).

ბუხტი „[გერმ. Bucht] ზღვის პატარა უბე, გემების სადგომად გამოსადეგი (შდრ. ნავსადგური)“ (ქეგლი I 1950: 1199).

გლეტჩერი „[გერმ. Gletscher] ხეობის მყინვარი, აგრეთვე: გეოლ. ყინულის მასა, რომელიც წარმოიშობა მარად თოვლიან მთებში და ნელა ეშვება ქვევით სიმძიმის ძალის გავლენით“ (ქეგლი II 1951: 1459).

ფრანგულიდან შემოსული სახელებია: **მასივი** „[ფრანგ. massif] მაღლა აზიდული მთიანი მხარე, მთიანეთი, მოკლებული მკაფიოდ გამოსახულ თხემებს, სიგრძე-სიგანით თითქმის თანაბრად განვითარებული და სუსტად დანაწევრებული“ (ფოჩხუა 1987: 87; ქეგლი V 1958: 82).

ბითუმი „[თურქ. ბუთუნ] ერთიანი, მთლიანი. ბითუმი კლდე, პიტალო კლდე“ (ქეგლი I 1950: 1056).

პლატო „[ფრანგ. plateau] გეოგრ. ზღვის დონიდან მაღლა მდებარე ვაკე, რომლებიც ფერდობებით უერთდება დაბლობ ადგილებს“ (ქეგლი VI 1960: 240).

ლანდები „[ფრანგ. landes] ქვიშიანი და ჭაობიანი დაბლობები დას. საფრანგეთში, ბისკაის ყურის ნაპირებზე“ (ქეგლი IV 1955: 1475).

პრერია „[ფრანგ. prairie] ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ვრცელი ველები“ (ქეგლი VI 1960: 278).

მინერალი „[ფრანგ. minerale] დედამიწის ქერქში შემავალი ბუნებრივი ქიმიური ნაერთი ან ამგვარ ნაერთთა მექანიკური ნარევი“ (ქეგლი V 1959: 415).

თურქულიდან შემოსული: **ქარიზი** „[თურქ. ქარირ] „მიწისქვეშა არხი““ (ქეგლი VII 1962: 264).

შვედურიდან და იტალიურიდან შემოსული: **შხერი** „[შვედ. Stät ციცაბო კლდე]; **შხერები** ფრიალო ნაპრალებიანი პატარა კუნძული ან წყალქვეშა და წყალზედა კლდე სანაპიროზე... ჭიუხი“ (ფოჩხუა 1987: 83).

ლაგუნა „[იტალ. laguna] გეოგრ. პატარა ტბა, ზღვისაგან მოწყვეტილი“ (ქეგლი IV 1955: 1460).

თავი VI

გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი საზოგადო სახელები პოეტურ მეტყველებაში

ენაში დაუნჯებულია ყველა ის შესაძლებლობა, რომლებსაც ჭეშმარიტი შემოქმედი აამოძრავებს, სულს შთაბერავს და ხატოვანი აზროვნების გამომხატველად აქცევს. არსად არა აქვს ისეთი ფართო ასპარეზი სიტყვათშემოქმედებას, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში. ენის განედლება, მისი შინაგანი პოტენციის მაქსიმალური გამოვლენა და გამოყენება სწორედ აქ ხდება. გრამატიკული წესები და ლექსიკონი აფიქსებისა და სიტყვების უქმ გროვად გადაიქცეოდა, შემოქმედებითად გამოყენებული რომ არ ჰყავდეს ენას (ჯორბენაძე 1987: 5).

მართალია, ენა ერის კუთვნილებაა და, ამდენად, ეროვნული თვითმყოფადობის უწინარესი ნიშატი, მაგრამ იგი ყოველთვის ინდივიდუალურად ვლინდება ხოლმე და ამიტომაც მასში მკვეთრად იჩენს თავს პიროვნების შინაგანი თვისებებიც. მეტიც: ზოგადად აღებული ენა („ენა თავისთავად“) არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს გარკვეული ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური წესები და კანონზომიერებანი, დამოუკიდებელი პიროვნების ნებისაგან. თორემ თვით ენა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეულ პიროვნებათა საშუალებით ვლინდება, ცალკეული პიროვნების მეტყველებაში არსებობს (ჯორბენაძე 1987: 7).

ენა არის ის ობიექტური მოვლენა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ყოველ პიროვნებას გამოხატოს თავისი სუბიექტური მსოფლხედვა. ყველაზე ხელშესახებად, ნათლად და დახვეწილად ეს მსოფლხედვა პოეტურ სიტყვაში ვლინდება (ჯორბენაძე 1987: 8).

ჩვენ შევეცადეთ „მთა-ბარსა“ თუ „წყალთან“ დაკავშირებული ლექსიკა წარმოგვეჩინა, როგორც მხატვრულ სახეთა შექმნის სა-

შუალეზა (ზოგი მათგანი ზემოთ განვიხილეთ თემატურ ჯგუფებთან დაკავშირებით).

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში „მთა-ბარისა“ თუ „წყლის“ აღმნიშვნელი სახელები წარმოდგენილია პირდაპირი მნიშვნელობით: ამ ადგილებში შევხაროდი **მთებსა** და **მდელოს** (გალაკტიონი 1965: 106); ის დამილოცავს **ზღვასა** და **ხმელეთს** შორეულ ცის ქვეშ (კალანდაძე 1985: 83); **კლდეებს** ეხლება თოვლ-ქარი, დაბლა ზანტად დის ღრუბელი... (იქვე: 13); გახედავ **ფერდობს**, გახედავ **ტყეს**, გახედავ **დაბლობს** – გარინდებულა ყველაფერი (მაჭავარიანი 1985: 157); აქ ისწავლა ისრის სროლა, ნადირობა, ჯირითი, **წყალზე** ბადის გადაგდება, ამოხაპვა ქვირითის (ნიშნიანიძე 1984: 10); ჩავარდნილია **წყალში** ტირიფი, ალბათ მუხებმა ხელი უბიძგეს (ნიშნიანიძე 1990: 370); ამ მშვენიერ **მინდორ-ველზე** რა ნაირი ფერებია?! ყაყაჩოსა სიწითლითა **ყანა** დაუმშვენებია (კალანდაძე 1987: 62); კავკასიის **ქედზე** იყო ამირანი მიჯაჭვული (წერეთელი 1980: 147); გაწოლილა მხარე ლეკის და შრიალი ისმის **ყანის** (გალაკტიონი 1965: 297); **კლდეებში** ჯიხვი დაფრთხება, გორში იტირებს ატამი (კალანდაძე 1985: 12); შეღამდა, კაცი შეუყვა **აღმართს** (ნიშნიანიძე 1984: 232); თოფით მხარზე შევუდექი **აღმართს**... რა თქმა უნდა, წინ გამისწრო ძაღლმა (მაჭავარიანი 1985: 260); ქარბორიო წეროებს **ტყისკენ** მიერეკება, **ტყისკენ** მიდის ბაკუნით წვერცანცარა ბეკვა (ნიშნიანიძე 1990: 361); ფერად ყვავილებს **ველზე** მოფენილს, გაშლის მირკანი (კალანდაძე 1985: 21); ყველაფერს ამას **ბექობიდან** დაჰყურებს კაცი, თავის თხას მწყემსავს, ცალი თვალი უჭირავს თხაზე (ლებანიძე 1987: 175).

პოეზიაში „მთა“ ხშირად გამოყენებულია სულიერი თუ ფიზიკური სიმძიმის სიმბოლოდ: „**მთასავით** მაწევს გულზე ტკივილი“; „უცქერს და უსმენს ჭიკჭიკა მერცხალს, მზად არი, მხრებით თუნდ **მთები** ზიდოს“; „**მთის** ნაპრალების შემოღამებით“ ყოვლისმომცველი „სიბნელეა“ წარმოსახული: „შემოიღამებს **მთის** ნაპრა-

ლები, და თუ როგორმე ისევ გათენდა“... (გალაკტიონი 1965: 201).

დიდი სულიერი ტკივილის წარმოსაჩენად გვხვდება „ერემ-ლის წყარო“, „ნისლის ტბა“, „ფიქრების ზვავი“: სულში **ნისლის ტბებია** და ქაოსის მხატვარი (გალაკტიონი 1965: 185); ატყდა ვა-ზების კვირტი, **ერემლის** დაგუბდა **წყარო** (იქვე: 107); გაქრა **ფიქრების ზვავი**, მზიან ამინდსაც ველი (იქვე: 246).

სიდიდისა თუ სიმრავლის აღსანიშნავად ხშირად დასტურდება ლექსემა **ზღვა**: ჭმუნვა და სევდა ერთი ორად მოგემატება, იქნება **ზღვა ხალხიც**, იქნება, მაგრამ ისინი? სად არიან? (ნიშნია-ნიძე 1991: 134); სიცრუე ისე ბევრია – **ზღვაა, ტყეა** და წვიმა (ნიშ-ნიანიძე 1991: 325); გრძნობა, **ცხოვრება ზღვაა**... გრძნობა, იცვლება მხარე (გალაკტიონი 1965: 176); გადავეშვი **სიბრძნეთ ზღვაში**, ხან სიცხეში, ხან ავდარში (იქვე: 385); მშვიდია ჩვენი დილა, **ზღვა სიხარულით** სავსე (კალანდაძე 1985: 4).

დიდი „სისხლის ღვრისა“ თუ „ცოდვიანობის“ გამოსახატავად გამოიყენება „სისხლის ღვარი“, „სისხლის მდინარე“, „სის-ხლის წყარო“: გადმოსკდა **სისხლის წყარო** (ქეგლი VIII 1964: 1205); ხალხები **სისხლის ზღვებს** რომ შერიე, მოსპე, დაამხე მრავალი ტახტი (ქეგლი IV 1955: 192); „თუნდ **ზღვა** ემართოს **სისხლისა**“ (იქვე: 192); ხვალ იქნებ **ცოდვის ზღვა** ამოდუღდეს და უგნურებამ ცა გადათქეროს (იქვე: 192); ნახა **ცოდვის ზღვაც, ერემლების დე-ლეც**, ხედავდა სიღრმეს სხვისთვის უხილავს (იქვე: 192); სიძულ-ვილის აუწონელ **ზღვა ფერფლს**, ჰაბოს ფერფლი გადასწონის, ერ-თი მუჭა ფერფლი (ნიშნიაანიძე 1991: 56); სიკვდილის მხარეს **ტბა** იდგა **ერემლთა**, სიცოცხლის მხარეს შუქს ჰვენდა ვარდი (აბაში-ძე 1990: 84).

დიდი მანძილის, დიდი გზის სემანტიკის აღსანიშნავად ხში-რად დასტურდება „ცხრა მთა“, „ცხრა წყარო“: **ცხრა წყარო** გადა-ვიარეთ პირმზითი, ნაპირმზითარი... შენებრ ქალი არ მინახავს, არც გზები ესევითარი (კალანდაძე 1985: 117) და სხვა.

გასაოცარი „შიშის“ გრძნობაა გამოხატული „შიშნაჭამი მიწის ლულლულითაც“: ეს **შიშნაჭამი მიწა** ლულლულებს და მოდის შიში (ნიშნიანიძე 1991: 357); „ცისა“ და „მიწის“ „პირის გახსნით“ კი **შემადრწუნებელი შიშისა** თუ **ქვეყნის დაქცევის** განცდაა დანახული: იხსნება პირი ცისა და **მიწის** და თავის შველაც არ მოგინდება (იქვე: 360).

პოეტურ მეტყველებაში **ტბა** შეიძლება იყოს „ყვავილებისაც“. ამ შემთხვევაშიც **ტბა** სიმრავლის გამომხატველია: ბრწყინავს ომალო, ტრიალებს ბეხვნე, ცისფერ **ყვავილთა ტბები** ბზინავენ (კალანდაძე 1985: 202); დატრიალდა ქარაშოტად, ცეცხლმოდებულ განთიადად **ტბა** – გიგანტურ **ყაყაჩოთა** (ნიშნიანიძე 1991: 68).

ბუნებრივია, ლექსემა „მიწა“ ხშირად წარმოგვიდგება მშობლიური ქვეყნის აღსანიშნავად (კომპოზიტში „მიწა-წყალი“): მწუხრი ეფინა გულს და გონებას, ჩემი **მიწა-წყლის** ჰაერი მაკლდა (კალანდაძე 1985: 32). **მიწა** დასტურდება „სამარის“ მნიშვნელობითაც: და როცა **მიწას** მივებარები, ნაჯაფარი და ტანდაკორძილი (ნიშნიანიძე 1991: 63).

ზოგჯერ „მიწისა“ და „ცის“ „სიცილით“ გამოხატულია დიდი განცდა, სიხარული, გამარჯვება: ყაყაჩო ჩანს **ცის** და **მიწის სიცილში**... გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მათა“ (კალანდაძე 1985: 52).

სულიერი სიმშვიდის წარმოსაჩენად დასტურდება ლექსემა **ტბა**: ვარ მშვიდი, ვით **ტბა** უქარო დარში, ირგვლივ ყოველი მიმზერს ალერსით (მიქაუტაძე 1978: 3). სულიერი სიმდიერის გამოსახატავად კი ვხვდებით „კლდეს“, „ზვავს“: ოცნებაო ყრმობის, როგორც ხედავ ესე, ვისიც **გული კლდეა**, ვდგევარ ხომლის კლდეზე (გალაკტიონი 1965: 403); მოცარტი, შენიე, შელლი – მოზვავდნენ ახალი **ზვავით** (იქვე: 403).

ცხოვრებისეული „სიხარული“ თუ „სიმძიმე“ (მეტაფორულად) „აღმართ-დაღმართით“ გამოიხატება პოეტურ მეტყველებაში: მე ფეხს ვურჩევდი ჩემს **აღმართ-დაღმართს**, მე მზეს ვებებ-

დი მუხლჩაუხრელი (ფორჩხიძე 1986: 29).

ესა თუ ის გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელი ხშირად დასტურდება რაიმე მოვლენასთან შესადარებლად: ოპ, სიყვარული **ზღვების ქაფია** (გალაკტიონი 1965: 182); წელში მოხრილი **ზვირთივით** დგას ძველი წისქვილი (იქვე: 104); **ტბა** ყვავილების ქოთანით დევს ფანჯარაზე, გაღმა ტყეს ჭრიან (ნიშნინიძე 1991: 198); ჟღერს ღმერთების ჩონგურივით **ველ-მინდორი** მოხნული (იქვე: 72).

საინტერესო აღმოჩნდა **მთა-ბარისა** თუ **წყლის** ლექსიკასთან დაკავშირებული მსაზღვრელები. აქ ცალკე გამოიყო „ფერის“ აღმნიშვნელი სახელები: და მესიზმრება საქართველოს **ცისფერი მთები** (ამაშუკელი 1980: 20); შორს სვანეთის **ლურჯ მთებს** თოვლიანი შუბლი ცის თაღზე მიეხვინათ (ქორქოლიანი 1974: 45); მაგრამ შორს **ლურჯი** გამოჩნდა **მთები**, ახლა იქ მყუდრო ნავსადგურია (გალაკტიონი 1965: 262); ნურავინ მეტყვის, ეს **შავი კლდე-ღრე**, მისი ვეება ტანი ტიტველი, მშვენებით სავსე არ იყოს ეგრე (აბაშიძე 1990: 41); **შავი ზღვის** ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა, აწ მოგვიგვრიან მრავლის მხრით ჩვენთა მოძმეთა (ბარათაშვილი 1965: 280); მიდიოდი ველად, როგორც **ღვინისფერი მდინარე** (გალაკტიონი 1965: 267); თეთრი ყვავილი **ლურჯ მინდორზე** დაჯდება როკვით (კალანდაძე 1985: 63).

პოეტურ მეტყველებაში **მთები** შეიძლება იყოს „ლილიანი“ (ცისფერის აღსანიშნავად), **ტყე-ველი** – „ფერგადაშლილი“, **მინდორ-ველი** კი – „ლაჟვარდის ფერისა“: მისებრ **ლილიან მთებს** ვინ უმღერის?! (ფორჩხიძე 1986: 6); მალე **ფერგადაშლილი** ამწვანდება **ტყე-ველი** (გალაკტიონი 1965: 44); სიზმრად ვნახე **მინდორ-ველი** სულ **ლაჟვარდის ფერისანი** (ნიშნინიძე 1991: 18).

„მთისა“ თუ „კლდის“ მსაზღვრელებად ხშირად წარმოგვიდგება „სიმაღლის“, „სიდიდისა“ თუ „სიძლიერის“ სემანტიკის გამომხატველი სახელები: კასპის ერთ **დიდ კლდეს** ვერაფერი

კლდე ვერ სჯობია (გალაკტიონი 1965: 272); **უშველებელ კლდეს** ჩემი სოფელი ეხურა, როგორც პატარა ქუდი (აბაშიძე 1990: 45); როგორც ქაჯეთის ციხის გოდლები, დგანან **კლდეები უზარმაზარი** (იქვე: 40); **მაღალ მთებს** შუა გადებულ ხიდზე, ვით ხელის გულზე, სიმშვიდე მიძევს (თარბა 1984: 7); **მაღალ გორაზე** დაუ-
თოვია, გულს მოსვენება ვერ უპოვია (გალაკტიონი 1965: 44); მზე შეეფინა ღელის გაღმა **აღმართულ ფერდობს** (მაჭავარიანი 1985: 258); მთელი ქვეყანა გაწოლილა არწივის თვალწინ, **პიტალო კლდიდან** იმზირება არწივი რიხით (იქვე: 535).

მთა თუ **კლდე** შეიძლება იყოს „ბებერიც“, „სველიც“..., მაგ. **ბებერ კლდეზე** არწივი რომ იჯდა, ფრთას გაშლისო საქმე შენთა ნიჭთა (კალანდაძე 1985: 166); მზე ოკეანით ამოვა მძიმედ, გა-
ბრწყინდებიან შორეული **ზღაპრული მთები** (იქვე: 83); **სველ კლდეებს** ტანზე აშლიათ ხავსი, ვით გარეული ტახის ჯაგარი (ფორჩხიძე 1986: 27); სადაც **ლამაზი მთა-ზარი** მხვდება, ჩემს სა-
ქართველოს რატომ მაგონებს (აბაშიძე 1990: 25).

პოეტურ მეტყველებაში **მიწა** შეიძლება იყოს „მხურვალე“ ან „ძველი“, **დედამიწა** – „ბებერი“, „ახალი“ ან „ყრუ“, **ქვეყანა** – „მთვრალი“. მაგ.: და განფენილა **მხურვალე მიწა** და განფენილან მხურვალე ცანი (კალანდაძე 1985: 197); შენ **ძველ მიწაზე** პირველი გაჩნდი და მიიზიდე მაღლა, მაღლა დაფნა და ნაძვი (იქვე: 32); ო, **დედამიწავ**, მიწავ **ბებერო**, ბებერო, მაგრამ მაინც მედგარო (თარბა 1984: 36); რამდენი ბავშვი შეჰხარის ამ დღეს, რა **ახალია** ეს **დედამიწა** (გალაკტიონი 1965: 383); მაგრამ გახედავ **ყრუ დედამიწას** და მოიგონებ შენ შენს სატანას (იქვე: 274); მზე იყო მკრთალი, ყურს გაპყრობდა **ქვეყანა მთვრალი** (ლებანიძე 1987: 245).

ველის მსაზღვრელად ხშირად დასტურდება „ნამიანი“, „მზი-
ანი“, „მდუმარე“, „შორეული“ და სხვა. მაგ., როცა **ნამიან ველზე** გავივლი, ნამი ბალღივით მართობს, მახარებს (კალანდაძე 1985: 24); შეტაკებები მკაცრი და მწარე ეფინებიან **ველებს მზიანებს**

(გალაკტიონი 1965: 13); ცისკრებ ანთებს **მდუმარე ველთა** ნათელი შენი (კალანდაძე 1985: 84); ალერსთა უხვი და **უხმო ველი** დამფარავს ნისლთა წამოსასხამით (გალაკტიონი 1965: 94); ქუხვით გადმომაქანნი მრისხანეთ მდინარეთა, ჰრწყვენ და განაპოხებენ **შორეულთა ველებთა** (ჭავჭავაძე 1975: 104); სველდება **ველი გადაცელილი**, ვხედავ სიმინდის დაულვაშებას (მაჭავარიანი 1985: 12); **გაშიშვლებული ველ-მინდვრები** მიუგდე წვიმებს შეგინებული სალოცავივით (კალანდაძე 1985: 169); ვარ იმ ქვეყნიდან, სადაც მთანი დგანან შიშველნი, სად **ველ-მინდორი** არის **მწირი** და **გვალვიანი** (მაჭავარიანი 1985: 412).

პოეტური თვალთ დანახული **მინდორი** შეიძლება იყოს: „მტრებისგან გათქერილი“, **ყანა** – „თვალგახელილი“, **კორდი** – „მთვლემარე“: ამ **მინდვრებს**, **მტრებისგან ათასჯერ გათქერილს**, ზვრებისთვის რა მზე და რა საზრდო ჰქონიათ (აბაშიძე 1991: 59); ჯეჯილში ჩაიშრიალა **თვალგახელილმა ყანამა**, მთით მობერილმა ნიაგმა, ნარგიზის იავნანამა (კალანდაძე 1985: 19); რა სიწყნარეა? **მთვლემარე კორდზე** მე შევაყენე დაღლილი ცხენი (გალაკტიონი 1965: 61).

პოეტურ სიტყვაში **ტყე** შეიძლება იყოს „გარინდებული“, „მდუმარე“, „გამარცული“ და „ჩონჩხიანიც“ კი. მაგ., **გარინდებული ტყე** ფიქრობს, არ ვიცი – რას? (გალაკტიონი 1965: 173); როგორ ირხევა **გამარცული ტყე**, შემოდგომის დღე, შემოდგომის დღე (იქვე: 48); **უდაბურს ტყეში** დაძრწის მარტორქა... ქარი გუგუნებს ქვაბის კართან თავგანწირული (კალანდაძე 1985: 23); აქ ზვინები იმდენია, **ტყეს** მიაგავს **გამობელილს** (ნიშნიანიძე 1991: 40); ტბას დასცქერის **მდუმარე ტყე** – მოდარაჯე ჩამიჩუმის (გალაკტიონი 1965: 406); შეშლილი სახეების **ჩონჩხიანი ტყეებით** უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან! (იქვე: 71).

წყლის მსაზღვრელებად ხშირად გვაქვს: „მჟავა“, „კამკამა“, „მთით დაქანებული“, „შეკრული“ და სხვა. მაგ., **მჟავე წყლების-**

კენ საცალფეხო გზა გამოვწალდე, არსად არ წავალ, აქ დავრჩები ზამთრის მოსვლამდე (ნიშნინიძე 1990: 369); კვალად თანა სდევს შენს **კამკამა წყალს** მოაქამომდე, შენ ლურჯთა ჩქერთა სხივმარავანდი მათი უსწორო (კალანდაძე 1985: 182); **წყალნი**, მთით **დაქანებულნი**, აღმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან (ორბელიანი 1975: 173); ზამთრითა შეკრულს, **წყალს დამონებულს**, ყინვა ადნება (ჭავჭავაძე 1985: 26).

გამოიყო აგრეთვე **ზღვასთან, მდინარესთან, ტბასა თუ წყაროსთან** დაკავშირებული მსაზღვრელები. ესენია: „თბილი“, „წყნარი“, „შმაგი“, „ცხელი“, „გრილი“, „უბიწო“ და სხვა. მაგ., თეთრი მედუზა ბრწყინავს წყალზე, **ზღვა იყო მწვანე, წყნარი და თბილი** (ამაშუკელი 1980: 92); **წყნარი ზღვა** არი, იისფრად კუნძულზე ნისლი თქორდება (კალანდაძე 1985: 264); სმენა იჭერდა **უსაყვარლეს მდინარეთ** ხმაურს (გალაკტიონი 1965: 13); შენ ადიდდები **შმაგო მდინარეც**, ადიდდები და წამლეკავ მითი (კალანდაძე 1985: 149); გოგზა **ტბა ვრცელი**, ხმოვანებით ზღვისა მბამავი (ჭავჭავაძე 1975: 115); დაესიზმრება მშიერ გოლგოთას თეთრი ყვავილი და **წყარო გრილი** (კალანდაძე 1985: 37); აჰა, კვლავ ჩემს წინ, **წყარო უბიწო** (იქვე: 255); მაგრამ სალ კლდიდან ეხლა ძვირფასად ამოხტა **წყარო ანკარა** ასად (გალაკტიონი 1965: 340).

სუბსტანტიურ მსაზღვრელად **მთასა და ტყესთან** ხშირად დასტურდება „სამშობლო“. მაგ., გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? – ეს ჩემი **სამშობლოს მთებია** (გალაკტიონი 1965: 139); თუ სადმე გვხვდება ტურფა მთა-ბარი ჩემი **სამშობლოს მთა-ბარს** ვადარებ (აბაშიძე 1990: 25); **სამშობლოს ტყეში** გიცდიან მგლები, – ოცი წელია, მე ვარ სულ მგლებში (ლებანიძე 1991: 140). „გაზაფხულისა“ კი შეიძლება იყოს **ზღვაცა და ველიც**. მაგ., და **გაზაფხულის ზღვა** არი ირგვლივ, ო, **გაზაფხულის ყვავილთა** თოვა (კალანდაძე 1985: 198); და **გაზაფხულის ველი** მოლია, ის სიცოცხლისთვის იბრძოლებს ისევ (გალაკტიონი 1965: 202).

პოეტურ მეტყველებაში **ზვირთი** არის „სიცოცხლისა“ თუ „წუთისოფლის“. მაგ., **ზვირთო, წუთისოფლისაგ!** რას შემამთხვევ, ვინ იცის (ილია 1985: 31); ძველ ზღუდეთა შორის თრთის **სიცოცხლის ზვირთი** (გალაკტიონი 1965: 459). ზოგჯერ კი, გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელი თავად გვევლინება სუბსტანტიურ მსაზღვრელად. მაგ., თქვენ ჩაგიხედავთ **კლდეების გულში?** აქ წმიდათწმინდა სანთელი კრთება (კალანდაძე 1985: 167); ნიავექარს მოაქვს **ფშვინვა ველისა**, ბულბულნი ყეფენ (იქვე: 26); წყალთა ეშვებით გამოფატრულან **კლდეთა ფაშვები**, შლამით ნალამი (ნიშნინიძე 1991: 368); სადაც მდინარე უფსკრულებს მიჰყევს, და წყლით ივსება **ხეობის ძაბრი** (იქვე: 368); იმ დარდად ჩემს გულს ხშირად სწოლია **ტყეთა მსუბუქი მელანქოლია** (გალაკტიონი 1965: 80); ბნელ სადგურების ბაქანს მისდევს **წუხილი ტყისა** (იქვე: 284).

ცალკე გამოიყო **მთა-ზარისა** თუ **წყლის** ლექსიკასთან დაკავშირებული ზმნები. პოეზიაში **მთები** და **კლდეები** ხშირად „ტირიან“, „იცვამენ ჯაჭვის პერანგებს“, „გორდებიან ტალღებად“, „გრიანობენ“, „იმოსებიან ჩრდილით“, „ეხავსებიან ერთმანეთს“. ზოგჯერ კი „ნაოჭები აჩნია“ **მთა-ზარს: ატირდნენ მთები** და ლამის მეც ავტირდე, ნაძვები დაღონდნენ და მეც, მეც ვღონდები (კალანდაძე 1985: 38); **მთებიც იცვამენ ჯაჭვის პერანგებს**, აბჯარს ისხამენ გუთნისდედები (გომიაშვილი 1960: 10); ქვეყნის დაქვევას ქარი უჩქარის, **აგორებულან მთები ზვირთებად** (აბაშიძე 1990: 108); ძლიერი სივრცის **გრიანობს გორა**, გრიანობს ქარი (გალაკტიონი 1965: 195); **შემოსილიყვნენ კლდეები ჩრდილით**, ლურჯით და შწვანით (იქვე: 300); **შეხავსებია კლდეები კლდეებს**, იქ ვილაც კვნესის დიდი ხანია (იქვე: 191); თუმც **ნაოჭები აჩნია მთა-ზარს**, ვით საფლავის ქვას ეპიტაფია (იქვე: 464).

პოეზიაში **მიწა** „ყურებსაც იცქვეტს“, „ხმაურობს“, „ღვიძავს“, **დედამიწა** კი „გუგუნებს“, ხან კი – „დუმილს“ შეერთვის: **მიწამ ცვიტა კურდღლურად** სოკოების ყურები (ნიშნინიძე, 1991, 361); წინ მიიწევ და ხმაურობ, გღვიძავს, საქართველოს **სევდიანო მი-**

წავ! (გალაკტიონი 1989: 46); იშრიალე დიდო ვერხვო, **იგუგუნე დედამიწავ!** (კალანდაძე 1985: 25); გაჰყვება შტორმი გზას, უკვე გავლილს, ცა-**დედამიწა შეერთვის დუმილს** (იქვე: 370).

პოეტის თვალით დანახული **ტყე** ხან „პირსაბურს ჩამოიცილებს“, ხან „დაიფურცლება“, ხან – „სიხარული ემატვის“. ყვავილები კი „როკვენ“ და „ველნი თვრებიან“: **ტყემ პირსაბური ჩამოიცილა**, გზას მიჰყვებიან ჩუმად არეები (კალანდაძე 1985: 18); **ტყეს** სიხარული ემატვის, **მინდორს** ბრილიანტ-ბროლები (იქვე: 263); ხმობენ კაკბები... სურნელთ მაკმევენი, **როკვენ ყვავილები, თვრებიან ველნი** (იქვე: 33); და მტერს იმნაირად დაჰყვივლა: **ტყეები დაიფურცლა, მინდვრები გადახმა** (ნიშნიანიძე 1984: 99).

პოეტურ მეტყველებაში **ზღვა** ხან „ცრემლებით ივსება“, ხან „საღამო ედება მუქი“, ხანაც „აღმაცერად დაენდობა მუქი“: დაიწვას გული უცნაურ ტრფობით, ცრემლით აივსოს **ზღვა-საწყაული** (გალაკტიონი 1965: 35); **ზღვას საღამო ედებოდა მუქი**, შენ ზღვის პირად სჩანდი, როგორც მუქი (იქვე: 118); ზღვას **აღმაცერად დაენდო მუქი**, გრიალებს ქარი (იქვე: 194).

გასაოცარია, რომ **ტბა** და **მდინარის ტოტი** შეიძლება ყანაში „თოხად მოჩანდეს“, **ტყეს** კი – „სული“ ჰქონდეს და „თმებში სოსანი ეკეთოს“: შორიდან **ტბა** და **მდინარის ტოტი** მოჩანს ყანაში დარჩენილ თოხად (ნიშნიანიძე 1991: 359); **ტყის სულს ეკეთა თმებში სოსანი** და ლილიანი (კალანდაძე 1985: 143).

პოეტურ სიტყვაში „სულიერისა“ და „მატერიალურისა“ სიმბოლოებად ხშირად გვხვდება **ცა** და **მიწა**. მაგ., სულში **ცასა** და **მიწას** აზავებს, ერისკაცია და ღვთის მოსავი (ნიშნიანიძე 1990: 47); მაშ, შორს მტვერი, შორს, შორს **მიწა!** – ის **ცის** უარმყოფელია (გალაკტიონი 1989: 46).

პოეტური თვალით დანახული „მთა-ბარისა“ თუ „წყლის“ აღმნიშვნელი სახელები და მათთან დაკავშირებული მსაზღვრელები, ზმნები.... ამოუწურავია ქართულში. ზემოთ მხოლოდ რამდენიმე წარმოვადგინეთ.

ნაწილი II

გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელებით წარმოქმნილი ფორმები წარმოების თვალსაზრისით

ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად ენა სხვადასხვა საშუალებას იყენებს: წარმოქმნა (სიტყვათწარმოება), სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, სესხება. ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლაში სიტყვაწარმოებას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. ახალ ფუძეთა წარმოქმნის სხვადასხვა სახეცნობილი: აფიქსაცია, კომპოზიცია, რედუპლიკაცია (ფუძეთგანმეორება), შინაგანი ფლექსია და სხვა. დერივაციას (წარმოქმნა), როგორც სახელთა შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, უპირისპირდება თხზვა (კომპოზიცია), რომელიც არსებითად სხვა საშუალებას სახელის შესაქმნელად. დერივაცია გულისხმობს ახალ სიტყვათა წარმოქმნას პრეფიქსით ან სუფიქსით, ან ერთდროულად პრეფიქსისა და სუფიქსის მეშვეობით (შანიძე 1973: 120).

წარმოქმნილ სახელთა დაჯგუფება შესაძლებელია როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მიხედვით. ფორმის მიხედვით წარმოქმნილი სახელები იყოფა პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ჯგუფებად. შინაარსის მიხედვით კი გამოიყოფა კნინობითი, ქონების, უქონლობის, დანიშნულების, ხარისხის და სხვათა სახელები. აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალფეროვანი და სხვადასხვა ფუნქციის მქონე პრეფიქს-სუფიქსებიდან ზოგიერთს დროთა განმავლობაში იმდენად დაჰკარგვია წარმოების უნარი და ისე ორგანულადაა შეზრდილი ძირებს, რომ, ოდესღაც აფიქსად გამოყენებული, დღეს ძირის განუყოფელ ნაწილად გამოიყურება (იქვე: 120).

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით გამოიყო გარკვეული ტიპის სტრუქტურული მოდელები, რომელთა ფუძე გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი საზოგადო სახელებია.

თავი I ავიქსაციის გზით მიღებული სახელები

ა) ოდენპრეფიქსული წარმოება

ოდენპრეფიქსული სახელები, რომელთა ფუძე გეოგრაფიულ ობიექტთა (საზოგადო) აღმნიშვნელი ფორმებია, ძირითადად **ნა-** პრეფიქსითაა ნაწარმოები.

აღნიშნული ტიპის სახელები მეგრულში **ნა-**ს მორფოლოგიურ-ფონეტიკურ შესატყვისს – **ნო-** ფორმანტს წარმოგვიდგენს. დასტურდება აგრეთვე ქართულიდან შეთვისებული **ნა-** პრეფიქსი. ოდენპრეფიქსული ფორმები დაცულია სამსავე ქართველურ ენაში. სვანურში, ისევე როგორც ქართულში, წინავითარების ფუნქციის გამომხატველია პრეფიქსი **ნა-**.

მაგალითები: **ნა-ღრანტი** „წყლისგან ჩადრმავებული ადგილი“;

ნა-შარა: შარა ნაშარას – „გზა ნაგზევზე“;

ნა-ღვც / **ლიც** / **ნიც** „წყალი“, „ნაწყლვეი“; **ნა-შუკუტ** [შუკუტ „გზა“, „ნაგზევი“]: **ლიც** ესერ **ნაღვცს** იმუკვ **ნაშუკვს** „წყალი **ნაწყლვეს** და გზა **ნაგზევსო**“;

ნა-დაბ / **დაბ** „ყანა“ / „ნაყანევი“: სოფლებს დემთე თერონ **ნადაბ** „სოფლიდან არსად ჩანდა **ნაყანევი**“;

ნა-ქაშან / **ქაშან** „ბილიკი“ / „ნაბილიკარი“: ეჩე ქაძ დესა თერა **ნაქაშან** „იქ უკვე არც კი ჩანს **ნაბილიკარი**“.

ბ) ოდენსუფიქსური წარმოება

გაცილებით მრავლად დასტურდება ოდენსუფიქსური სახელები, რომელთა ფუძე გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელებია. აქ გამოიყოფა ქონების სუფიქსებით დადასტურებული ფორმები.

-იან: **გორაკ-იან-ი** (გორაკი თავად ნაწარმოებია **-აკ** სუფიქსით) „გორაკიანი ადგილი“ (ქეგლი II 2010: 1579); **კლდე-იან-ი** „სადაც კლდეებია“ (ქეგლი IV 1955: 1243); **ხეობ-იან-ი** (მდრ. ხე-ობა) „სადაც

ხეობა“ (ქეგლი VIII 1964: 1245); **ბორცვ-იან-ი** „სადაც ბორცვია“ (ქეგლი I 2008: 1052); **ჭიუხ-იან-ი** „ადგილი, სადაც ჭიუხებია (ქეგლი VIII 1964: 1268)“; **ხრამ-იან-ი** „ხრამების შემცველი“ (იქვე: 1504); **ფლაც-იან-ი** „ღრანტე ადგილებიანი“ (ქეგლი VII 1962: 134); **ველ-იან-ი** „ადგილი, რომელიც ველს წარმოადგენს“ (ქეგლი IV 1955: 43); **ვაკ-იან-ი** „ვაკე ადგილი“ (იქვე: 11); **ნამ-იან-ი** „რასაც ნამი მოხვდა (ქეგლი V 1958: 1328)“; **წყარო-იან-ი** „სადაც წყაროა“ (ქეგლი VIII 1964: 1205); **ბურდო-იან-ი** „სადაც ბევრი ბურდოა“ (ქეგლი I 2008: 1096); **ლიჟღრ-იან-ი** „ადგილი, სადაც ლიჟღრია“ (ქეგლი IV 1955: 1551); **ლამ-იან-ი** „სადაც ლამია“ (იქვე: 1472); **ჭაობ-იან-ი** „ჭაობით დაფარული“ (ქეგლი VIII 1964: 1228).

-**ოვან**: **ციცაბ-ოვან-ი** „ციცაბო ადგილებიანი“ (ქეგლი VIII 1964: 634); **კლდ-ოვან-ი** „სადაც კლდეებია“ (ქეგლი IV 1955: 1243); **კუნძულ-ოვან-ი** „სადაც კუნძულებია“ (იქვე: 1431); **ტალღ-ოვან-ი** „ტალღების შემცველი“ (ქეგლი VII 1960: 1228); **ბრაგ-ოვან-ი** „სადაც ბრაგებია“ (ქეგლი I 2008: 1061); **წვეთ-ოვან-ი** „სადაც წვეთით, შხეფებით ხდება სითხის ჩამოვინება“ (ქეგლი VIII 1964: 1070).

-**იერ**: **ქვეყნ-იერ-ი** „მიწიერი“ (ქეგლი VII 1962: 313).

-**ოსან**: **ზღვა-ოსან-ი** „ვინც საზღვაო ფლოტში მსახურობს“ (ქეგლი IV 1955: 193).

დასტურდება აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი ფორმებიც. აქ გამოიყოფა **-ობა** და **-ება** სუფიქსები.

-**ობა**: **კლდე-ობა** „კლდედ ყოფნა“ (ქეგლი IV 1955: 1243); **მთაწმინდ-ობა** „მამადავითობა“ (ქეგლი V 1958: 250); **ველ-ობა** (თუშ. ხევ.) „საომრად ან სათამაშოდ წასვლა“ (ქეგლი IV 1955: 43); **ნამიან-ობა** (შდრ. ნამ-იან-ი) „ნამის თვისება, ტენიანობა“ (ქეგლი V 1958: 1330); **დღელე-ობა** „დღესასწაული ფშავში“ (ქეგლი VII 1962: 410).

-**ება**: **ქვეყნიერ-ება** (შდრ. ქვეყნ-იერ-ი) „ქვეყანა“ (ქეგლი VII 1962: 313).

დამოუკიდებლად **-ობ** სუფიქსი რამდენიმე სიტყვაში იხმარება (შანიძე 1973: 130).

-ობ: ბუც-ობ-ი (კუთხ.) „ჭიანჭველებისაგან ამოტანილი ფხვიერი მიწა“ (ქეგლი I 2008: 1110); **ჭურ-ობ-ი** „კლდიანი ადგილი, სადაც მინდორიც არის“ (ქეგლი VIII 1964: 1298); **ჭყანტ-ობ-ი** „ჭყანტიანი ადგილი, ჭაობი“ (იქვე: 1239), **ჭანჭრ-ობ-ი** „კორდი წყლიანი, ნოტიო“ (იქვე: 1227); **მაღლ-ობ-ი** „მაღალი ადგილი“ (ქეგლი V 1958: 99); **დაბლ-ობ-ი** „დაბალი, დაცემული ადგილი“ (ქეგლი III 1953: 184); **ვიწრ-ობ-ი** „ვიწრო გასავალი მთებში“ (ქეგლი IV 1955: 77); **ველ-ობ-ი** „მინდორი ტყეში“ (შდრ. ველობა – საომრად ან სათამაშოდ წასვლა) (იქვე: 44); **ვაკ-ობ-ი** „ვაკე ადგილი“ (იქვე: 11); **ქან-ობ-ი** „დადმართი, დაქანებული ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 253); **ფერდ-ობ-ი** „დაფერდებული ადგილი“ (იქვე: 68); **გვერდ-ობ-ი** „დაფერდებული ადგილი“ (ქეგლი II 2010: 1535); **ღრანტ-ობ-ი** (შდრ. ღრანტე, ღრანტო) „ღრანტე ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 470).

დასტურდება **-ურ(-ულ)** წარმომავლობის სუფიქსით ნაწარმოები სახელებიც. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, წარმოდგენილია ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტისთვის დამახასიათებელი თვისება:

-ურ(-ულ): ალპ-ურ-ი „ალპების შესაფერი, დამახასიათებელი. ალპური სამოვარი“ (ქეგლი I 2008: 347); **ბექ-ურ-ი** „ბექიანი ადგილი“ (იქვე: 1001); **ნიადაგ-ურ-ი** „ნიადაგთან დაკავშირებული“ (ქეგლი V 1958: 1483); **ტალღ-ურ-ი** „ტალღის დამახასიათებელი“ (ქეგლი VI 1960: 1240).

-ურ სუფიქსი გამოიყოფა **გუბ-ურ-ა** ფორმაშიც, რაც ნიშნავს „პატარა გუბეს“ (ქეგლი II 2010: 1603).

დასტურდება **-იურ** სუფიქსიც, რომელშიც ორი მაწარმოებელია გაერთიანებული: **ივ+ურ** → **იურ** (შანიძე 1973: 128) → მაგ., **ქვეყნ-იურ-ი**.

დაიძებნა **-აკ** კნინობითის სუფიქსიანი ფორმა, როგორც არის **გორ-აკ-ი** „პატარა გორა“ (შანიძე 1973: 128).

გვაქვს **-ალ** სუფიქსიანი წარმოება: **ღრანტ-ალ-ი** (შდრ. **ღრანტ-ობ-ი**) „ვიწრო ხევი“ (ქეგლი VII 1962: 469). დასტურდება **ღრანტო**, **ღრანტე** ვარიანტებიც. **ღრანტ-ო** „ღრმა და ვიწრო ხევი“ (იქვე: 476); **ღრანტ-ე** „ღრმა და ვიწრო ხევი“ (იქვე: 469). აქ **-ალ**, როგორც ჩანს, ფუძის მაწარმოებელი აფიქსია.

შეგვხვდა **-ირ** სუფიქსიანი ფორმაც: **ყანობ-ირ-ი** (შდრ. **ყან-ობ-ი**) „იგივეა, რაც ყანები“ (ქეგლი VII 1962: 506).

როგორც ცნობილია, ქართულში მოიპოვება სუფიქსი **-ნარ** (**რაე-ნარე** ფუძეებთან დისიმილაც. **ნალ**), რომელიც დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება დასახელებული მცენარე: **ნამე-ნარ-ი**, **ფიჭე-ნარ-ი** და სხვა (შანიძე 1973: 144). ამ ტიპისაა **თიხ-ნარ-ი** ფორმაც („თიხიანი ადგილები“).

-ეთ სუფიქსი არის ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული სახე გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას. ის უშუალოდ დაერთვის სახელთა ფუძეს (შანიძე 1937: 138). ამგვარი წარმოება საზოგადო გეოგრაფიულ სახელშიც შეგვხვდა. მაგალითად, **წყლ-ეთ-ი** (შდრ. ხმელეთ-ი) „წყლით დაფარული ადგილი, ზღვები და ოკეანეები“ (ქეგლი VIII 1964: 1212); **კუნძულ-ეთ-ი** „კუნძულების წყება, ერთმანეთს მიყოლებული მრავალი კუნძული“ (ქეგლი IV 1955: 1431).

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ **-ა** სუფიქსი გამოხატავს რაიმეს მქონებლობასა თუ კნინობითობას. ამ ტიპის წარმოება დადასტურდა ჩვენთვის საინტერესო სახელებშიც. აღსანიშნავია, რომ **-ა** სუფიქსის წინ გვხვდება **-ულ**, **-ალ**, **-ელ**, **-ორ**, **-იხ** და **-უხ** ფორმანტები: **კუნწ-ულ-ა** (შდრ. **კუნწ-ულ-ი**) „წვერი, თხემი, მწვერვალი“ (ქეგლი IV 1955: 1431); **კუჭ-ულ-ა** (შდრ. **კუნჭ-ულ-ი**, **კუნჭ-ულ-ო**) „მთის წვერი“ (იქვე: 1451); **ფერცხ-ალ-ა** „ჭიუხებიანი ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 76); **კოთ-ორ-ა** „კატარა, კლდოვანი მაღლობი“ (ქეგლი IV 1955: 1260); **კინწრ-უხ-ა** (შდრ. **კინწრ-იხ-ო**, **კუნწ-უხ-ი**) „წვერი, კენწეო“ (აგრეთვე, ხის ან სახლის) (იქვე: 1221). გვაქვს მხოლოდ **-ო** სუფიქსიანი წარმოებაც, რო-

გორიც არის **კინწრ-იხ-ო** „მთის წვერი, მთის თხემი“ (იქვე: 1221).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ **-ოდენა** ფორმანტი დაერთვის სახელებს და გამოხატავს თანაბრობას, თანაფარდობას. ხშირად ფუძედ გამოყენებულია საზოგადო გეოგრაფიული სახელებიც. ამ ტიპისაა: **ზღვის-ოდენა** „ზღვასავით დიდი“ (ქეგლი IV 1955: 195); **მთის-ოდენა** „მთასავით დიდი“; **ქალაქის-ოდენა** „ქალაქით დიდი“ (ჩვენი მასალებიდან).

მსგავსებას გამოხატავს, აგრეთვე, **-ებრ** თანდებულებანი ფორმები (შანიძე 1973: 602): **ფრიალოსა-ებრ** „ფრიალოს მსგავსად“; **ზღვის-ებრ-ი** „ზღვებრი, ზღვისნაირი“.

დასტურდება აგრეთვე რთული სუფიქსი **-ობრივ**, რომელიც აწარმოებს ვითარებით ზმნისართებსა და ზედსართავ სახელებს: **ნიადაგი: ნიადაგ-ობრივ-ი** „ნიადაგური“ (ქეგლი V 1958: 1483).

შეგვხვდა **გარდა** თანდებულებიც, რომელიც გამოიყენება გამოსარიცხავად (შანიძე 1973: 602): **წყალგარდა** ნიშნავს „უწყლოდ“.

ზემოთ გეოგრაფიული ობიექტების სახელთა განხილვისას ჩვენ გამოვყავით **-ულ** და **-ილ** სუფიქსიანი მიმღეობები, რომლებიც დადასტურდა ამ ტიპის სახელთა მსაზღვრელებად. მაგალითები: **დაყამ-ებ-ულ-ი** „დამსკდარი“ (ქეგლი III 1953: 942); **გა-ვაკ-ებ-ულ-ი** „ვაკედ ქცეული ადგილი მთაში; სადაც ვაკეა“ (ქეგლი II 2010: 523); **გამინდვრ-ებ-ულ-ი** „მინდვრად ქცეული; ადგილი, სადაც მინდორი იწყება“ (იქვე: 717); **ამო-ქვაბ-ულ-ი** „ქვაბივით ჩაღრმავებული ადგილი მიწის ზედაპირზე“ (ქეგლი I 2008: 473); **ნამ-ულ-ი** „დანამული“ (ქეგლი V 1958: 1334); **ამღვრე-ულ-ი** „ის, რაც ამღვრა“ (ქეგლი I 2008: 519); **შე-კბერ-ილ-ი** „შეკბრილი ადგილი“ (ქეგლი VII 1962: 860).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელების ერთი ნაწილი მიღებულია პრეფიქსისა და სუფიქსის დართვით. ამ ტიპისაა: **ნა-მთ-ევ-ი** „სადაც ადრე მთა იყო“ (ან „მთაში ნამყოფი კაცი“) (ქეგლი V 1958: 1329); **ნა-წყლ-ევ-ი** „სადაც ადრე წყალი იყო“ (იქვე: 1433) და სხვა მრავალი.

წინავითარების კვალობაზე ნაწარმოები გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები (პრეფიქს-სუფიქსური) მეგრულშიც დავადასტურეთ, მაგრამ აქ **ნა-** || **ნო-** პრეფიქსებთან ერთად გვაქვს **-ერ**, **-ორ**, **-ე** და **-უ** სუფიქსები. აღსანიშნავია, რომ **-ერ** და **-ორ** ფორმანტები ქართული **-არ** სუფიქსის მორფოლოგიურ-ფონეტიკური ეკვივალენტებია (ვაშაკიძე 1987: 45): **ნო-წყურ-გილ-ერ-ი** (წყურგილი „წყარო“) „ნაწყაროევი“: **ნოწყურგილემა** გევმართით „ნაწყაროევეზე ავედით“; **ნო-ცვან-ერ-ი** (ცვანა „ყანა“) „ნაყანევი“: სოფელში სოთინ ვაჩქუდუ **ნოცვანე** „სოფლიდან არსად ჩანდა **ნა-ყანევი**“; **ნა-ჰყონჰყ-ორ-ი** (ჰყონჰყი „ჰაობი“) „ნაჰაობარი“: **ნაჰყონჰყორს** ვე შიამჩნენთია „ნაჰაობარს ვერ შეამჩნევთო“. აღნიშნული ტიპის სახელებთან დადასტურებული **-ე** სუფიქსი **-ერ**-ისაგან მიღებული ჩანს [-**ერ**→**ე**] (იქვე: 46): **ნო-ცვან-ე** „ნაყანევი“; **ნო-წყურ-გილ-ე** (წყურგილი „წყარო“) „ნაწყაროევი“. რაც შეეხება **ნა-** || **ნო-** პრეფიქსებთან ერთად დადასტურებულ **-უ** სუფიქსს, იგი ქართული **-ევ** სუფიქსის ბადალი ჩანს მეგრულში (იქვე: 47): **ნა-წყარ-უ** (წყარი „წყალი“) „ნაწყლევი“: წყარქ კინ ნაწყარუს ქინოლუ „წყალი ისევ **ნაწყლევეში** ჩავარდა“; **ნო-წყარ-უ** (შდრ.: ნა-წყარ-უ „ნაწყლევი“): **ნოწყარუს** წყარი ვედიტენს კინი ქიცინია „ნაწყლევეს წყალი არ დასტოვებს, ისევ იქნებაო (მოვაო)“.

დადასტურდა დანიშნულების სახელების კვალობაზე ნაწარმოები ფორმებიც, რომელთა ფუძედ წარმოდგენილია გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები.

სა-ე: **სა-თოვლ-ე** „თოვლიანი მთა“ (ქეგლი VI 1960: 642) ; **სა-ო**:

სა-ნიაგ-ო „ადგილი, სადაც ნიაგი ქრის“ (იქვე: 755); **სა-ზღვა-ო** „ზღვისთვის განკუთვნილი“ (იქვე: 741); **სა-მთ-ო** „მთისთვის განკუთვნილი“ (იქვე: 705) და სხვა მრავალი. შეგვხვდა **მა-არ** აფიქსებიანი წარმოებაც: **მა-ქან-არ-ი** „ხევის პირი, ფლატიანი“ (ქეგლი V 1958: 93).

გამოიყო უქონლობის აფიქსებით მიღებული ფორმებიც (რომელთა ფუძეც ასევე გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელებია): **უ-წყლ-ო** „სადაც წყალი არ არის“ (ქეგლი VI 1960: 1722); **უ-ბარ-ო** „ბარის გარეშე“; **უ-ჭაობ-ო** „ადგილი, სადაც ჭაობი არ არის“ და სხვა (ჩვენი მასალებიდან).

განალიზებული მასალიდან ჩანს, რომ ერთ შემთხვევაში დერივაციის გზით მიიღება გარკვეული შინაარსის მქონე გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი საზოგადო სახელები (გორ-აკ-ი, ფერდ-ობ-ი და სხვა), ხოლო სხვა შემთხვევაში ამ ტიპის სახელებისაგან ნაწარმოებია ახალი ლექსიკური ერთეულები (რომლებიც აღარ არის საზოგადო გეოგრაფიული სახელები: **ზღვა-ოსან-ი**, **სა-ზღვა-ო**, **კლდე-ობა** და სხვა).

თავი II

გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები კომპოზიტებსა და შესიტყვებებში

კომპოზიცია, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება, ხშირად გვხვდება გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელ საზოგადო სახელებში. „თხზული სახელის შედგენა (კომპოზიცია) სხვადასხვა საშუალებით ხდება ქართულში. ფუძის გაორკვევით: **თავ-თავი, ძერ-ძერ-უკ-ი**; ორი სხვადასხვა ფუძის შეერთებით: **თავ(ს)-მჯდომარე, თავის-უფალ-ი**; ორზე მეტი სხვადასხვა სიტყვის ან ფუძის შეერთებით: **(ა)-თ-ერთ-მეტ-ი, ოც-და-სამ-ი, თავ(ს)-ქუდ-მოგლეჯილი, გულ(ს)-ხელ-დაკრეფილი**“ (შანიძე 1973: 148).

გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები მიიღება სხვადასხვა სახის კომპოზიციით:

1. საკმაოდ ხშირია **არსებითი + არსებითი** სტრუქტურის კომპოზიტები: **მთა-ბარი** „მთა და ბარი“ (ქეგლი V 1958: 246); **მთა-ველი** „მთა და ველი“ (იქვე: 248); **მთა-ღრე** „მთა და ღრე“ (იქვე: 247); **კლდე-ღრე** „კლდე და ღრე“ (ქეგლი IV 1955: 1243); **ღრე-კლდე** „ღრე და კლდე“ (ქეგლი VII 1962: 471); **მთა-გორა** „მთა და გორა“ (ქეგლი V 1958: 247); **მინდორ-ველი** „მინდორი და ველი“ (იქვე: 414); **ტყე-ველი** „ტყე და ველი“ (ქეგლი VI 1960: 1366); **მიწა-მამული** „მშობლიური ქვეყანა“ (ქეგლი V 1958: 504); **ველ-მიდამო** „ველი და მიდამო“ (ქეგლი IV 1955: 44); **ველ-მინდორი** „ველი და მინდორი“ (იქვე: 44); **მინდორ-ტყე** „მინდორი და ტყე“ (ქეგლი V 1958: 414); **მინდორ-ყანა** „მინდორი და ყანა“ (იქვე: 414); **მინდორ-ჭალა** „მინდორი და ჭალა“ (იქვე: 414); **ტყე-მინდორი** „ტყე და მინდორი“ (ქეგლი VI 1960: 1367); **ტყე-ღრე** „ტყე და ღრე“ (იქვე: 1368); **მიწა-წყალი** „სახნავ-სათესი მიწა, ადგილ-მამული“ (ქეგლი V 1958: 505); **ტყე-მინდორ-ველი** „ტყე, მინდორი და ველი“ (ქეგლი VI 1960: 1367); **ღელე-ხევი** „ღელე და ხევი“ (ქეგლი VII 1962: 410); **წყარო-ფშა** „წყარო და ფშა“ (ქეგლი VIII 1964:

1204); **ღელე-გორაკები** „ღელეები და გორაკები“ (ქეგლი VII 1962: 410); **წყალ-ჭალა** „წყალი და ჭალა“ (ქეგლი VIII 1964: 1204); **ზღვა-ხმელეთი** „ზღვა და ხმელეთი“ (ქეგლი IV 1955: 194).

ზოგჯერ კომპოზიციის I ნაწილი, არსებითი სახელი, რაიმე ნიშნით განსაზღვრავს მომდევნო კომპონენტს: **კლდე-გული** „კლდოვანი გული“ (ქეგლი IV 1955: 1242); **კლდე-კაცი** „კლდესავით მტკიცე კაცი“ (იქვე: 1242); **ვაკე-ხეობა** „გავაკებული“ (იქვე: 11); **ვაკე-მინდორი** „სწორი, გაშლილი მინდორი“ (იქვე: 44); **ვაკე-თალი** „სწორი თალი“ (იქვე: 11); **ზღვა-ქვეყანა** „ზღვასავით დიდი ქვეყანა“ (იქვე: 194); **ზღვა-უდაბნო** „ზღვასავით დიდი უდაბნო“ (იქვე: 194); **ზღვა-სიმფონია** „ზღვასავით დიდი სიმფონია“ (იქვე: 194).

გვხვდება გაორკეცების გზით მიღებული ფორმებიც (როცა შენაცვლებულია ხმოვანი): **ხევ-ხუვი** „ხევები“ (ქეგლი VIII 1964: 1369). დასტურდება აგრეთვე **აღ-დაღ** ფორმანტებით მიღებული კომპოზიტი: **აღმართ-დაღმართი** „აღმართი და დაღმართი“ (ქეგლი I 2008: 801).

2. გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელების ფუძის გაორკეცების გზით მიიღება ზმნისართებიც, ასეთებია: **მთა-მთა** „მთებით, მთის გაყოლებით“ (ქეგლი V 1958: 248); **ხევ-ხევ** „ხევებით, ხევის გაყოლებით“ (ქეგლი VIII 1964: 1372); **დაღმართ-დაღმართ** „დაღმართისკენ, დაღმართის დაყოლებით“ (ქეგლი III 1953: 933); **აღმართ-აღმართ** „აღმართისკენ, აღმართის აყოლებით“ (ქეგლი I 2008: 801); **ტყე-ტყე** „ტყეზე გავლით“ (ქეგლი VI 1960: 1368); **ყანა-ყანა** „ყანებზე გავლით“ (ქეგლი VII 1962: 505); **მინდორ-მინდორ** „მინდვრებზე გავლით“ (ქეგლი V 1958: 414); **ნაპირ-ნაპირ** „ნაპირის გაყოლებით“ (იქვე: 1352); **ღელე-ღელე** „ღელის გაყოლებით“ (ქეგლი VII 1962: 410); **წყალ-წყალ** „წყლის გაყოლებით“ (ქეგლი VIII 1964: 1204); **გზა-გზა** „გზის გავლით“ (ქეგლი II 2010: 212); **შარა-შარა** „შარაზე გავლით“ (ქეგლი VII 1962: 628); **სოფელ-სოფელ** „სოფლის გავლით“ (ქეგლი VI 1960: 1129). მეგრ. **წყარ დო წყარ** „წყალდაწყალ“; **ტყა დო ტყა** „ტყედატყე“. დუსგიბლა **ტყა დო ტყაშა** „თავს წავიღებ ტყედატყე“ (ქაჯაია III: 42); **გოლა**

დო გოლათ „მთადამთა“: მოლართუ **გოლა დო გოლათ** „წამოვიდა მთა-მთა“ (იქვე: 375); **კვრდე-კვრდე** „კლდე-კლდე“: **კვრდე-კვრდე** მესხაპუნა ქარიგალი ერსქემეფი „კლდე-კლდე მიხტუნავენ რქააშვერილი ქურციკები“ (ქაჯაია II: 176); **შარა დო შარას** „იგივეა, რაც **შარა-შარა**, გზადაგზა“: **შარა-შარას** ჭე ჯინქა წიყვილუ „გზადაგზა ცოტა ნადირი მოკლა“ (იქვე: 241).

3. ზოგჯერ ორი არსებითი სახელისაგან შედგენილი კომპოზიტის II ნაწილი (არსებითი სახელი) წარმოქმნილია. ყველაზე ხშირად ეს უკანასკნელი -ა სუფიქსიანი ფორმაა: **წყალწყალა** „წყალივით თხელი“ (ქეგლი VIII 1964: 1201).

შეიძლება მეორე კომპონენტი აბსტრაქტული სახელი იყოს: **მთამსვლელობა** „ტურისტული ასვლა“ (ქეგლი V 1958: 249); **წყალდიდობა** „მდინარეების წყლის ადიდება“ (ქეგლი VIII 1964: 1121); **წყალბარაქიანობა** „წყალუხვობა“ (იქვე: 1101); **წყალგამტარობა** „წყლის გატარების უნარი“ (იქვე: 1191).

4. ხშირად დასტურდება **არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი** სტრუქტურის კომპოზიტები: **წვეთანკარა** „რასაც ანკარა წვეთი აქვს“ (ქეგლი VIII 1964: 1070); **წყალწმიდა** „წმინდა წყლის“ (იქვე: 1209); **ლილოჭრელი** „იგივეა, რაც ლილო“ (ქეგლი IV 1955: 1546); **ტყემცირე** „ადგილი, სადაც ტყის ნაკლებობაა“ (ქეგლი VI 1960: 1367).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა კომპოზიტის მეორე ნაწილი წარმოქმნილი ზედსართავი სახელია (მქონებლობის): **მთაგორაკიანი** „ადგილი, სადაც მთები და გორაკებია“ (ქეგლი V 1958: 247); **წყალბარაქიანი** „წყალუხვი“ (ქეგლი VIII 1964: 1189); **ვაკეზურგაიანი** „ვაკე ზურგის მქონე“ (ქეგლი IV 1955: 11); **ოღროზღროიანი** „ოღრო-ზღრო ზედაპირის მქონე“ (ქეგლი VI 1960: 88); **ტყეველიანი** „ტყენარევი ველიანი“ (იქვე: 1366).

5. გამოიყოფა **არსებითი სახელი + მიმღეობა** ტიპის მოდელიც. ასეთებია: **გზამკვლევი** „გზის გამკვლევი“ (ქეგლი II 2010: 322); **მთამსვლელი**, **კლდემცოცავი** „ვინც კლდეებზე ცოცავს“ (ქეგლი V 1958:

249; ქეგლი IV 1955: 1242); **მიწათმზმარებელი** „მიწათმოქმედი“ (ქეგლი V 1958: 504); **მიწამწვარა** (ქართლ.) „გვალვისაგან დამსკდარი მიწა“ (იქვე: 504); **მიწამთხრელი** „ექსკავატორი“ (იქვე: 504); **ნიადაგმცოდნე** „ნიადაგთმცოდნე“ (იქვე: 1483); **წყალგამჯდარი** „ტენიანი, რასაც წყალი აქვს გამჯდარი“ (ქეგლი VIII 1964: 1191); **წყალჩამდგარი** „რაშიც წყალი არის ჩამდგარი“ (იქვე: 1203); **ტალღზომი** (სპეც.) „ტალღის სიგრძის გასაზომი ხელსაწყო“ (ქეგლი VI 1960: 1240); **ნიაღვარგამტარებელი** „ნაგებობა ნიაღვრის გასატარებლად“ (ქეგლი V 1958: 1485); **ნიაღვარმიმღები** „ნაგებობა ნიაღვრის მისაღებად“ (იქვე: 1485); **წყალგამტარი** „წყლის გამტარი“ (ქეგლი VIII 1964: 1191); **წყალგამყვანი** „წყლის გასაყვანად საჭირო“ (იქვე: 1191); **წყალგამყოფი** „მთა ან ამალღებული ადგილი, რომელიც თიშავს მდინარეთა ნაპირებს“ (იქვე: 1191); **წყალგამყრელი** „წყალგამყოფი“ (იქვე: 1191); **წყალგამშვები** „წყალგასაშვები“ (იქვე: 1191); **წყალგამმღე** „რაც წყალს უმღებს“ (იქვე: 1191); **წყალგამწმენდი** „წყლის გასაწმენდი მოწყობილობა“ (იქვე: 1191); **გზაბნეული** „დაბნეული, გზას ამცდარი“ (ქეგლი II 2010: 931); **ფეხმოუკიდებელი** „ციცაბო“ (ქეგლი VII 1962: 93); **მიწაყრილი** „მიწისაგან შემადღებული ადგილი“ (ქეგლი V 1958: 505); **მიწაჭრილი** „სპეციალური დანიშნულების ჭრილი, ორმო“ (იქვე: 505); **წყალწაღებული** „ვინც ან რაც წყალმა წაიღო“ (ქეგლი VIII 1964: 1204); **წყალგადასხმული** „ვისაც ან რასაც წყალი გადაასხეს“ (იქვე: 1190); **წყალგამოვღებული** „რასაც წყალი გამოავღეს“ (იქვე: 1190); **წყალგარეული** „რაშიც წყალია გარეული“ (იქვე: 1192); **წყალშემორტყმული** „რასაც წყალი აქვს შემორტყმული“ (იქვე: 1203); **ტყესაცავი** „ხელოვნურად გაშენებული ტყე“ (ქეგლი VI 1960: 1367); **ტყესარგავი** „ხეების დასარგავი მანქანა, იყენებენ ტყის ხელოვნურად გაშენებისათვის“ (იქვე: 1367); **ტყესათესი** „ხის თესლის სათესი მანქანა, იყენებენ ტყის ხელოვნურად გაშენებისათვის“ (იქვე: 1367); **მინდორსაცავი** „ხელოვნურად გაშენებული ტყის ზოლი“ (ქეგლი V 1958: 414); **ნიაღვარსაშვები** „ნაგებობა ნიაღვრის წყლების გასაშვებად“ (ქეგლი V

1958: 1485); **ნიადაგსახმარი** „ყოველდღიურად სახმარი“ (იქვე: 1483); **ნიადაგსაცავი** „ნიადაგის საცავი“ (იქვე: 1483); **მიწადასაყრელი** „მოსასპობი, დასალუპავი“ (იქვე: 503); **წყალგადასაშვები** „იგივეა, რაც წყალგადასაგდები“ (ქეგლი VIII 1964: 1192); **წყალსაღები** „წყლის ამოსაღებად მოწყობილი“ (იქვე: 1200); მეგრულში: **წყარმოძინელი** „წყალმომატებული“; **წყარკათაფილი** „წყალშერეული“; **წყარხვილირი** „წყალდაგუბებული“ (ჩვენი მასალებიდან).

6. დადასტურდა **არსებითი + მასდარი** სტრუქტურის კომპოზიტიც: **მთასვლა** „სამთო ტურიზმი“ (ქეგლი V 1958: 248).

7. **გვაქვს არსებითი + ზმნისართი** ტიპის მოდელიც: **წყალგაღმა** „წყლის იქითა მხარეს“ (ქეგლი VIII 1964: 1192); მეგრ. „წყარმელე“ (ჩვენი მასალებიდან); **წყალგამოღმა** „წყლის აქეთა მხარეს“ (იქვე: 1190); მეგრ. „წყარმოლე“ (ჩვენი მასალებიდან); **წყალაღმა** „წყლის დინების საპირისპირო მიმართულებით“ (იქვე: 1192); მეგრ. **წყარყიდო** „წყალზევით“ (ჩვენი მასალებიდან); **ზღვასგაღმა** „ზღვის იქითა მხარისა“ (ქეგლი IV 1955: 193).

8. ზოგჯერ კომპოზიტის I ნაწილი ზედსართავი სახელია (**ზედსართავი სახელი + არსებითი** სტრუქტურის კომპოზიტი): **შუაწელი** „მთის შუა ნაწილი“ (ქეგლი VII 1962: 1455).

9. დასტურდება **ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი** ტიპის მოდელიც. აღსანიშნავია, რომ ორივე კომპონენტი (მამასაღამე, კომპოზიტის პირველი ნაწილიცა და მეორეც) წარმოქმნილია: **კლდიან-რიყიანი** „ადგილი, სადაც კლდეები და რიყეებია“ (ქეგლი IV 1955: 1243); **ველიან-ჭალიანი** „ველიანი და ჭალიანი ადგილი“ (იქვე: 44).

10. გამოიყო იმ ტიპის კომპოზიტებიც, რომელთა პირველი ნაწილი ნათ. ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი:

ა) მხოლოებითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი **არსებითი სახელი + არსებითი სახელი**: **ველისპირი** „ველის ნაპირი, კიდე“ (ქეგლი IV 1955: 44); **ზღვისკარი** „ზღვასა და

მთას შორის მდებარე ვიწრო გასასვლელი“ (იქვე: 194); **ზღვისპირა** „ზღვის ნაპირას“ (იქვე: 194).

ბ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი **არსებითი სახელი + არსებითი სახელი: მიწათპატრონი** „მიწათმფლობელი“ (ქეგლი V 1958: 504).

გ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი **არსებითი სახელი + აბსტრაქტული სახელი: მიწათქირავნობა** „მიწის ქირავნობით დამუშავება“ (ქეგლი V 1955: 504); **მიწათსარგებლობა** „მიწით სარგებლობა“ (იქვე: 504); **მიწათსაკუთრება** „მიწის საკუთრება“ (იქვე: 504); **მიწათმფლობელობა** „მიწის მფლობელობა, მიწის საკუთრება“ (იქვე: 504); **ქვეყანათმცოდნეობა** „გეოგრაფია“ (ქეგლი VII 1962: 313); **წყაროთმცოდნეობა** „ისტორიის დამხმარე დარგი, რომელიც წყაროებს სწავლობს“ (ქეგლი VIII 1964: 1205).

დ) მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი **არსებითი სახელი + წარმოქმნილი სახელი: ზღვისპირეთი** „ზღვის პირას მდებარე მხარე“ (ქეგლი IV 1955: 195); **ზღვისპირული** „ზღვის პირის დამახასიათებელი“ (იქვე: 195).

ე) მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი **არსებითი სახელი + მიმღეობა: მიწათმფლობელი** „მიწის კერძო მესაკუთრე“ (ქეგლი V 1958: 504); **მიწათმოქმედი** „მიწის დამმუშავებელი“ (იქვე: 503); **მიწათმოწყობი** „მიწათმოწყობაზე მომუშავე“ (იქვე: 503); **ნიადაგმცოდნე** „ნიადაგთმცოდნეობის სპეციალისტი“ (იქვე: 1483).

გეოგრაფიულ ობიექტთა საზოგადო სახელები დასტურდება შესიტყვებებშიც. ყველაზე ხშირად აღნიშნული ტიპის სახელები გვხვდება მცენარეთა სახელწოდებებში. ასეთებია:

მთის ხარისპირა, ქართლ. **ნაზადა**; მთიულ. **ზაზუნა ყვაილი**; თუშ. **ფუტკრის დედა**; სვან. **ზარამჩაი**“ (მაცაშვილი 1991: 49); **მთის ბოკვი**, მთის ნეკერჩხალი, რაჭ. **თეკერა**, სვან. **თეკრა** (იქვე: 49); **მთის იალღუნი** (იქვე: 49); **მთის მოცხარი**, თუშ., ხევს. **ალღუდა**, თუშ.

კლდის დუბი, რაჭ., ლეჩხ. **დათვიმოცხარი**, აჭარ. **მერცხალი**“ (მაყა-
 შვილი 1991: 22); **მთის პიტნა**, აჭარ. **კაპლიზალახა**, **ნანეთი**; **მთის**
სამყურა (იქვე: 49); **მთის სვინტრი**, მოხ. **ჩალისხილა**; მთიულ., რაჭ.
შაქართაფლა; **მთის ტუნგი** (იქვე: 50); **მთის ღოღო**, თუშ. **ჭირტალი**;
 ხევს. **სამოგა**, **საგუგა**, სვან. **ტელეფი**; **მთის შროშანი**, ქიზ. **თარიში**,
 ფშავ. **კიტრა**; მოხ. **ჩუკოკიტრა**; მთიულ. **კიტრანა**; თუშ. **დათვისკიტ-**
რა; ხევს. **ბარის კიტრა**; რაჭ., ლეჩხ. **თიორში**; **თიოში**; ზმ. იმ. **თიოშა**,
ქიოშა; აჭარ. **შროშანი**, **ჩირიში**, სვან. **ლახგჷმ კგტგრ** (იქვე: 50);
კლდისდუმა „ერთგვარი მცენარე, ბალახოვანი ხე“; **კლდისვაშლა**,
 მოხევე. **კლდისხორცა**; თუშ. **ფხიჯა**, **ხიჯა**, **ხაჯე**, მესხ. **კლდის ჯოჯო**;
 აჭარ. **უკვდავა**, მეგრ. **ცენაშე** (იქვე: 39); **კლდის იასამანი**, ქართლ.
კლდის ყვავილი; **კლდის მოცხარი**, ფშავ., ხევს., თუშ. **აღუდა**; მთი-
 ულ. **მაცხარი**; ძვ. ქართ. **არახილი**; **კლდის ქოთანა**; **კლდის ხახვი**;
კლდის ნიორა; **მიწავაშლა**, გურ. **მიწის ვაშლი**; ჭან. **დიხა უშქური**,
 მეგრ. **დიხაში უშქური**, სვან. **გიმიშ ვისგ**, **მიწავაშ(ლ)ა**; **მიწამაყვალა**
 „ბალახმაყვალა“; **მიწაყარა**; **მიწის ბარდა**; **მიწის ვარსკვლავა**; **მიწის**
ნუში (იქვე: 50); **ეწრის გვიმრა**, აჭარ., გურ., **ეწერი**, იმერ., რაჭ.,
 ლეჩხ., გურ. **გუმბრა**, ჭან. **ლიმზონა**, **ლიმზუნა**, მეგრ. **გვიმარა**, **გუმა-**
რა, სვან. **ჩაყვემ გვიმორ**, **ხოლა გვიმორ** (იქვე: 25); **ყანის ბაია** ქართლ.
წალიკა, რაჭ., ლეჩხ. **კვერა**, **წილობა** (იქვე: 76); **ყანის მსხალი** (კახ.)
 „შავჩოხა“; **ყანის ნიორი** „ბოლქვიანი მცენარე ყანებში გავრცელებუ-
ლი“ (ქეგლი VII 1962: 506); **ტყის ბოლოკა**; **ტყის თივაქასრა**, კახ.
წვრილა, თუშ. **წერულა**; **ტყის მრავალძარღვა**; **ტყის მიხაკი**; **ტყის**
პიტნა, კახ. **პიტნურა**; ქართლ. **ცხენის პიტნა**; ქართლ., ზემო იმერ.
ვირიპიტნა; ქვემო იმერ. **ცხენიპიტნა**; აჭარ. **ტენცო**; მეგრ. **ყვალმითა**,
ყვალმინთა; სვან. **მინთვ**, **მინთჷ**, **მინთოორ**, **ტყარ მინთვ** (მაყაშვი-
 ლი, 1991, 66); **ტყის ყუნურუკი**; **ტყის სამყურა**; **ტყის სანთელა**; **ტყისუ-**
რა; **ქვეყნისგული** „წვიმის სოკოს ერთ-ერთი სახეობა“ (ქეგლი VII
 1962: 314); **მდელოს თივაქასრა**; **მდელოს მატკვარცანა**, ზემო იმერ.
ირემა, ოკრიბ. **ყვავისფრჩხილა**, რაჭ. **მატკვლაცანა**; **მდელოს მელაკუ-**

და; მდელოს შვრიანა; მდელოს წივანა, ფშავ. შალაფი (მაცაშვილი 1991: 48); წელის ბაია; წყალიკრეფია; წელის ბამბა; წელის დვალურა (იქვე: 93); წელის ვაზი; წელის ვარსკვლავა; წელის ზამზახი, გურ. სა-ტევარა, მეგრ. არკოთა; წელის იელი; წელის კაკალი „ჭულუმბური“, მეგრ. ოხოხია; წელის მანანა; წელის მარწყვა; წელის მრავალმარდვა; წელის წიწმატი, კახ. ჩაღანდარი, აჭარ. კუკუყერა, ჭან. კუბური, მეგრ. მექიშერებული; წელის სამყურა; წელის სუმბული; წელის ფურისულა; წელის წაბლი; წყარო პირი (აჭარ.) „მსხლის ჯიში“; ზღვის სალათა; ზღვის შროშანი; ზღვის ხახვი; ზღვისპირა ფიჭვი (იქვე: 29).

როგორც ჩანს, კომპოზიციის გზით მიღებული ჩვენთვის საინტერესო ფორმებიც (ისევე, როგორც ზემოთ განხილული ტიპის დერივაციული სახელები) ორი სახისაა (შინაარსის თვალსაზრისით): ერთ შემთხვევაში კომპოზიტი გეოგრაფიულ ობიექტთა აღმნიშვნელი საზოგადო სახელია (მთა-ბარი, მინდორ-ველი ტიპისა), ხოლო სხვა შემთხვევაში (როცა კომპოზიტის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია საზოგადო გეოგრაფიული სახელი) მიიღება განსხვავებული შინაარსის მქონე სახელი (მიწათმფლობელი, ზღვისკაცი, მთის მოცხარი და სხვა) ან ზმნისართი (საზოგადო გეოგრაფიულ სახელთა ფუძის გაორკეცებით): სოფელ-სოფელ, მთა-მთა და სხვა.

* * *

როგორც საანალიზო მასალიდან ჩანს, ქართულში საკმაო რაოდენობით დადასტურდა **მთა-ბარისა** და **წელის** აღმნიშვნელი სახელები.

I. „მთის“ აღმნიშვნელი ლექსიკა დაიყო რამდენიმე თემატურ ჯგუფად: 1. უშუალოდ **მთა-კლდესთან** დაკავშირებული სახელები; 2. **მთა-კლდის** სხვადასხვა სახეობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები (**გორი**, **გორა** „დიდი ბორცვი, მრგვლად ამალღებული ადგილი“; **თაფა** „პატარა მთა“; **წყვერწყეტა** „წაწვრილებუ-

ლი წვერის მქონე“; **მთაგრეხილი** „ერთმანეთს მიყოლებული მთები“; **კბოდე** „ციცაბო კლდე ზღვასთან ან მდინარის პირას“; **ქედი** „წაგრძელებული მთა“; **სპონდიო** „წყალქვეშა კლდე“; **კურობი** „კლდიანი ადგილი, სადაც მინდორიც არის“; **კოთორა** „კლდოვანი მაღლობი ფერდობ ადგილებში“; **კრიაშვი** „კლდის პირი უფსკრულთან“; **ფეხმოუკიდებელი** „ციცაბო“; **ბორცვი** „მცირედ შემადლებული ადგილი“; **ფრიალო** „მეტად ციცაბო“; **ჭიუხი** „სწორხაზოვნად გადაჭიმული მაღლობი“ და სხვა); 3. **მთა-კლდის** ნაწილების აღმნიშვნელი სახელები: (**კონცხი** „ცხვირი კლდეთა“; **ცერი** „კლდის ან მაღალი მთის ნაპირი“; **ზეგანი** „ვაკე ადგილი მთაზე“; **კინკრინო** „მთის წვერი“; **ხრიატი** „კლდიანი და ქვიანი ფერდობი“; **შტო** „ქედის განაყოფი“; **თოვლის ხაზი** „მთის ის ადგილი, ნაწილი, რომლის ზევითაც თოვლი მუდმივად დევს“; **გოხი** „კლდის ნატეხი“; **კალთა** „დაქანებული, დაფერდებული მხარე მთისა“ და სხვა); 4. „მთასთან“ მდებარე ადგილების, კერძოდ, „ხევის“ აღმნიშვნელი ლექსიკა: (**ხევი** „მდინარის ღრმა კალაპოტი ხევში“; **ხეობა** „მთებს შუა წყალგამყოფი ადგილი“; **ხრამი** „კლდიანი ღრმა ხევი“; **ნაღვარევი** „ხმელი ხევი“; **ღრანწო** „პატარა ხევი“; **ღრადო** „კლდიანი ღრმა ხევი“; **ღრანტალი** „ღრმა ხევი“; **ნაღრანტი** „წყლისაგან ჩახრამული ხევი“; **წკვარამი** „ღრმა ხევი“; **ყრჩუ** „ვიწრო და ცხელი ადგილი ხევში“; **ნოღა** „ხეობის ნაწილი, რომელსაც ფარავს წყალი წყალდიდობის დროს“; **ხევეიწრო** „ვიწრო გასავალი ხევში“; **ტალვეგი** „ხეობის ფსკერის უმდაბლეს წერტილთა შემაერთებელი ხაზი“; **წარბი** „ხეობის ფერდობებისა და მდინარის ზედაპირის შემხვედრ წერტილებში გამავალი ხაზი“; **მაქანარი** „ხევის პირი, ორხევი“.

„მთასთან“ დაკავშირებული ლექსიკა დადასტურდა ქართული ენის დიალექტებშიც: **ქანჩახი** (კახ. ფშ.) „ბუჩქით ან ტყით დაფარული კლდიანი, ძნელად სავალი ადგილი“; **კრანჩხი** (ქიზ.) „ღრანტე, კლდე“; **კაწაპანია** (რაჭ.) „მაღალი აღმართი“; **ბრეკი**

(იმერ.) „პატარა გორაკი – ბეჟი“; **წრიაპი** (ზემო იმერ.) „ციცაბო; ციცაბო კლდე“; **კარწახი** (გურ.) „დიდი აღმართი“; **კარჩხალი** (გურ.) „კარჩხალი მთა, კლდოვანი, ტიტველი მთა“; **კუჭულა** (ხევს.) „მთის წვერი“; **ღრიანკელი** (იმერ. გურ.) „კლდოვანი, ვიწრო და ღრმა ხეობა“; **ფხაწალი** (მთიულ.) „კლდიანი, მიუდგომელი ადგილი მთაში“; **დალდე** (ფშ.) „კლდეში შეზნექილი ადგილი, სადაც ნადირი დაწვება ან თოვლი შერჩება“; **ბორო** (რაჭ.) „დიდი მთა“; **ნაური** (ქიზ.) „მთებს შუა ან სერზე სიგრძივ ჩაღრმავებული ადგილი (ხეობაზე უფრო პატარა)“; **კეტამი** (ფშ.) „კლდის თავი“; **კინწუხი** (ფშ.) „წვერი, წვეტი, კენწერო“; **კინწრიხო** (მოხ.) „წვერი, კენწერო“; **ლაწვი** (ხევს.) „კლდიანი ადგილი“; **კოდმე** (გურ.) „მთის კონცხი, გორის ფერდობი, გვერდობი“ და სხვა.

II. „ბარის“ აღმნიშვნელი ლექსიკაც დაიყო რამდენიმე თემატურ ჯგუფად: 1. უშუალოდ **მიწა-ბარის** აღმნიშვნელი სახელები; 2. **მიწა-ბარის** სახეობათა (თუ თვისების) გამომხატველი ლექსიკური ერთეულები (**ველი**; **ვაკე** „სწორი, გამლილი ადგილი“; **ბაქანი** „მოსწორებულ-მოვაკებული ადგილი“; **მინდორი** „სწორი და ბალახიანი ადგილი“; **ტრამალი** „ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე“; **კორდი** „ბალახიანი მიწის ნაკვეთი, რომელიც წლების მანძილზე არ დამუშავებულა“; **ხრიატი** „ქვანარევი სახნავი მიწა“; **წევხი** „მჭლე და ცუდი მიწა“; **დიხაშხო** „უნაყოფო, მწირი მიწა“; **მწირი** „უნაყოფო, მოუსავლიანი, მწირი ნიადაგი“; **ეწერი** „ნიადაგის სხვადასხვა ტიპის სახელი“; **ლაგაზი** „ნოტიო, თიხნარი ნიადაგი“; **ბიცი** „ხსნარი მარილების შემცველი ნიადაგი“; **ფხვიერი** „წვრილი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაწილებისგან შემდგარი მიწა“ და სხვა); 3. **მიწის** ნაწილების აღმნიშვნელი სახელები (**ნიადაგი** „დედამიწის ქერქის ზედა ფხვიერი ნაწილი“; **ბელტი** „მიწის მონაკვეთი, ბარით ან სახნისით მოჭრილი“; **ჯეკმა** „მიწის ფენა“; **ნემომპალა** „ტყის მიწა, ნადაგის შემადგენელი ნაწილი,

რომელიც წარმოქმნილია მცენარეებისა და ცხოველების ლპობი-საგან“ და სხვა); 4. **მიწა-ვაკესთან** დაკავშირებული ლექსიკა, რომელიც მის ფორმაზე მიგვანიშნებს (**აღმართი**; **დაღმართი** „ქვევითკენ დაქანებული ადგილი“; **ამრეცი** „მცირე აღმართი“ (საპირისპ. დამრეცი); **ფერდობი** „დაფერდებული ადგილი“; **ოდრო** „ამოდრმავებული ადგილი“; **ხარო** „ღრმა ორმო“; **ამოქვავული** „ქვავით ჩადრმავებული ადგილი“ და სხვა); 5. **მიწა-ზარის** აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც გამოხატავენ მის მდებარეობას (თუ რას ესაზღვრება): **კუნძული** „ხმელეთის ნაწილი, ყოველმხრივ წყლით შემოსაზღვრული“; **ნახევარკუნძული** „ხმელეთის ნაწილი, რომელიც სამი მხრით ზღვით არის შემოსაზღვრული“; **შეგებილი** „ის, რაც შეჭრილია ზღვაში, მდინარესა თუ მთაში“; **ნოღა** „მდინარის გაყოლებაზე არსებული ნაყოფიერი ადგილი“); 6. სახელები, რომლებიც გარკვეულ დასახლებულ პუნქტზე მიგვანიშნებენ (**ქალაქი** „დიდი დასახლებული პუნქტი“; **სოფელი** „უპირატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი“; **დაბა** „დიდი სოფელი ქალაქის ტიპისა“; **უბანი** „ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე; ნაწილი“; **რაიონი** „გეოგრაფიული, ეკონომიური თუ სხვა ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ტერიტორიული ერთეული“).

მიწა-ზართან დაკავშირებული ლექსიკის გამომხატველი სახელები დადასტურდა ქართული ენის დიალექტებშიც: **თრითინა** (იმერ.) „თრითინა მიწა, სადაც არაფერი მოდის“; **ჩოფი** (თუშ.) „სიცხიანი, ცხელი ადგილი“; **ხოტხო** (ერწ.) „ნემომპალა“; **დინდგლი** (ქიზ.) „შავი მიწა, მარღვიანი ლაფი იცის“; **ფსუარი** (ქართლ.) „წმინდა; ამტვერებული მიწა“; **ბუცობი** (რაჭ.) „ჭიანჭველებისაგან ამოტანილი ფხვიერი მიწა“ და სხვა.

III. რამდენიმე თემატურ ჯგუფს წარმოგვიდგენს წყლის აღმნიშვნელი ლექსიკაც. აქ გამოიყო უშუალოდ **წყლის** გამომხატველი სახელები და თავად ლექსემა **წყალი**.

დადასტურდა უშუალოდ „წყალთან“ დაკავშირებული მსა-
ზღვრელები: **მტკნარი** „უმარილო, უგემური“; **წმინდა** „შეურევ-
ელი, ანკარა, სუფთა“; **ხისტი** „ხემში“; **მინერალური** „მინერალე-
ბის შემცველი“; **ამღვრული** „რაც ამღვრიეს ან აიმღვრევა“; **დუ-
ბელა** „ნელთბილი, უგემური წყალი“; **ბურდოიანი** „ბურდოს შე-
მცველი მღვრიე წყალი“; **ძვალმოტეხილი** „ოდნავ შემთბარი“; **გა-
მდინარე** „რაც გაედინება“; **დამცვრელი** „ცვრებად დასხურებუ-
ლი“ და სხვა მრავალი.

ცალკე ჯგუფს ქმნის ის ზმნები და ზმნისართები, რომლებიც
წყლის გამოყენებასთან (ან მის თვისებებთან) არის დაკავშირებუ-
ლი: **ამოხაპავს** „ხაპით ამოდვრის“; **გაალაღლაღებს** „წყალში გაავ-
ლებს“; **გააჟივებს** „ძლიერ დაასველებს“; **გამოხდის** „გამოხდის
წყალს“; **დააგუბებს** „გუბედ აქცევს“; **დაატბორებს** „დააგუბებს“;
გაიღუმპება „ძლიერ დასველდება“; **დუღს** „ძლიერ ცხელდება და
მოძრაობაში მოდის“; **წუწავს** „ერთიანად ასველებს“; **წრეტს** „სი-
თხისგან ცლის“; **ღაპა-ღუბით** „მსხვილ-მსხვილ წვეთებად ღვრა“;
წყალ-წყალ „წყლის გაყოლებით, წყალში“; **წყალდაწყალ** „წყლის
გაყოლებით, წყალში“; **წვეთუელ** „წვეთობით, წვეთ-წვეთად“.

გამოიყო „წყლით“ გაჟღენთილი საგნებისა თუ ადგილების
აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიც: **გაჟღენთილი** „წყლიანი“;
გაჟინთული „გაჟღენთილი“; **დამბალი** „რაც დაღბა, დასველებუ-
ლი“; **ლიჟღრიანი** „სველი, ნამიანი“; **ნოტიო** „სველი“; **ლაპარტი**
„ძალიან სველი“; **ლაჭე** „სველი, ნოტიო“ და სხვა.

როგორც ითქვა, ცალკე თემატურ ჯგუფს წარმოადგენს **წყლის**
აღმნიშვნელი გეოგრაფიული ობიექტები (ზღვა, მდინარე, ტბა...).

გამოიყო უშუალოდ „ზღვასთან“ (თუ „მდინარესთან“) დაკავ-
შირებული სახელები (**ბრაგა** „უხილავი წყალქვეშა კლდე“; **ღურ-
